საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 ივნისი **ოთხშაბათი** 2011
№ 144 (13441) ფასი 80 თეთრი




# კატური ამბავი

## 6 ევრომედალი კრივსა და ჭიდაობაში

**3 მუშტით** **3 ხერხით**




სერბულ ზრენჯანინში გუშინ დაწყებულ ახალგაზრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში სტარტზე გასული ოთხი ქართველიდან სამმა მედალი მოიპოვა - ერთი ვერცხლი, ორი - ბრინჯაო. კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი **ბექა პეტრიაშვილი** (74) გახდა, რომელმაც ფინალი თურქ **აბდულკადირ ოზმენთან** დათმო.

ბრინჯაოს მედლები **თენგიზ ჩოჩიშვილმა** (60) და **თედო ებანოიძემ** (96) მოიპოვეს, უმედლოდ კი მხოლოდ **ლაშა ტალახაძე** (50) დარჩა, თუმცა ბრინჯაოსთვის მანაც იბრძოლა. სამწუხაროდ, ჩემპიონატის ოფიციალური საიტი იმდენად გაუმართავად მუშაობს, რომ დღეს ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ - ინფორმაციები ძალიან გვიან მოვიდა. გეტყვით მხოლოდ, რომ ებანოიძე ნახევარფინალში რუს **ბატრაზ გაზაევთან** დამარცხდა, ოღონდ ჩვენებურს კარგი ჭიდაობისთვის რუსებიც კი აქებდნენ. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მან იტალიელ **სტაფენო ტრაპანის** აჯობა.

ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორმა ჩოჩიშვილმა მოლდოველ **მაქსიმ პეპელიტასთან** მოგების შემდეგ აზერბაიჯანელ მომავალ ფინალისტ **გაჯი ალიევთან** წააგო, ბრინჯაო კი ნახევარფინალში სწორედ ალიევთან დამარცხებულ რუს **აბდურახმან ბოგომაევს** აართვა.

ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა და ევროპის ბრინჯაოს მედალოსანმა ტალახაძემ პირველ შეხვედრაში დამატებითში სომეხ **არტაკ ჰოვანისიანს** მოუგო, მერე თურქ **მუამერ სანძაკსაც** აჯობა, ნახევარფინალში მოლდოველ **გერგე კოსტინთან** წააგო, ბრინჯაოსთვის შეხვედრა კი გერმანელ **მარკ ლუიტლესთან** დათმო.

დღეს ჩემპიონატში მორიგი ქართული და მთავარი ოთხეული ჩაებმება. სწორედ აქ არიან გუნდის ლიდერები, უფროსებში ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონები **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და დავით მარსაგიშვილი (84). მათ გარდა, **დავით ტლაშაძე** (66) და ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე რეკლამირებული წარმომადგენელი **გენო პეტრიაშვილი** (120).

**ირაკლი თავაძე**

# ბარსა რისკიანად თამაშობს






## ევროპაში გონება დარბის, ჩვენთან ჩვენი ფეხები



ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ



# ჯაბა დვალი

# ზესტაფონი ძველ დაჩიას სჯობდა, ახალთან კი დიდი ბრძოლა მოგველის

"ზესტაფონის" მომავალ მეტოქე "დაჩიაზე" ჯაბა დვალზე უკეთ ვერავინ მოგვიყვებოდა. 26 წლის თავდამსხმელი ხომ იმერულ კლუბამდე სწორედ მის ღირსებას იცავდა და "დაჩიას" შესახებ საკმაო ინფორმაციას ფლობს. ვფიქრობთ, ჯაბასგან მოლდოვის ჩემპიონზე საინტერესო ამბები გავიგეთ.

**- როგორ იხსენებ "დაჩიაში" გატარებულ პერიოდს?**

- საზღვარგარეთ მხოლოდ ერთ კლუბში მითამაშია და შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ "დაჩიაში" ბევრი რამ შევიძინე – ვნახე ახალი გარემო და გავიზარდე როგორც ფეხბურთელი. კარგი და ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავდა, მაგრამ მაშინ "შერიფის" შევიწროებას ვერ ვახერხებდით, ახლანდელმა "დაჩიამ" კი ეს შეძლო და პირველად გახდა მოლდოვის ჩემპიონი.

**- უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეს "დაჩიას" უკეთესი გუნდი ჰყავს.**

- დიახ, სხვაგვარად "შერიფს" ვერ აჯობებდა. "დაჩიაში" ახლაც ირიცხება ბევრი ის ფეხბურთელი, რომლებთან ერთადაც ვთამაშობდი და ამ გუნდის ჩემპიონობა ძალიან გამიხარდა.

**- შენს მერე გუნდის შემადგენლობა საგრძნობლად შეიცვალა?**

- დაახლოებით 50 პროცენტით. ჩემს დროს "დაჩია" უფრო გამოცდილი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, ახლა კი აქცენტი ახალგაზრდებზე კეთდება, თუმცა ასაკოვანი მოთამაშეებიც ჰყავთ. გარდა ამისა, "დაჩიამ" მაღალი დონის ლეგიონერებიც დაიმატა.

**- მაშინდელი "დაჩია" უკეთესი გუნდი იყო თუ ამჟამინდელი "ზესტაფონი"?**

- ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე ვიტყვი - "ზესტაფონი", მაგრამ, რაკი ახლა "დაჩია" ჩემპიონობას შესწვდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინდელზე ძლიერი გუნდია და მძიმე ბრძოლა გველის.

**- შანსებს როგორ აფასებ?**

- ალბათ, 50/50-ზე. შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ორივე გუნდს აქვს, მაგრამ მე "ზესტაფონის" წარმატების მჯერა. თუმცა იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენში საუკეთესო უშელავათო დაპირისპირებაში გამოვლინდება და იოლად ვერც ერთი გაიმარჯვებს.

**- პირველი თამაში შინ გაქვთ. ეს მეტოქის წისქვილზე ხომ არ დაასხამს წყალს?**

- არა მგონია, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, მეტიც, შეიძლება, პირველი მატჩის ზესტაფონში გამართვა ჩვენთვის უკეთესიც კი იყოს. გვაქვს იმის შანსი, რომ საკუთარ მოედანზე შემდეგი ეტაპისკენ ფართო ნაბიჯი გადავდგათ და მოლდოვაში სერიოზული ფორით გავემგზავროთ.

**- როგორი სტილის გუნდი იყო "დაჩია" შენს დროს?**

- მოლდოვაში ტექნიკური ფეხბურთით გამოვირჩეოდით, თუმცა ალბათ, გადამეტებული არაფერი ვარგა და "შერიფი", უპირველესად, უკეთესი ტაქტიკურ-ფიზიკური მომზადებით გვჯობდა. ახლა კი, როგორც ვიცი, "დაჩიამ" ლამაზი სტილიც შეინარჩუნა და სხვა კომპონენტებშიც მოძლიერდა.

**- თუ არ ვცდები, იგორ დობროვოლსკის ხელმძღვანელობით შენც გითამაშია.**

- ასეა, ოღონდ მაშინ იგი დროებითი მწვრთნელი იყო და "დაჩიას" მხოლოდ ხუთ თუ ექვს მატჩში უხელმძღვანელა. თავი დამამახსოვრა როგორც მცოდნე და თანამედროვე იდეების მიმდევარმა სპეციალისტმა. ამას გარდა, დობროვოლსკი თბილი და უშუალო ადამიანია.

**- როგორ ფიქრობ, წილისყრა "ზესტაფონისთვის" იღბლიანი იყო?**

- ჩვენთვის იდეალური არა, მაგრამ ნორმალური შედეგით დასრულდა. სავარაუდო მეტოქეებს შორის იყვნენ როგორც შედარებით სუსტი, ასევე უფრო ძლიერი კლუბებიც. უკმაყოფილების საფუძველი არ უნდა გვქონდეს. ჩემპიონთა ლიგაში შორსმიმავალ მიზნებს ვისახავთ და ვალდებულნი ვართ, საკუთარი ძალა ნებისმიერ მეტოქეს დავუმტკიცოთ – მით უფრო, ადრეულ ეტაპზე.

**- ვიცით, რომ უკვე ელაპარაკე "დაჩიას" ქართველებს, ლევან კორლალიძესა და დავით გამეზარდაშვილს.**

- დიახ, ორივე გახარებულია, რომ "ზესტაფონთან" მოუწევთ თამაში. კიშინიოვში ჩასვლა ჩემთვისაც სასიამოვნო იქნება, ყოფილ კლუბთან ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ვითამაშებ. მიხარია, რომ ლევანი და დათო "დაჩიას" წამყვანი ფეხბურთელები არიან, გუნდის წარმატება დიდწილად სწორედ მათზეა დამოკიდებული.

**- მოლდოვის ჩემპიონატში უკეთესი დონეა თუ საქართველოსაში?**

- მოლდოვაში მხოლოდ ორი ძლიერი გუნდია – "შერიფი" და "დაჩია", საქართველოს ჩემპიონატში კი ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძნელია. ჩვენთან უმაღლესი მიზნებისთვის ორზე გაცილებით მეტი გუნდი იბრძვის და, შესაბამისად, ლოგიკურად უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენ გაცილებით უკეთესი ჩემპიონატი გვაქვს. თუმცა, კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ "შერიფი" და "დაჩია" სერიოზული კლუბები არიან.

**- ბოლოს საკუთარ გეგმებზეც გვითხარი...**

- ზუსტად ვიცი, რომ მომავალ სეზონსაც "ზესტაფონში" გავატარებ. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მინდა, "ზესტაფონთან" ერთად ახალ-ახალ წარმატებებს მივაღწიო. ევროტურნირებზე მიზნად ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის ჯგუფურ ტურნირზე მოხვედრა დავისახეთ და საამისოდ ცდას არ დავაკლებთ, თუმცა ყურადღებას არც საშინაო არენაზე მოვადუნებთ და ჩემპიონობის შენარჩუნებისა და თასის მოპოვებისთვის ვიბრძოლებთ. ახლა კი ჩვენი მთავარი საფიქრალი "დაჩიას" გადალახვაა. ვიცი, რომ ზესტაფონელი ქომაგებისგან მხარდაჭერა არ დაგვაკლდება. სხვა ქალაქების მცხოვრებთაც ვთხოვ, თუნდაც თბილისელებს, ჩამობრძანდნენ ზესტაფონში და გვიქომაგონ. გულშემატკივართა თანადგომას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვეცდებით, ისინი ლამაზი და შედეგიანი თამაშით გავახაროთ.

შეჯამება

## ესეც მსაჯთა ნაკრები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტმა 2010-11 წლების სეზონის საუკეთესო არბიტრთა ხუთეული და საუკეთესო ასისტენტთა ათეული გამოავლინა. ამ სიის შედგენისას გაითვალისწინეს მსაჯების შეფასებები, ნამსაჯი მატჩების რაოდენობა და სირთულე, ასევე თეორიული და ფიზიკური ტესტების შედეგები.

სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე კომიტეტის რჩეულთა სიაა გამოქვეყნებული.

საუკეთესო არბიტრები: **ლევან კვარაცხელია, გიორგი ვადაჭკორია, ლაშა სილაგავა, თორნიკე გვანცელაძე, მალხაზ ბეუქლიშვილი.**

საუკეთესო ასისტენტები: **მამუკა ელიკაშვილი, ზურაბ ჯვარიძე, გიორგი**



**ყრუაშვილი, ზაზა ფიფია, გურამ ჩიგოგიძე, ლევან თოდრია, ზაზა მენთეშაშვილი, ბესიკ ჭიჭინაძე, ზვიად ერქვანია, კობა გაბრიაძე.**

ლევან ჯანეზაშვილი

სტუმრები ფიფადან

## ქალბატონი ევა, ბატონი ჯეოფი და მარკეტინგი

თბილისს ფიფას განვითარების პროგრამების ევროპის მიმართულების მენეჯერი **ევა პასკიე** და ჩრდილოეთ ირლანდიის საფეხბურთის ასოციაციის მარკეტინგისა და კომუნიკაციების განყოფილების ხელმძღვანელი, ფიფას ექსპერტი **ჯეოფ უილსონი** სტუმრობენ. სამდღიანი ვიზიტის მიზანი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მარკეტინგული საკითხების შეფასებაა.

ვიზიტის პირველ დღეს სტუმრებმა მოინახულეს სფფ-ის განახლებული ტექნიკურ ცენტრი „ბასა" და ნანახით კმაყოფილები დარჩნენ, რის შემდეგაც ფიფას ექსპერტებისა და სფფ-ის თანამშრომლების სამუშაო შეხვედრა ჩატარდა.

გუშინ კი სტუმრები საქართველოს უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლებსა და გულშემატკივრებს შეხვდნენ. ჯეოფ უილსონმა ქართული კლუბების წარმომადგენლებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარა და მათი იდეები და მოსაზრებები მოისმინა.

როგორც უილსონმა განაცხადა, ქართველი გულშემატკივრებისგან მან არაერთი კარგი იდეა მოისმინა და მათი მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურა.

დღეს სტუმრები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ფედერაციის თანამშრომლებს, შეაჯამებენ აქ მიღებული ინფორმაციას და მასპინძლებს საკუთარ რეკომენდაციებს გააცნობენ.



ფოტო: www.gff.ge

სფფ-ის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ (მარცხნივ) და გენერალური მდივანმა რევაზ არველაძემ ევა პასკიეს ფედერაციაში უმასპინძლეს

ლეგიონერის კომენტარი

## მოლდოველებთან ბოდიში... შერიფი ჩვენ გვიქომაგებს



ვაჟა თარხნიშვილი

ტირასპოლის "შერიფის" კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის წილისყრაზე გააკეთა კომენტარი და "დაჩიასა" და "მილსამის" მეტოქეებზე, "ზესტაფონსა" და "დინამოზე" გამოთქვა აზრი.

*"ვერ ვიტყვი, რომ მოლდოვურ კლუბებს გაუმართლათ. "ზესტაფონის" პრეზიდენტი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კლუბს იდეალური გარემო შეუქმნას. "ზესტაფონს" აქვს კარგი პირობები, საწვრთნელი ბაზა და, რაც მთავარია, კვალიფიციური მწვრთნელი და ძლიერი შემადგენლობა. "ზესტაფონი" ჩემპიონთა ლიგაში დებიუტისთვის ავსტრიაში ემზადება. წყვილის ფავორიტის დასახელება გამიჭირდება.*

*"დინამოც" ძალიან სერიოზული გუნდია, რომელიც ახალი მწვრთნელის მისვლით უდავოდ გაძლიერდება. "დინამოს" "ბარსელონაში" ნამუშევარი სპეციალისტი დაუნიშნეს, რომელსაც არაერთი ვარსკვლავი აღუზრდია. ვფიქრობ, ამ წყვილში შანსები 60/40-ზეა "დინამოს" სასარგებლოდ",* - თქვა ვეტერანმა ქართველმა მცველმა.

თარხნიშვილმა, რომელიც 25 ივლისს 40 წლისა ხდება, ისიც თქვა, იმის მიუხედავად, რომ "დაჩიაში" **ლევან კორლალიძე** და **დავით გამეზარდაშვილი** თამაშობენ და ამ ბიჭებთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაინც ქართულ კლუბებს ვუქომაგებო.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო

# 4-3-3 ალღოაღებული სიახლე

ქართული გუნდებიდან ევროტურნირებზე ერთ-ერთი პირველი თბილისის „დინამო“ ჩაებმება: ახალი მწვრთნელის, ესპანელი სპეციალისტის **ალექს გარსიას** ხელმძღვანელობით ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი 30 ივნისს ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოლდოვურ „მილსამის“ დაუპირისპირდება. გუშინაც აღვნიშნეთ და დღესაც გავიმეორებთ, რომ „დინამოს“ არცთუ ძლიერი მეტოქე შეხვდა (ისე, როგორც მომდევნო ეტაპზე) და, აქედან გამომდინარე, ევროტურნირებზე შარშანდელი შედეგის გამეორებაც არ უნდა გაუჭირდეს. ერთადერთი, რასაც შეიძლება პრობლემა დავარქვათ, გუნდის უამრავი ახალწვეულის ერთმანეთთან შეთამაშება უნდა იყოს; თუმცა სწორედ ამას ემსახურება საკონტროლო მატჩებიც, სადაც საბოლოო შედეგზე მეტად სწორედ რომ გუნდის ცალკეული რგოლების შეთამაშება უნდა მივიჩნიოთ მთავარ მიზნად. „დინამო“ გუშინდლამდე სლოვენიაში იმყოფებოდა, სადაც საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გაიარა - დღეში ორჯერადი ვარჯიშებითა და საკონტროლო მატჩებით. პირველი სპარინგ-მატჩი ლუგანსკის „ზარიასთან“ ფრედ (0:0) დამთავრდა, აი, მეორე შეხვედრაში კი, სლოვენიის ჩემპიონატის მესამეადგილოსან „კოპერთან“ ჩვენი გუნდი მინიმალური ანგარიშით (1:2) დამარცხდა. „ზარიასთან“ მატჩთან შედარებით „კოპერთან“ შეხვედრაში ალექს გარსიამ „დინამოს“ შემადგენლობაში რამდენიმე კორექტივი შეიტანა. როგორც „დინამოს“ პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** გვაცნობა, მიკროტრავმების გამო გუშინწინდელ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს **შოთა კაშიამ, სამირ ჰაჯიბულიჩმა, ნიკა ფირცხალავამ, ვახტანგ ფანცხავამ** და **გოგა ბერაიამ**. კაშიამ და ფირცხალავამ „ზარიასთან“ მატჩი ძირითადში დაიწყეს, ჰაჯიბულიჩი შეცვლაზე შევიდა, აი, ფანცხავასა და ბერაიას კი, სამწუხაროდ, ორივე შეხვედრის გამოტოვებამ მოუწიათ. თუმცა, როგორც გიგა გვენცაძისგან შევიტყვეთ, ორივე უკვე სრულ მზადყოფნაშია, — ისე, როგორც ფირცხალავა და ჰაჯიბულიჩი. შოთა კაშიას საქმე კი უფრო რთულად არის და ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, როდის შეუდგება სრულფასოვან ვარჯიშს „დინამოს“ ერთ-ერთი გამოცდილი ფეხბურთელი. თუმცა სასიამოვნო სიახლეც იყო: როგორც უკვე გაცნობეთ, ტრავმის გამო „ზარიასთან“ მატჩი **ალექსანდრე კოშკაძემ** გამოტოვა, სლოვენიურ კოპერთან შეხვედრაში კი „დინამოს“ კაპიტანი უკვე ძირითადში ვიხილეთ. „დინამოს“ ახალმა მწვრთნელმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და „კოპერის“ წინააღმდეგ თავისი გუნდი კვლავაც 4-3-3 ტაქტიკით ათამაშა. ანუ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ახალ სეზონში „დინამო“ სწორედ ამ განლაგებით იასპარეზებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფეხბურთელებმაც მალე აუღეს ალღო ამ სიახლეს. ისიც ფაქტია, რომ გარსია ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია: „ზარიასთანაც“ და „კოპერთანაც“ ესპანელმა მწვრთნელმა უშუალოდ თამაშისას უამრავი ცვლილებაც განახორციელა და ამას გარდა, რამდენიმე ფეხბურთელი სხვადასხვა პოზიციაზე მოსინჯა. „ზარიასთან“ ჩატარებულ მატჩზე ამ რამდენიმე დღის წინ უკვე ვისაუბრეთ, აი, „კოპერთან“ შეხვედრაში კი „დინამომ“ პირველი ტაიმი ასეთი განლაგებით დაიწყო: მეკარე — **გიორგი ლორია**, დაცვის ცენტრში **გულვერდ თომაშვილისა** და **ლევან კაკუბავას** წყვილი, მარცხნივ — **გიორგი რეხვიაშვილი**, მარჯვნივ კი — **დავით ოდიკაძე**, ნახევარდაცვაში ცენტრში **ლევან ხმალაძე** მოქმედებდა, ფლანგებზე — **ნიკა კვეკვესკირი** და **ალექსანდრე კოშკაძე**. თავდასხმაში — **ირაკლი ლეკვთაძე** და **რობერტინიო** ფლანგებზე იყვნენ გამწესებულნი, ცენტრფორვარდად კი „დინამოში“ დაბრუნებული **ლადო ახალაია** თამაშობდა.



ალექს გარსია

პირველი ტაიმი „დინამოს“ აშკარა უპირატესობით წარიმართა და ერთ ეპიზოდში რობერტინიოს დარტყმის მერე ბურთი „კოპერის“ კარის ძელს მოხვდა. შესვენების შემდეგ ალექს გარსიამ 7 ახალი ფეხბურთელი შემოიყვანა მოედანზე, ზოგს ამპლუა შეუცვალა და „დინამოს“ განლაგებამაც შემდეგი სახე მიიღო: კარში — **სოსო გრიშიკაშვილი**, თომაშვილმა მარჯვენა მცველის პოზიცია დაიკავა, კაკუბავას კი ცენტრში **ირჟი ჰომოლა** შეუწყვილდა, დაცვის მარცხენა ფლანგზე ლევან ხმალაძემ გადაინაცვლა, ნახევარდაცვაში კი კვეკვესკირთან ერთად **ჯამბულ ჯილაური** და **გიორგი თექთურმანიძე** ასპარეზობდნენ, თავდასხმაში ფლანგებზე **გიორგი კახელიშვილი** და **დონალდ ჯუისი** მოქმედებდნენ, ცენტრფორვარდად კი — **სანდრო იაშვილი.** სწორედ იაშვილს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მის მიერ შესრულებული სტანდარტულის შემდეგ ბურთი კვლავაც „კოპერის“ კარის ძელს მოხვდა. აი, ამის შემდეგ კი მანამდე არსებული უპირატესობა სადღაც გაქრა. საბოლოოდ, სლოვენიელთა გამარჯვება, ალბათ ლოგიკურადაც უნდა მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, ორ საკონტროლო მატჩში ნაჩვენები შედეგი (ფრე და წაგება) არავის გაუხარდებოდა, მაგრამ ამით რომ ტრაგედია არ უნდა შეიქმნას, ფაქტია.

„კოპერთან“ მატჩით „დინამოს“ სლოვენიური შეკრება დასრულდა - გუშინ საღამოს ჩვენი გუნდი ავსტრიაში გაემგზავრა, სადაც ორ დღეს დაჰყოფს. ავსტრიაში გუნდთან ერთად იქნება კლუბის გენერალური დირექტორი **ზურაბ პოლოლიკაშვილი,** თანაც, თბილისში გამომგზავრებამდე „დინამო“ კიდევ ერთ სპარინგ-მატჩს ჩაატარებს — ავსტრიის ჩემპიონ „შტურმთან“.

**გია ტუხაშვილი**

მომავლის ფეხბურთი



# საგურამო და არა მარტო...

### დაბადება

2005 წელს საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა დააარსა. სკოლის აღსაზრდელები, უფროსი თაობის ლოკომოტიველთა მსგავსად, საგურამოს საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობენ.



ლაშა გაფრინდაშვილი

სკოლას უკვე აქვს საამაყო - გერმანულ „შალკეში“ გადასვლამდე **ლევან ყენია** ბოლო სამი წელი „ლოკომოტივში“ ირიცხებოდა.

ახლახან საფეხბურთო სკოლა „ლოკომოტივის“ დირექტორობა **ლაშა გაფრინდაშვილს** დაევალა.

### ავტობუსი მოვიდა

ამჟამად სკოლის ოთხ ასაკობრივ ჯგუფში 70 მოზარდი ვარჯიშობს. სუფთა ჰაერი, ბუნება და კარგი საწვრთნელი გარემო მათ საშუალებას აძლევს, ლაღად ივარჯიშონ.

ლაშა გაფრინდაშვილი: *„ბავშვების განკარგულებაშია ხელოვნურ და ბუნებრივსაფრიანი სტანდარტული და საშუალო ზომის მოედნები. მოზარდებს მოწესრიგებული საშხაპე-გასახდელები, სავარჯიშო ინვენტარი და შესაბამისი ლიცენზიის მქონე რვა პროფესიონალი მწვრთნელი ემსახურება. ვინაიდან ბავშვები საგურამოში ვარჯიშობენ, მათთვის ავტობუსებია გამოყოფილი. გვეამაყება, რომ ჩვენს სკოლაში ბავშვები სწავლების საფასურს არ იხდიან“.*

### ესპანური გაკვეთილი

ლაშა გაფრინდაშვილი: *„რამდენიმე წლის წინ ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამით ჩვენთან ჩამოსული იყო ესპანელი სპეციალისტი საფეხბურთო კლუბ „ბარსელონადან“. მან ბევრი რამ გვასწავლა. ჰქონდა შენიშვნებიც. ესპანური გამოცდილება სკოლას ნამდვილად წაადგა. იმ წლებში საგურამოს ბაზა ჯერ არ გვქონდა. სადაც მოედნებს ვქირაობდით, იქ მოუწესრიგებელი საშხაპე-გასახდელები იყო, რაც ესპანელს არ მოსწონდა“.*

### რა თქმა უნდა, თბილისიც...

საფეხბურთო სკოლა „ლოკომოტივი“ მცირე ასაკის ჯგუფთა შექმნაზეც ზრუნავს. ხელმძღვანელობამ ბავშვებისთვის სავარჯიშო მოედნების თბილისში მოწყობა გადაწყვიტა.

ლაშა გაფრინდაშვილი: *„ჩვენი მიზანია, სკოლაში ბავშვები ყველა ასაკობრივ ჯგუფში ვარჯიშობდნენ. გადავწყვიტეთ შეგვექმნა ფილიალები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, მოზარდები თბილისში ვავარჯიშოთ. ამჟამად 2001 წელს დაბადებულთა ერთი ჯგუფი ვარჯიშობს, მალე მათ სხვებიც შეუერთდებიან. მას შემდეგ, რაც თორმეტი წელი შეუსრულდებათ, მათ შორის საუკეთესოებს გამოვარჩევთ და სავარჯიშოდ საგურამოს ბაზაზე გადავიყვანთ“.*

**სალომე ხარატიშვილი**

სპარტაკი

# ბაკურიანმა კონდიციები იცის



ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

ახალი სეზონისათვის ცხინვალის „სპარტაკი“ სერიოზულად ემზადება — **ბადრი კვარაცხელიას** გუნდი 20 ივნისიდან შეკრებაზე ბაკურიანში იმყოფება. როგორც „სპარტაკის“ პრესატაშემ **დავით ცაბაძემ** გვაცნობა, გუნდი ბაკურიანში 23 ფეხბურთელით გაემგზავრა.

მეკარეები: **თორნიკე ზარქუა, ლაშა ძაგანია, ნუკრი დაუშვილი;** მცველები: **ფრიდოლინ ბოიომო, გიორგი ციმაკურიძე, ბადრი ტეტუნაშვილი, გიორგი ალავიძე, უჩა ბურძენაძე, გიორგი სეფიაშვილი;** ნახევარმცველები: **თეიმურაზ შონია, გიორგი მამუჩიშვილი, კობა შალამბერიძე, ბესიკ დეკანოიძე, ვალერი კილასონია, კახაბერ კაკაშვილი, გიორგი ნარიმანიძე, თორნიკე თუხარელი, დავით ზერეკიძე, ერეკლე ხაჭვანი;** თავდამსხმელები: **ზვიად მეტრეველი, რევაზ ჯიქია, ილია ბუზალაძე, ზვიად ლობჯანიძე.**

„სპარტაკი“ ბაკურიანში პირველ ივლისამდე იქნება და **ბადრი კვარაცხელიას** სავარჯიშო პროცესში ფიზმომზადების ახალი მწვრთნელი **ალექსანდრ ალექსეევი** დაეხმარება. ის ადრე „ზესტაფონსა“ და „ბაიაში“ მუშაობდა. გუნდის მთავარი მწვრთნელის, კვარაცხელიას თქმით, ბაკურიანში „სპარტაკი“ ჩინებულ პირობებში ემზადება; მთავარი მწვრთნელი კმაყოფილია თითოეული ფეხბურთელის საქმისადმი მიდგომით და იმედს გამოთქვამს, რომ ეს შეკრება მოთამაშეთა ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას მაქსიმალურად ხელს შეუწყობს. „სპარტაკი“ თბილისში პირველ ივლისს დაბრუნდება, ორ-სამ დღეში კი აქ გააგრძელებს ვარჯიშს; სავარაუდოდ, 5 ან 6 ივლისისათვის გუნდს საკონტროლო მატჩიც აქვს დაგეგმილი ერთ-ერთ აზერბაიჯანულ კლუბთან; ამის მერე კი, 10 ივლისიდან „სპარტაკი“ მეორე შეკრებაზე, — ურეკში გაემგზავრება, სადაც საკონტროლო შეხვედრებსაც ჩაატარებს.

ახლა კი გუნდის ახალწვეულებზე: 27 წლის **გიორგი ციმაკურიძესთან**, 26 წლის **კობა შალამბერიძესთან** და 30 წლის **რევაზ ჯიქიასთან** კლუბმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა; გასულ სეზონში ჯერ „სამტრედიაში“, მერე კი ფოთის „კოლხეთში“ ჩინებულად მოასპარეზე 23 წლის **ლაშა ძაგანიასთან** კი — სამწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა. რაც შეეხება 20 წლის **თორნიკე ზარქუას,** „სპარტაკმა“, ფაქტობრივად, შეთანხმებას მიაღწია „დინამოსთან“ და ეს პერსპექტიული მეკარე ორწლიანი იჯარით გადაიბირა. ბაკურიანში წასვლამდე „სპარტაკში“ რამდენიმე პოტენციური ახალწვეულიც ისინჯებოდა, თუმცა **გიორგი სალარიძემ** სხვაგან ამჯობინა კარიერის გაგრძელება; საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი **გიორგი გუგავა** და გასულ სეზონში „სპარტაკის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, 18 წლის **ტიერიანს კლოვისი** კი დუბლშემადგენლობასთან ერთად, თბილისში ივარჯიშებენ და ძირითად გუნდს მერე შეუერთდებიან. კიდევ ერთი პოტენციური ახალწვეულის, **ზვიად ლობჯანიძის** „სპარტაკში“ ჩარიცხვის საკითხი კი ბაკურიანის შეკრების შემდეგ გაირკვევა.

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონერები

# გაწელილი ტრანსფერი და ძმური ამბავი

ფინეთის პირველი ლიგის კპვ-ში გასული წლიდან თამაშობენ **ირაკლი სირბილაძე** და **ნიკა კილაძე**. წლეულს, აპრილში მათ კილაძის უმცროსი ძმა, **ერეკლე კილაძეც** დაემატათ, რომელიც მანამდე ცხინვალის "სპარტაკში" თამაშობდა. იანვარში ის უკრაინულ კლუბში ისინჯებოდა, მაგრამ არ დატოვეს და ძმასთან გაეშურა.

ერეკლე კპვ-ს მწვრთნელებს მოეწონათ, დატოვეს, მაგრამ იურიდიული მხარე ვერა და ვერ მოაგვარეს.

*"ფინეთში სატრანსფერო სეზონი 1 მაისს დასრულდა, გუნდმა კი განაცხადი 2-ში შეიტანა. ერეკლე ამის მერე ჩარიცხვის ნებართვას ელოდა, რადგან თავისუფალი აგენტი იყო და კლუბში ჩარიცხვის უფლება ჰქონდა. ფიფაში საქმე გაიწელა, ხან რა საბუთს სთხოვდნენ, ხან – რას. არადა, თავიდან მხოლოდ განთავისუფლების ფურცელი უნდოდათ. მერე მოითხოვეს ცნობა ბოლო კლუბიდან, მერე - როდის ითამაშა ბოლო მატჩი, ყოველ კვირას ახალ საბუთს ითხოვდნენ და ასე გავიდა დრო. როგორც იქნა, მოთხოვნები ამოწურეს და თამაშის უფლება მხოლოდ 2 თვის შემდეგ მიიღო. ასე რომ, ერეკლე შემდეგ ტურში დაგვეხმარება"* – გვითხრა ნიკა კილაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

# ვინ დათვალოს... კიდევ ერთი

ბოლო წლებში უკრაინა-რუსეთს, ევროპასა და ამერიკას იმდენი ქართველი მიანყდა, უცხო ქვეყნების ნაკრებებსა თუ კლუბებში მოთამაშე ჩვენებურების თვლას ველარ ავუდივართ.

კიევის "ობოლონში" მორიგი უცნობი ფეხბურთელი, **ირაკლი ჩომახაშვილი** აღმოვაჩინეთ, რომელიც უკრაინაში საქართველოდან არ ნასულა - 16 წლის ქართველი ფეხბურთელი ამერიკაში გაზრდილი და უკრაინაში დასახლებული ქართველის **ნოდარ ჩომახაშვილის** ვაჟია.

ირაკლი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს. ტანმაღალია (180 სმ) და "ობოლონში" ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად მიიჩნევენ.

ამერიკაში ოთხი წელი ცხოვრობდა და თამაშიც იქ დაიწყო - ფლორიდის ქალაქ გაინეშვილის სკოლის გუნდში. 2008 წლის დეკემბერში ადგილობრივი გუნდის „ლეგას" მწვრთნელმა ნახა და მიიწვია. მერე ფლორიდის ნაკრებში აიყვანეს, მაგრამ 2010 წლის იანვარში ოჯახი თბილისში დაბრუნდა და თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში დეკემბრამდე ვარჯიშობდა.

შემდეგ ოჯახი უკრაინაში გადასახლდა. 2010 წლის დეკემბერში კიევის "ობოლონში" გასინჯვაზე მისული მოეწონათ და დაიტოვეს. მამამისის თქმით, ირაკლით საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ვასილ მაისურაძე** დაინტერესდა.

"ერთი თვის წინ უკრაინიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში რეკომენდაცია გაუწიეს, მას შემდეგ ველაპარაკე ვასილ მაისურაძეს, მითხრა, აგვისტოს შეკრებაზე ჩამოიყვანეთ და გავსინჯავთო.

ახლა იმ ოთხ საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოხვდა, რომლებსაც მწვრთნელები დამატებით ინდივიდუალურად წვრთნიან. როგორც მითხრეს, ასეთი ინტენსიური კურსით შემოდგომისთვის სათანადო კონდიციებამდე უნდა მიიყვანონ, უმაღლეს ლიგაში წლეულს გადმოსულ „ალექსანდრიაში" რომ გაყიდონ. მოქალაქეობის შეცვლა შემოგვთავაზეს, მაგრამ ეს არ გვინდა, სამუდამოდ უცხოეთში დარჩენას არ ვაპირებთ" – გვითხრა ნოდარ ჩომახაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

შეკითხვა ლელოს

**ამას წინათ წერდით, რომ საქართველოში წლეულს ნოემბერში, იგეგმება ოთხთა საფეხბურთო ტურნირი საქართველოს, ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ახალგაზრდული ნაკრებების მონაწილეობით. ლაპარაკი იყო პრობლემებზეც. რა მდგომარეობაა ამჟამად?**

**ლევან წერეთელი,**
თბილისი

**პასუხი:** რედაქცია დაუკავშირდა ტურნირის ორგანიზატორს **ნიკო პატარქალიშვილს**, რომელმაც გვითხრა, *„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ოფიციალურად მიესალმება აღნიშნული პროექტის განხორციელებას საქართველოში, თუმცა მის ორგანიზატორად თავს არ მოიაზრებს და შესაბამისად მასში საორგანიზაციო კუთხით ჩაბმას არ გეგმავს".*

გადავენყოთ...



# მობილური ფაფაში

## ძველი კონსპექტებით ახალ გამოცდებზე?

## მეთოდები მოგვიძველდა, ხალხო!




თბილისის "დინამოს" პრეზიდენტმა **რომან ფიფიამ** "ლელოსთან" ინტერვიუში ახალ მთავარ მწვრთნელ **ალექს გარსიაზე** თქვა, ვფიქრობ, საინტერესოა, რატომ აქვს ამ ადამიანს ასეთი განსხვავებული მიდგომა საწვრთნელი პროცესის მიმართ... დინამოელები გაოცებულები და ძალიან კმაყოფილები არიან - იგი "დინამოში" ჩვენთვის უცხო და უჩვეულო სავარჯიშო სისტემას ამკვიდრებსო.

გარსია "დინამოში" მართლაც ახალი მეთოდებით მოვიდა, რაზეც "დინამოს" ერთ-ერთმა თანამშრომელმა გვითხრა – პირველი მწვრთნელია, რომელმაც ფეხბურთელები ტყეში კროსების სარბენად არ შეყარა, სულ ბურთით ავარჯიშებსო.

ამის თაობაზე საინტერესოდ ილაპარაკა თბილისის "დინამოში" მიწვეულმა **ნოდარ მაჭავარიანმა**: *"ასეთი საინტერესო ვარჯიშები არ მახსენდება. გარსია გამუდმებით ითხოვს პერსონალურ თამაშს კვადრატებში, დაბალ პასებს, გვამუშავებს ბურთის დაჭერაზე, იმაზე, შეტევები მოკლე პასებითა და "კედლის" გათამაშებით რომ წამოვიწყოთ, კატეგორიულად კრძალავს უაზრო გადაცემებს, ბურთის დაუფიქრებელ მოგერიებას. გვითხრა, მთელი სეზონი ამაზე ვივარჯიშებთო. საერთოდ, ყველა ვარჯიში ბურთით მიმდინარეობს. ანუ "დინამოში" "ბარსელონას" სტილს ამკვიდრებს. ხშირად გვიმეორებს, რომ უნდა ვითამაშოთ სანახაობრივი და არა ანტიფეხბურთი".*

მომზადების ეს სტილი - ბურთით და არა კროსებით - ჩვენთვის არის უცხო და ახალი, თორემ წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში ჩვეული ამბავია. ვინაიდან ახლა მოსამზადებელი ეტაპია, ვფიქრობ, ეს თემა სპეციალისტებსაც დააინტერესებს და გულშემატკივრებსაც, რადგან ღირს ამ საკითხზე ფიქრი და ლაპარაკი.

**გოჩა ალადაშვილი**, რომელიც ბრაზილიაში, "ატლეტიკო პარანაენსეში" მუშაობს, ამბობს, რომ სამხრეთამერიკელებს მოსამზადებელი ეტაპი საერთოდ არ აქვთ: *"ასეთი გაგება ბრაზილიაში არ არსებობს, შეიძლება, მაქსიმუმ ორი კვირა ივარჯიშონ, მაგრამ ფორმაში შედიან მხოლოდ და მხოლოდ თამაშებით და არა კროსებით ან სირბილით".*

თავის დროზე ამ საკითხზე **ზურაბ ხიზანიშვილსა** და **მიხეილ აშვეთიას** (იმ დროს დანიაში, "კოპენჰაგენში" თამაშობდა) ველაპარაკეთ და ორივემ დაახლოებით იგივე გვითხრა, მხოლოდ ვარჯიშებითა და თამაშებით ვემზადებით, თანაც მხოლოდ ორი კვირა, მომზადებას თვეები არ სჭირდებაო.

ადრე **გიორგი დემეტრაძისგან** კი მსმენია: *"ჩემპიონატისთვის ფორმაში შესასვლელად ორ კვირაზე მეტი არ მჭირდება. ორთვიანი მოსამზადებელი შეკრებები ისე მეზარება, როგორც ბავშვს ფაფა. მაგრამ სეზონის ბოლომდე ძალები მაინც მყოფნის.*

*საერთოდ, ორ-სამთვიანი შეკრებები რუსების უაზრო გამოგონებაა, ევროპაში ასე არავინ ემზადება".*

საბჭოური მომზადების სისტემა გვარიანად მოძველდა, მაგრამ ქართველი მწვრთნელების უმრავლესობა მაინც მას მისდევს. არა იმიტომ, რომ სხვებზე ცუდად აზროვნებენ - ფინანსური პრობლემების გამო საკუთარ წვენში იხარშებიან, ევროპელთა მოსამზადებელ მეთოდებს ვერ ეცნობიან და, ცხადია, ნაცნობ და აპრობირებულ სისტემას ამჯობინებენ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვეჩვენა **გიორგი შაშიაშვილის** ნაამბობი, რომელიც ჯერ ავსტრიაში, გრაცის "შტურმში" თამაშობდა, ახლა კი საბერძნეთის სუპერლიგის "ერგოტელისშია".



გიორგი შაშიაშვილი

*"საქართველოში მოძველებული სავარჯიშო მეთოდებია, რაშიც ევროპაში თამაშისას დავრწმუნდი. ძალიან უკან ვართ, არადა, ეს იმ დროს, როდესაც საწვრთნელი მეთოდები მობილურივით არის, ყოველდღე ახალ-ახალს რომ უშვებენ და ძველს ივიწყებენ.*

*მოსამზადებელ ეტაპზე ევროპაში კუპერის ტესტებს აღარავინ ღარბის, სამაგიეროდ, ხდება ორგანიზმის ტესტირება, როგორი დოზით შეიძლება ამა თუ იმ მოთამაშის დატვირთვა, რადგან ეს ინდივიდუალური უნდა იყოს. პრინციპი „ყველა ერთნაირად" მიუღებელია. მაქსიმუმ 400 და 1000 მეტრზე დავრბივართ. დილით ბარიერებზე ხტომა, აჩქარება, 15 მეტრიდან 30 მეტრამდე სტარტები გვაქვს, სალამოს კი ვარჯიშები სულ ბურთით გვიტარდება, გახურება, კვადრატები...*

*მოსამზადებელი ეტაპი იწყება სუსტ გუნდებთან მატჩებით, რათა ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდე, ანუ დარბიხარ, მაგრამ ძალიან არ იღლები. თან იმიტომაც, დიდი ანგარიშით რომ მოიგო - ეს ფსიქოლოგიურად არის გამართლებული.*

*მერე უფრო ძლიერ კლუბებს ვხვდებით, მაგალითად, რუმინულს, ხორვატიულს, ბულგარულს, შედარებით მეტად რომ დავიტვირთოთ. შემდეგ უფრო ძლიერებს და სეზონიც ახლოვდება.*

*უშუალოდ ჩემპიონატში არანაირი მატჩისწინა შეკრებები არ გვაქვს, სტადიონზე სახლიდან მივდივართ, მატჩამდე კარგად რომ დავისვენოთ და ოჯახიდან მოწყვეტით გამოწვეული დისკომფორტი არ ვიგრძნოთ, თამაშზე გასვლა ხომ უნდა გიხაროდეს.*

*ასეთ სტილს უკვე მშვენივრად შევეგუე, ოჯახში იციან, როგორ შემიწყონ ხელი, როგორი საკვები მჭირდება, რანაირი მუსიკა არ შემიშლის ხელს, როგორ უნდა შევიქმნა სათამაშო განწყობა. მატჩამდე ორი დღით ადრე მოედანზე ტაქტიკური ვარჯიშები გვიტარდება.*

*თამაშის შემდეგ გასახდელში ლუდი შემოაქვთ, რომ მოვდუნდეთ და კუნთმა დაისვენოს. საქართველოში ლუდი რომ დალიო, ლოთად მოგნათლავენ. „კოკა-კოლა" აკრძალულია და ლამის დანაშაულად ითვლება - ასეთია მათი მიდგომა.*

*მომზადების ამ სისტემაში ყველაზე მთავარი ფეხბურთელის მიმართ ნდობაა, იციან, რომ მისი შემოსავლის წყარო ფეხბურთია და ეს თავისთავად ბადებს პროფესიონალიზმისკენ მისწრაფებას. შენ თუ კონტრაქტით მიღებული ფინანსური მდგომარეობა არ დააფასე, დარჩები მშრალზე და გუნდში სხვას აიყვანენ"* – ამბობს შაშიაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

ტორპედო

# ქუთაისში ახალგაზრდებს აწინაურებენ

ქუთაისის "ტორპედო" თავისივე გაზრდილების დაწინაურებას ცდილობს. რა თქმა უნდა, არიან ახალწვეულებიც, მაგრამ გუნდის აღმასრულებელი დირექტორის, **გიორგი პაპიაშვილის** თქმით, ახალმა თავკაცებმა **გიორგი კიკნაძემ** და **ზაზა ზამთარაძემ** დუბლშემადგენლობიდან სამი ნიჭიერი ახალგაზრდა დაიმატეს – ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი **გივი იოსელიანი**, გიორგი დევდარიანის ხელმძღვანელობით 17-წლამდელთა ნაკრებში ნათამაშევი **ცოტნე ხარაბაძე** და **ტაბატაძე**.

*"კარგია შედეგზე ფიქრი და ამ მიზნით გამოცდილი მოთამაშეების მიწვევა, მაგრამ "ტორპედომ" მომავალზეც უნდა იფიქროს, ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებს ფეხბურთელები გაუზარდოს. სწორედ ამით არის გამოწვეული ამ სამი მოთამაშის დაწინაურება და დარწმუნებული ვართ, მათ დიდი მომავალი აქვთ"* – თქვა პაპიაშვილმა.

საინტერესო ბედი აქვს ხარაბაძეს. 15 წლისა იყო, 17-წლამდელების ძირითად შემადგენლობაში რომ დაიმკვიდრა ადგილი და უმაღლეს ლიგაში "გაგრას" შემადგენლობაში ითამაშა, მაგრამ შემდეგ გადავიდა "ტორპედოში" და ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ კარიერა კი აერია - ბოლოს პირველი ლიგის ხარაგაულის "ჩხერიმელაში" თამაშობდა. კიდევ კარგი, დამნახავი გამოუჩნდა, თორემ ეს ნიჭიერი ბავშვიც დაიკარგებოდა...

პაპიაშვილმა დაადასტურა, სავსებით შესაძლებელია, ხმაურიანი ტრანსფერი განვახორციელოთო, თუმცა დასძინა: *"მწვრთნელებმა გადახედეს შემადგენლობას და რადიკალური ცვლილებებისგან თავს იკავებენ. მათი აზრით, დღევანდელ შემადგენლობას პოტენციალი აქვს, ჩვენ კი მათი გვჯერა. თუმცა მზად ვართ, მათი მოთხოვნით სასურველი ფეხბურთელები კიდევ ავიყვანოთ".*

ქუთაისის "ტორპედო" 24 ივნისიდან 4 ივლისამდე ურეკში, სასტუმრო "თბილისში" დაბინავდება და მოემზადება. მართალია, ამ ეტაპზე საკონტროლო მატჩებზე აქცენტს არ აკეთებენ, მაგრამ ურეკში აზერბაიჯანულ კლუბს ელიან და, შესაძლოა, მათთან ითამაშონ.

პაპიაშვილის თქმით, ქუთაისის "ტორპედო" ურეკში 22 ფეხბურთელით გაემგზავრება: *"მათი 95 პროცენტი ჩემპიონატს ჩვენთან გააგრძელებს, მაგრამ ვინმეს დამატებას, გაშვებას ან განათხოვრებასაც არ გამოვრიცხავთ. მწვრთნელები ყველას აკვირდებიან და ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება არ სურთ".*

პაპიაშვილმა **რევაზ გოცირიძის** დაბრუნება დაადასტურა, მაგრამ **დავით ბოლქვაძესა** და **რევაზ ქემოკლიძეზე** იმავეს ვერ ამბობს.

*"გოცირიძეს მართლაც შევუთანხმდით, გასარკვევია სევასტი თოდუას ამბავიც. 24 ივნისს გვეცოდინება, დარჩება თუ არა გუნდში. რაც შეეხება ბოლქვაძესა და ქემოკლიძეს – მათი საკითხი ჯერ შესათანხმებელია. ასე რომ, ჯერ მათ დამატებას ვერ დაგიდასტურებთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

**აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ანატოლი (გიგა) ნორაკიძის მეუღლე, უსათნოესი ქალბატონი ნათელა ბაკურაძე და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ნათესავებს, ახლობლებს.**

*დაკრძალვა ხუთშაბათს 23 ივნისს*
*მისამართი: ვაშლიჯვრის დასახლება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლტონი



გერი კეჰილი

# სატრანსფერო უღელკეჰილი

„ბოლტონის“ ცენტრალური მცველი, 25 წლის ინგლისელი **გერი კეჰილი** 17 მილიონი ფუნტი ღირს და მისი შეძენა „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ უნდა. „დეზების“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** „ასტონ ვილას“ ყოფილი ფეხბურთელის დიდი თაყვანისმცემელია. რედნაპს მისი გადაბირება ჯერ კიდევ იანვრის სატრანსფერო ბაზრობის დროს უნდოდა, მაგრამ კეჰილს სხვა თაყვანისმცემლებიც ჰყავს. კერძოდ, ინგლისის ნაკრების მოთამაშის შეძენით „არსენალი“ და „მანჩესტერ სიტი“ არიან დაინტერესებული. „დეზებს“ „არსენალთან“ კონკურენცია ასე თუ ისე კიდევ შეუძლია, უმდიდრეს ისტლენდელებს კი მოდი და, თუ ბიჭი ხარ, გაუწიე წინააღმდეგობა.

„ბოლტონს“ დღეისათვის 90 მილიონი ფუნტი ვალად აწევს და ფეხბურთელის სანაცვლოდ თანხის სრულად გამორთმევა კლუბისთვის დიდი შვება იქნებოდა, მაგრამ მწვრთნელ **ოუენ კოილს** ფულის გარდა ფეხბურთზეც აქვს საზრუნავი. მას ურჩევნია, კეჰილის სანაცვლოდ მყიდველს ფულიც გამოართვაც და ხურდაში მოყოლებული მოთამაშეც. კოილმა თქვა:

*„სანამ რომელიმე კლუბი წინადადებით მოგვმართავს, ჯობს კარგად დაფიქრდეს, რამდენად სწორად აფასებს გერი კეჰილს. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ამ მცველს იაფად ნამდვილად არ გავყიდით. გერი ის ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ გუნდს გააძლიერებს და, მართალი გითხრათ, როდესაც ვუყურებ, რა ხდება დღეს სატრანსფერო ბაზარზე, მიკვირს, ამდენ ხანს მის გამო კალთებს რატომ არ გვახევენ“.*

რედნაპი, თავის მხრივ, მზად არის, ხურდაში ნებისმიერ გუნდს **სებასტიან ბასონგი** მისცეს. ის 24 წლის კამერუნელი მცველი გახლავთ. კიდევ, არის 20 წლის ინგლისელი **დენი როუზის** ერთი წლით მიქირავების ვარიანტიც. როუზი „ტოტენჰემს“ კი ეკუთვნის, მაგრამ 2009 წლის შემდეგ გაქირავებულია, ხან „უოტფორდში“, ხან „პიტერბოროში“ და ხანაც „ბრისტოლ სიტიში“.

ჩელსი

# ჩელსის ახალი მწვრთნელი

## სერ ბობი რობსონის აღზრდილი კიდევ ერთი პორტუგალიელი სპეციალისტი

**რომან აბრამოვიჩს** ჯიბეზე ხელის გაკვრით მსოფლიო ბევრჯერ გაუკვირვებია. ამჯერად, „ჩელსის“ რუსმა მეპატრონემ მწვრთნელთა ტრანსფერის რეკორდი დაამყარა: „პორტუს“ **ანდრე ვილას-ბოასში** 13,25 მილიონი ფუნტი გადაუხადა. ეს თანხა ევროებში 15,065 მილიონს უდრის. ამბობენ, რომ „ლურჯების“ პატრონი პორტუგალიის ჩემპიონს ამით არ შეეშვება და 26,5 მილიონ ფუნტად 25 წლის კოლუმბიელ თავდამსხმელ **ფალკაოსაც** გამოართმევს. ცნობილი გახდა, რომ კლუბების წარმომადგენლები ამ საკითხის გასარკვევად ერთმანეთს პორტუს „შერატონში“ შეხვდნენ, თუმცა... ჯერ მწვრთნელისა ვთქვათ.

ამრიგად, დასავლეთლონდონელებს 33 წლის თავკაცი ეყოლებათ, გუნდის წამყვანი ფეხბურთელების, **ფრენკ ლემპარდისა** და **დიდიე დროგბას** ტოლი. ეს, ალბათ ერთგვარი რისკია, თუმცა მას მერე, რაც გამოცდილი და ახალგაზრდა სპეციალისტების წყვილად ამუშავების პროექტი ჩაუვარდა, აბრამოვიჩმა ავანტიურას მიმართა. შეგახსენებთ, რომ „ჩელსის“ პრეზიდენტს ზოგად ხელმძღვანელად და კლუბის საფეხბურთო პოლიტიკის წარმმართველად ჰოლანდიელი **გუს ჰიდინკის** დანიშვნა უნდოდა, უშუალოდ გუნდის თავკაცობას კი ხან ვის სთავაზობდა და ხან ვის, მაგრამ ეს ორიგინალური სისტემა ვერ ამუშავდა. ინგლისელმა ჟურნალისტებმა ჰოლანდიაში ჰიდინკის მეგობრებისგან გაიგეს, რომ ის თურქეთის ნაკრებში რჩება, პორტუგალიაში კი დაადასტურეს, რომ ვილას-ბოასთან ყველაფერი მოგვარებულია. ერთადერთი, „ჩელსი“ არ ჩქარობს და აცხადებს, რომ ყველაფერს, ოფიციალურად, რამდენიმე დღეში იტყვის.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ აბრამოვიჩი ის კაცია, რომელსაც თამამი გადაწყვეტილებების მიღება უყვარს, თუმცა ბრიტანულ გაზეთებში წერენ, რომ ვილას-ბოასის დანიშვნა თვით აბრამოვიჩისთვისაც რისკიანი გადაწყვეტილებაა. ამ პორტუგალიელმა სპეციალისტმა გასულ სეზონში „პორტუ“ შინ და ევროსარბიელზე სამ ტიტულამდე მიიყვანა - ინგლისში ასეთ რამეს „ტრებლის“ მოგებას ან შესრულებას უწოდებენ. მეორე მხრივ კი, ეს ის კაცია, რომლისთვისაც ლონდონში „სტემფორდ ბრიჯის“ მოგნება პრობლემას არ წარმოადგენს. 2004 წელს ის გახლდათ „ჩელსის“ მაშინდელი თავკაცის, **ჟოზე მოურინიოს** ასისტენტთა შორის ყველაზე ახალგაზრდა და გამორჩეული, რადგან მას პროფესიულ დონეზე ფეხბურთი არასდროს უთამაშია.

გავიხსენოთ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები ბოლო პერიოდში. თავიდან იდეა მარტივი იყო: აბრამოვიჩს „ჩელსის“ თავკაცად 64 წლის ჰიდინკის მიყვანა უნდოდა. ბიზნესმენი ჰოლანდიელს მწვრთნელს რუსეთის ნაკრების თავკაცობის დროიდან იცნობდა. 2009 წელს, ცოტა ხნით, მან ის შეთავსებით ამუშავა კიდეც „სტემფორდ ბრიჯზე“. როგორც ირკვევა, ხელქვეითად ახალგაზრდა მწვრთნელის მიყვანის იდეა მოგვიანებით ჰიდინკს გაუჩნდა. როგორც ჩანს, ჰოლანდიელს, ასაკის გამო, საწვრთნელ ბაზაზე ფეხბურთელებთან ერთად ყოველდღიურად ტალახის ზელა არ უნდოდა და აბრამოვიჩს ამ საქმისთვის სხვა კაცის აყვანა სთხოვა. აბრამოვიჩმა მისი წინადადება გაგებით მიიღო და საქმე ჯერ **მარკო ვან ბასტენს** შესთავაზა, შემდეგ კი **სტივ კლარკს**. მას მერე, რაც ამ ორმა კაცმა უარი თქვა, „ჩელსის“ მეპატრონემ პორტუში, ვილაშ-ბოაშთან აფრინა ხალხი, მაგრამ ამბიციური პორტუგალიელის პასუხი სხვანაირი გამოდგა - მას არავის ხელქვეითობა არ სურდა. ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, რომ ასეთ დღეში ჩავარდნილმა აბრამოვიჩმა, რასაკვირველია, კარგად გააანალიზა ყველა რისკი, რაც 33 წლის კაცის მოყვანას შეიძლებოდა მოჰყოლოდა თან, მაგრამ გადაწყვიტა ახალგაზრდობისა და ენთუზიაზმის მხარეს დამდგარიყო. თან, მედალს მეორე მხარეც აქვს: თუკი ჰიდინკი ასაკის გამო ყოველდღიურ წვრთნაში მონაწილეობას თავს არიდებს, სად არის გარანტია, რომ იმავე მიზეზით მალე სულ არ დაანებებს მუშაობას თავს? ახლა, ჰოლანდიელისთვის „ჩელსიში“ საფეხბურთო საქმეთა დირექტორის ჩვეულებრივი თანამდებობა რჩება, მაგრამ მან ასეთსავე შეთავაზებაზე „აიაქსს“ უკვე უთხრა უარი.

ერთი სიტყვით, ჰოლანდიურ გაზეთ „დას ტელეგრაფში“ გამოქვეყნებულ სვეტში ჰიდინკმა დაწერა, რომ ბოლო ხანს მის გარშემო უამრავი ჭორი აგორდა, მაგრამ ამ ჭორებს მნიშვნელობა არ აქვს. ის თურქეთის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს ელაპარაკა, საუბარი ჯანსაღი, სასარგებლო გამოდგა და გადაწყდა, რომ ამ ქვეყნის ნაკრებთან კონტრაქტს არ ელალატება.

*„მე მინდა თურქებთან კონტრაქტს ვუერთგულო და საქმე ბოლომდე მივიყვანო“* — დაწერა ჰიდინკმა.

ინგლისში ეჭვი აქვთ, რომ 33 წლის კაცის მწვრთნელად მიღება „ჩელსის“ ფეხბურთელებს თავიდან გაუჭირდებათ. გარდა იმისა, რომ ვილას-ბოასი მათზე დიდად უფროსი არ არის, ეს ის კაცია, რომელიც, წლების წინ, მათ გუნდში DVD-ს დაარბენინებდა და ერთხელ, „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ შეხვედრის დროს **ფრენკ რაიკაარდს** ხელჩართული ჩხუბი გაუმართა. მოურინიოს ვილას-ბოასი მოწინააღმდეგეების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად სჭირდებოდა. ის „ლურჯების“ თითოეულ ფეხბურთელს



გუშინ ვილას-ბოასმა ოფიციალურად დატოვა პორტუ

კონკრეტულ მეტოქეზე ვიდეომასალით ამარაგებდა - თავდამსხმელებს იმ მცველებზე უგროვებდა მასალას, რომლებიც მათ, სავარაუდოდ, მეურვეობას დაუწყებდნენ, მცველებს კი, თავიანთ წილ ფორვარდებზე ამარაგებდა ყველა სახის ინფორმაციით.

„ჩელსის“ მავანმა თანამშრომელმა ტაბლოიდებს უამბო: *„ანდრე ძალიან ჭკვიანი ადამიანია და ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობს (ბებიამისი, **მარგარეტ კენდალი** ინგლისელი გახლდათ), მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრათ, „ჩელსის“ მომავალ მწვრთნელად ვერასდროს წარმოვიდგენდი“.*

**ანდრე ვილას-ბოასს** ფეხბურთი ფაქტობრივად არ უთამაშია. ხუმრობით ამბობენ, მოურინიოს მასზე დიდი კარიერა ჰქონდაო. როდესაც მიხვდა, რომ პროფესიულ ფეხბურთზე ოცნებასაც კი აღარ ჰქონდა აზრი, მეზობლის, „პორტუს“ მაშინდელი მწვრთნელის, დიდი ინგლისელის, სერ **ბობი რობსონის** ბინასთან მივიდა და კარქვეშ წერილი შეაცურა, **დომინგუშ პასიენსას** სათადარიგოთა სკამზე ნუ დასვამთ, მისი შემადგენლობაში ყოფნა უფრო სასარგებლო იქნებაო. მაშინ, 1994 წელს ის 17 წლისა იყო. ბედის ირონიაა, რომ 2011 წლის ევროლიგის ფინალში, დუბლინში, ვილას-ბოასის „პორტუმ“ სწორედ პასიენსას „ბრაგას“ მოუგო.

რობსონმა მეზობლის ყმაწვილი უყურადღებოდ არ დატოვა, შინ მიიპატიჟა და უამბო იმ ტაქტიკური მოსაზრებების შესახებ, რომელთა გამოც ის მის ფავორიტს ძირითადში არ ათამაშებდა, მაგრამ, როდესაც მისგან საპასუხო არგუმენტები მოისმინა, მიხვდა, რომ ნიჭიერ ადამიანთან ჰქონდა საქმე და „პორტუს“ ყმაწვილთა გუნდში ერთ-ერთ მწვრთნელად მოაწყო.

ამით არ დაკმაყოფილდა სერ ბობი და ვილას-ბოასს ინგლისში, ლილეშელის მწვრთნელთა სკოლაშიც უშუამდგომლა — ის ხომ ჯერ პატარა იყო. სწორედ ამ სკოლაში ისწავლა ყმაწვილმა საფეხბურთო ტაქტიკის ანაბანა და C კატეგორიის ლიცენზიაც მიიღო. რობსონის დახმარებით პორტუგალიელი ახალგაზრდა, სხვადასხვა დროს, შოტლანდიასა და სერ ბობის ყოფილ კლუბ „იფსვიჩ თაუნში“ მუშაობდა.

21 წლის ვილას-ბოასი ვირჯინიის კუნძულების ფეხბურთის ასოციაციაში ტექნიკურ დირექტორად და მწვრთნელად მოეწყო. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში მისმა გუნდმა ბერმუდასთან წააგო და თან, იმ შეხვედრაში, ბერმუდელმა ვარსკვლავმა **შონ გოტერმა**, რომელიც 41 წლის არის, მაგრამ ინგლისში შარშანდლამდე აგორებდა ბურთს, 5 გოლი გაიტანა. ეს იყო და ეს, რობსონის პროტეჟემ ჩანთა ჩაალაგა და სამშობლოში დაბრუნდა, სადაც „პორტუს“ 19 წლამდელთა მწვრთნელად მოეწყო. ერთი წლის შემდეგ „პორტუში“ მოურინიოც მივიდა და ის მთავარს სკაუტ-ასისტენტად გადაიყვანა.

ანდრე ვილას-ბოასი მოურინიოს ნაჰყვა „ჩელსისა“ და „ინტერში“, თუმცა, 2009 წელს, როდესაც „აკადემიკა დე კოიმბრას“ მწვრთნელობა შესთავაზეს „განსაკუთრებულს“ დაშორდა. ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით „აკადემიკა დე კოიმბრა“ გავარდნას გადარჩა, ცხრილის შუაში დამკვიდრდა და... ვილას-ბოასმა „პორტუდან“ მიიღო მოწვევა.

*„მე ჟოზესგან რჩევებს აღარ ვიღებ. „აკადემიკაში“ რომ ვიყავი, ხშირად ვურეკავდი, მაგრამ დღეს ყველაფერი სხვანაირად არის“* — თქვა ამას წინათ „ჩელსის“ მომავალმა თავკაცმა.

ტოტენჰემი

# ლუკა მოდრიჩი



ლუკა მოდრიჩი

25 წლის ხორვატმა ნახევარმცველმა **ლუკა მოდრიჩმა** „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ახალი ფორმის პრეზენტაცია მოაწყო. არადა, მოგეხსენებათ, მოდრიჩი ის ფეხბურთელია, რომელშიც „ჩელსი“ 22 მილიონ ფუნტს იხდის და მართალია, „სფურზის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** დაჟინებით იმეორებს, რომ მის გაყიდვას არ აპირებს, რა მოხდება კაცმა არ იცის.

ფორმა „ტოტენჰემს“ კვლავ „პუმამ“ შეუკერა. მოდრიჩმა და მისმა თანაგუნდელებმა სამი ვარიანტი წარმოადგინეს: საშინაო, სტუმრად ჩასაცმელი და მესამე, ანუ სათადარიგო. ახალი ფორმის დიზაინი გაცილებით კლასიკურია. მაისურებზეც ახალი წარწერაა: AURASMA. ეს კომპიუტერული პროგრამების კომპანიის Autonomy-ის ახალი პროდუქტია. გეხსომებათ, გასულ სეზონში „ტოტენჰემს“ გასულ სეზონში მკერდზე სწორედ ამ ფირმის სახელწოდება ეწერა - ის ტექნიკური სპონსორი გახლდათ.

„დეზები“ თავიანთ ახალ ფორმას პირველად 13 აგვისტოს, „ევერტონთან“, პრემიერლიგის ახალი სეზონის პირველ შეხვედრაში ჩაიცვამენ, მაგრამ იქნება კი იმ დღეს მოდრიჩი მათი გუნდის წევრი? „ტოტენჰემის“ სატრანსფერო კოშმარს ისიც აგრძელებს, რომ უკრაინიდან კიევის „დინამომ“ **ნიკო კრანჩარის** ყიდვა მოინადინა. 26 წლის კრანჩარი „უაით ჰართ ლეინიდან“ გაქცევაზეა. მას გასულ სეზონში, ჰარი რედნაპი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ათამაშებდა. „დინამოს“ პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** კი თქვა:

*„ჩვენ კრანჩარის შეძენა გვსურს და ლონდონელებთან მოლაპარაკებას ვაპირებთ. მართალია, ჯერ არც კლუბის წარმომადგენლებს შევხვედრივართ და არც თავად ფეხბურთელის აგენტებთან გვილაპარაკია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ყიდვა ჩვენს გეგმებში შედის. ჩვენ ისედაც ბევრი სასურველი ფეხბურთელი გავუშვით ხელიდან. იმიტომ კი არა, რომ მათი სამყოფი ფული არ გვაქვს, არამედ იმიტომ, რომ მათ უმრავლესობას უკრაინის ჩემპიონატში თამაში არ სურდა. თუ კრანჩარი ამ საკითხზე დაფიქრდება და „დინამოში“ გადმოსვლის წინააღმდეგი არ იქნება, სიამოვნებით ვიყიდით“.*

შეგახსენებთ, რომ კრანჩარი „ტოტენჰემამდე“ რედნაპთან „პორტსმუთში“ თამაშობდა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ამბები



კლოდ პიუელი

### ლიონმა პიუელი გაუშვა

"ლიონმა" ოფიციალურად გამოაცხადა, რომ **კლოდ პიუელი** მომავალი სეზონიდან გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება. მხარეთა შორის გაფორმებულ კონტრაქტს ვადა ერთი წლის შემდეგ გასდიოდა, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით ის უკვე შეწყდა. ფრანგული პრესის ცნობით, მწვრთნელი კლუბისგან კომპენსაციის სახით 4 მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ **მუსიე პიუელი** "ლიონში" 2008 წლიდან მუშაობდა და ამ 3 სეზონის განმავლობაში ოქროს ვერაფრით შესწვდა. 2009 და 2011 წლებში მისი გუნდი მესამე იყო, 2010-ში კი მე-2.

ინფორმაცია ჯერ კიდევ "ცხელ-ცხელი" იყო, როცა ესპანურმა ვებგვერდებმა დაწერეს, შესაძლოა, პიუელი ბილბაოს "ატლეტიკში" დაინიშნოსო. ბასკური კლუბის პრეზიდენტმა **ფერნანდო გარსია მაკუამ** ეს ხმები კატეგორიულად უარყო. მას წინ კლუბის პრეზიდენტის არჩევნები აქვს და ამბობს, რომ თავისი სიტყვის ერთგული დარჩება: *"დაიწერა, რომ მე შეიძლება აქცენტი პიუელზე გავაკეთო, მაგრამ არაფერ მსგავსს მე არ ვგეგმავ. ნამდვილად ვიცი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში "ატლეტიკს" ისევ ხოაკინ კაპაროსი უხელმძღვანელებს".*

### მარსელი და მორელი

"მარსელმა" კვალიფიციური მარცხენა მცველი დიდხანს ეძება და ბოლოს მიაგნო. ვიცე-ჩემპიონმა "ლორიანის" 27 წლის კაპიტანი **ჟერემი მორელი** თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაიბირა და მასთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჟერემი 2002 წლიდან ამ კლუბში ირიცხებოდა, სადაც 214 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა. ამრიგად "ლორიანმა" უკვე მესამე ფეხბურთელი დაკარგა, პირველმა კლუბი **მორგან ამალფიტანომ** დატოვა და მანაც სწორედ "ველოდრომს" მიაშურა, შემდეგ **კევინ გამეირომ** "პარი სენ-ჟერმენის" მაისურა მოირგო, ახლა კი მათ გზას მორელიც დაადგა. ფეხბურთელის განცხადებით "ლორიანიდან" წასვლის სურვილი იმით იყო განპირობებული, რომ მას თავისი ამბიციების დამტკიცება სურდა, "მარსელმა" კი მას ამის შანსი მისცა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**





ჟერემი მორელი

## საფრანგეთი. ლიგა 1. კალენდარი

**I ტური. 6 აგვისტო. 2011**
პსჟ-ლორიანი
ნიცა-ლიონი
ლანსი-ლილი
მონპელიე-ოსერი
მარსელი-სოშო
დიჟონი-რენი
კანი-ვალანსიენი
ბრესტი-ევიანი
ბორდო-სენტ ეტიენი
აიაჩო-ტულუზი

**II ტური. 13 აგვისტო 2011**
რენი-პსჟ
სენტ-ეტიენი-ნანსი
სოშო-კანი
ტულუზი-დიჟონი
ვალანსიენი-ბრესტი
ლიონი-აიაჩო
ლორიანი-ბორდო
ლილი-მონპელიე
ევიანი-ნიცა
ოსერი-მარსელი

**III ტური. 20 აგვისტო. 2011**
პსჟ-ვალანსიენი
ნანსი-სოშო
ნიცა-ტულუზი
მონპელიე-რენი
მარსელი-სენტ-ეტიენი
დიჟონი-ლორიანი
კანი-ლილი
ბრესტი-ლიონი
ბორდო-ოსერი
აიაჩო-ევიანი

**IV ტური. 27 აგვისტო. 2011**
რენი-კანი
სოშო-სენტ-ეტიენი
ტულუზი-პსჟ
ვალანსიენი-ბორდო
ნიცა-ბრესტი
ლიონი-მონპელიე
ლორიანი-ნანსი
ლილი-მარსელი
ევიანი-დიჟონი
ოსერი-აიაჩო

**V ტური. 10 სექტემბერი. 2011**
ნანსი-ოსერი
პსჟ-ბრესტი
სენტ-ეტიენი-ლილი
სოშო-ლორიანი
მონპელიე-ნიცა
მარსელი-რენი
დიჟონი-ლიონი
კანი-ტულუზი
ბორდო-ევიანი
აიაჩო-ვალანსიენი

**VI ტური. 17 სექტემბერი. 2011**
ნიცა-აიაჩო
რენი-ნანსი
ტულუზი-ბორდო
ვალანსიენი-დიჟონი
ლიონი-მარსელი
ლორიანი-სენტ-ეტიენი
ლილი-სოშო
ევიანი-პსჟ
ბრესტი-მონპელიე
ოსერი-კანი

**VII ტური. 21 სექტემბერი. 2011**
ნანსი-ვალანსიენი
პსჟ-ნიცა
სენტ-ეტიენი-ტულუზი
სოშო-რენი
მარსელი-ევიანი
ლორიანი-ოსერი
დიჟონი-ბრესტი
კანი-ლიონი
ბორდო-ლილი
აიაჩო-მონპელიე

**VIII ტური. 24 სექტემბერი. 2011**
ნიცა-დიჟონი
რენი-სენტ-ეტიენი
ტულუზი-ნანსი
ვალანსიენი-მარსელი
მონპელიე-პსჟ
ლიონი-ბორდო
ლილი-ლორიანი
ევიანი-კანი
ბრესტი-აიაჩო
ოსერი-სოშო

**IX ტური. 1 ოქტომბერი. 2011**
ნანსი-ევიანი
პსჟ-ლიონი
სენტ-ეტიენი-ოსერი
სოშო-ტულუზი
მარსელი-ბრესტი
ლორიანი-ვალანსიენი
ლილი-რენი
დიჟონი-აიაჩო
კანი-ნიცა
ბორდო-მონპელიე

**X ტური. 15 ოქტომბერი. 2011**
ნიცა-ბორდო
რენი-ლორიანი
ტულუზი-მარსელი
ვალანსიენი-სოშო
მონპელიე-დიჟონი
ლიონი-ნანსი
ევიანი-სენტ-ეტიენი
ბრესტი-კანი
ოსერი-ლილი
აიაჩო-პსჟ

**XI ტური. 22 ოქტომბერი. 2011**
ნანსი-ნიცა
პსჟ-დიჟონი
სენტ-ეტიენი-ვალანსიენი
სოშო-ევიანი
მარსელი-აიაჩო
ლორიანი-ტულუზი
ლილი-ლიონი
კანი-მონპელიე
ბორდო-ბრესტი
ოსერი-რენი

**XII ტური. 29 ოქტომბერი 2011**
პსჟ-კანი
ტულუზი-რენი
ვალანსიენი-ლილი
მონპელიე-ნანსი
ნიცა-სოშო
ლიონი-სენტ-ეტიენი
ევიანი-ოსერი
დიჟონი-მარსელი
ბრესტი-ლორიანი
აიაჩო-ბორდო

**XIII ტური. 5 ნოემბერი. 2011**
ნანსი-ბრესტი
რენი-ვალანსიენი
სენტ-ეტიენი-მონპელიე
სოშო-ლიონი
მარსელი-ნიცა
ლორიანი-აიაჩო
ლილი-ევიანი
კანი-დიჟონი
ბორდო-პსჟ
ოსერი-ტულუზი

**XIV ტური. 19 ნოემბერი 2011**
ნიცა-სენტ-ეტიენი
პსჟ-ნანსი
ტულუზი-ლილი
ვალანსიენი-ოსერი
მონპელიე-მარსელი
ლიონი-რენი
ევიანი-ლორიანი
დიჟონი-ბორდო
ბრესტი-სოშო
აიაჩო-კანი

**XV ტური. 26 ნოემბერი. 2011**
რენი-ევიანი
სენტ-ეტიენი-აიაჩო
სოშო-მონპელიე
ტულუზი-ვალანსიენი
ნანსი-დიჟონი
მარსელი-პსჟ
ლორიანი-ნიცა
ლილი-ბრესტი
ბორდო-კანი
ოსერი-ლიონი

**XVI ტური. 3 დეკემბერი. 2011**
ლიონი-ტულუზი
მონპელიე-ლორიანი
ნიცა-რენი
პსჟ-ოსერი
ევიანი-ვალანსიენი
დიჟონი-სოშო
კანი-მარსელი
ბრესტი-სენტ-ეტიენი
ბორდო-ნანსი
აიაჩო-ლილი

**XVII ტური. 10 დეკემბერი. 2011**
სენტ-ეტიენი-კანი
სოშო-პსჟ
ტულუზი-ევიანი
ვალანსიენი-მონპელიე
რენი-ბრესტი
ნანსი-აიაჩო
მარსელი-ბორდო
ლორიანი-ლიონი
ლილი-დიჟონი
ოსერი-ნიცა

**XVIII ტური. 17 დეკემბერი 2011**
მარსელი-ლორიანი
მონპელიე-ტულუზი
ნიცა-ვალანსიენი
პსჟ-ლილი
ლიონი-ევიანი
დიჟონი-სენტ-ეტიენი
კანი-ნანსი
ბრესტი-ოსერი
ბორდო-სოშო
აიაჩო-რენი

**XIX ტური. 21 დეკემბერი. 2011**
სენტ-ეტიენი-პსჟ
სოშო-აიაჩო
ტულუზი-ბრესტი
ვალანსიენი-ლიონი
რენი-ბორდო
ნანსი-მარსელი
ლორიანი-კანი
ლილი-ნიცა
ევიანი-მონპელიე
ოსერი-დიჟონი

**XX ტური. 14 იანვარი 2012**
მონპელიე-ლიონი
ნანსი-ლორიანი
პსჟ-ტულუზი
სენტ-ეტიენი-სოშო
მარსელი-ლილი
დიჟონი-ევიანი
კანი-რენი
ბრესტი-ნიცა
ბორდო-ვალანსიენი
აიაჩო-ოსერი

**XXI ტური. 28 იანვარი. 2012**
ნიცა-მონპელიე
რენი-მარსელი
ტულუზი-კანი
ვალანსიენი-აიაჩო
ლიონი-დიჟონი
ლორიანი-სოშო
ლილი-სენტ-ეტიენი
ევიანი-ბორდო
ბრესტი-პსჟ
ოსერი-ნანსი

**XXII ტური. 4 თებერვალი. 2012**
ნანსი-რენი
პსჟ-ევიანი
სენტ-ეტიენი-ლორიანი
სოშო-ლილი
მონპელიე-ბრესტი
მარსელი-ლიონი
დიჟონი-ვალანსიენი
კანი-ოსერი
ბორდო-ტულუზი
აიაჩო-ნიცა

**XXIII ტური. 11 თებერვალი. 2012**
ნიცა-პსჟ
რენი-სოშო
ტულუზი-სენტ-ეტიენი
ვალანსიენი-ნანსი
მონპელიე-აიაჩო
ლიონი-კანი
ლილი-ბორდო
ევიანი-მარსელი
ბრესტი-დიჟონი
ოსერი-ლორიანი

**XXIV ტური. 18 თებერვალი. 2012**
ლანსი-ტულუზი
პსჟ-მონპელიე
სენტ-ეტიენი-რენი
სოშო-ოსერი
მარსელი-ვალანსიენი
ლორიანი-ლილი
დიჟონი-ნიცა
კანი-ევიანი
ბორდო-ლიონი
აიაჩო-ბრესტი

**XXV ტური. 25 თებერვალი. 2012**
ნიცა-კანი
რენი-ლილი
ტულუზი-სოშო
ვალანსიენი-ლორიანი
მონპელიე-ბორდო
ლიონი-პსჟ
ევიანი-ნანსი
ბრესტი-მარსელი
ოსერი-სენტ-ეტიენი
აიაჩო-დიჟონი

**XXVI ტური. 3 მარტი 2012**
ნანსი-ლიონი
პსჟ-აიაჩო
სენტ-ეტიენი-ევიანი
სოშო-ვალანსიენი
მარსელი-ტულუზი
ლორიანი-რენი
ლილი-ოსერი
დიჟონი-მონპელიე
კანი-ბრესტი
ბორდო-ნიცა

**XXVII ტური. 10 მარტი. 2012**
ნიცა-ნანსი
რენი-ოსერი
ტულუზი-ლორიანი
ვალანსიენი-სენტ-ეტიენი
მონპელიე-კანი
ლიონი-ლილი
ევიანი-სოშო
დიჟონი-პსჟ
ბრესტი-ბორდო
აიაჩო-მარსელი

**XXVIII ტური. 17 მარტი. 2012**
ნანსი-მონპელიე
რენი-ტულუზი
სენტ-ეტიენი-ლიონი
სოშო-ნიცა
მარსელი-დიჟონი
ლორიანი-ბრესტი
ლილი-ვალანსიენი
კანი-პსჟ
ბორდო-აიაჩო
ოსერი-ევიანი

**XXIX ტური. 24 მარტი 2012**
ნიცა-მარსელი
პსჟ-ბორდო
ტულუზი-ოსერი
ვალანსიენი-რენი
მონპელიე-სენტ-ეტიენი
ლიონი-სოშო
ევიანი-ლილი
დიჟონი-კანი
ბრესტი-ნანსი
აიაჩო-ლორიანი

**XXX ტური. 31 მარტი. 2012**
ნანსი-პსჟ
რენი-ლიონი
სენტ-ეტიენი-ნიცა
სოშო-ბრესტი
მარსელი-მონპელიე
ლორიანი-ევიანი
ლილი-ტულუზი
კანი-აიაჩო
ბორდო-დიჟონი
ოსერი-ვალანსიენი

**XXXI ტური. 7 აპრილი. 2012**
მონპელიე-სოშო
ნიცა-ლორიანი
პსჟ-მარსელი
ვალანსიენი-ტულუზი
ლიონი-ოსერი
ევიანი-რენი
დიჟონი-ლანსი
კანი-ბორდო
ბრესტი-ლილია
იაჩო-სენტ-ეტიენი

**XXXII ტური. 15 აპრილი. 2012**
სენტ-ეტიენი-ბრესტი
სოშო-დიჟონი
ტულუზი-ლიონი
ვალანსიენი-ევიანი
რენი-ნიცა
ნანსი-ბორდო
მარსელი-კანი
ლორიანი-მონპელიე
ლილი-აიაჩო
ოსერი-პსჟ

**XXXIII ტური. 21 აპრილი. 2012**
ლიონი-ლორიანი
მონპელიე-ვალანსიენი
ნიცა-ოსერი
პსჟ-სოშო
ევიანი-ტულუზი
დიჟონი-ლილი
კანი-სენტ-ეტიენი
ბრესტი-რენი
ბორდო-მარსელი
აიაჩო-ნანსი

**XXXIV ტური. 29 აპრილი. 2012**
სენტ-ეტიენი-დიჟონი
სოშო-ბორდო
ტულუზი-მონპელიე
ვალანსიენი-ნიცა
რენი-აიაჩო
ნანსი-კანი
ლორიანი-მარსელი
ლილი-პსჟ
ევიანი-ლიონი
ოსერი-ბრესტი

**XXXV ტური. 2 მაისი. 2012**
მარსელი-ნანსი
მონპელიე-ევიანი
ნიცა-ლილი
პსჟ-სენტ-ეტიენი
ლიონი-ვალანსიენი
დიჟონი-ოსერი
კანი-ლორიანი
ბრესტი-ტულუზი
ბორდო-რენი
აიაჩო-სოშო

**XXXVI ტური. 5 მაისი. 2012**
სენტ-ეტიენი-მარსელი
სოშო-ნანსი
ტულუზი-ნიცა
ვალანსიენი-პსჟ
რენი-მონპელიე
ლიონი-ბრესტი
ლორიანი-დიჟონი
ლილი-კანი
ევიანი-აიაჩო
ოსერი-ბორდო

**XXXVII ტური. 12 მაისი. 2012**
მონპელიე-ლილი
ლანსი-სენტ-ეტიენი
ნიცა-ევიანი
პსჟ-რენი
მარსელი-ოსერი
დიჟონი-ტულუზი
კანი-სოშო
ბრესტი-ვალანსიენი
ბორდო-ლორიანი
აიაჩო-ლიონი

**XXXVIII ტური. 20 მაისი. 2012**
ტულუზი-აიაჩო
სოშო-მარსელი
სენტ-ეტიენი-ბორდო
რენი-დიჟონი
ლიონი-ნიცა
ლორიანი-პსჟ
ლილი-ნანსი
ევიანი-ბრესტი
ოსერი-მონპელიე
ვალანსიენი-კანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. კლაუსურა. ბოლო ტურის მიმოხილვა




ველესის დამახსოვრებული ფიესტა

# კლაუსურა, პალერმო მორჩა. რივერი?

## მცირე შტილი კოპამდე

**ინდეპენდიენტე-ურაკანი 5:1**

**გოლები:** 1:0 პარა (16), 2:0 სილვერა (32), 3:0 პ. როდრიგესი (51), 4:0 პ. როდრიგესი (71), 4:1 კამპორა (79-პენ), 5:1 ნუნიესი (89)

**გაძევება:** მონსონი (59 - ურაკანი)

**ხიმნასია-ბოკა 2:2**

**გოლები:** 1:0 გრაფი (8), 2:0 ბაროს სკელოტო (12-პენ), 2:1 სელაი (32), 2:2 სელაი (90)

**კილმესი-ოლიმპო 0:1**

**გოლი:** 0:1 როლე (8)

**რივერი-ლანუსი 1:2**

**გოლები:** 0:1 ს. რომერო (30), 1:1 ლამელა (47), 1:2 ლ. დიასი (90)

**არხენტინოსი-ტიგრე 1:1**

**გოლები:** 1:0 ბლანდი (20), 1:1 რ. მარტინესი (28)

**გაძევება:** ჯენტილეტი (75. არხენტინოსი)

**გოდოი კრუსი-ოლ ბოისი 1:0**

**გოლი:** 1:0 ნ. სანჩესი (51)

**არსენალი-ესტუდიანტესი 1:0**

**გოლი:** 1:0 ობოლო (74)

**ნიუელსი-კოლონი 1:0**

**გოლი:** 1:0 სპერდუტი (88)

**ბანფილდი-სან ლორენსო 1:1**

**გოლები:** 1:0 ტოლედო (32), 1:1 დოს სანტოსი (44 ს.კ.)

**ველესი-რასინგი 2:1**

**გოლები:** 0:1 აუჩე (10), 1:1 საპატა (15), 2:1 ა. ფერნანდესი (19)

**არგენტინაში დასრულდა რიგით 82-ე საფეხბურთო სეზონი, რომელიც, ტრადიციულად, ორი ტურნირისაგან (აპერტურა, კლაუსურა) შედგებოდა. აპერტურა „ესტუდიანტესმა" მოიგო, ხოლო „კლაუსურა" - „ველეს სარსფილდმა". ახლა, თუ არ ჩავთვლით გადასასვლელ თამაშებს, არგენტინა „კოპა ამერიკას" წინ დროებით გაირინდება. „ველეს სარსფილდისთვის" ეს მე-8 ტიტულია და ჩემპიონობა დასავლეთ ბუენოს აირესში დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს (ჩემპიონობა „ველესმა" წინა ტურში გაინაღდა).**

### ტურის მოვლენები

ის, რისიც ასე ეშინოდათ „მილიონარიოსის" გულშემატკივრებს, მაინც მოხდა - დიდი სირცხვილი, არგენტინის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი „რივერ პლეიტი" პრიმერადივიზიონში დასარჩენად გადათამაშებაში იბრძოლებს. სირცხვილს ვინლა დაეძებს, უკვე ძალიან ბევრს ეპარება ეჭვი, რომ „რივერი" „ზონა პრომოსიონში" „ატლეტიკო ბელგრანოს" წინააღმდეგობას დაძლევს და ელიტაში დარჩება. ეს კი უკვე არნახული რამ იქნება.

„კილმესი" მაინც გავარდა პრიმერა ნასიონალ B ლიგაში. 3-4 ტურის წინ ეს გუნდი განწირული ჩანდა, თუმცა შემდეგ გაიბრძოლა და ბოლო ტურის წინ გადარჩენის შანსიც გაუჩნდა. აქ კი „კილმესი" შინ „ოლიმპოსთან" დამარცხდა. ადიოს!

მეორე უიღბლოს ვინაობა ბოლო სამმა სეზონმა და ურთულესმა სისტემამაც ვერ გამოარკვია - „ხიმნასიამ" და „ურაკანმა" ზუსტად ერთნაირი კოეფიციენტი - 1,096 დააგროვეს. ახლა ეს გუნდები ერთმანეთში გაარკვევენ, რომელი პირდაპირ გავარდება და რომელი ითამაშებს „ზონა პრომოსიონში".

გაირკვა „კოპა სუდამერიკანას" დარჩენილ საგზურთა მფლობელებიც - „არსენალი" და „არხენტინოსი". „რასინგს" შეეძლო საგზურის მოპოვება, მაგრამ ბოლო ტურში უკვე ჩემპიონ „ველესთან" მარცხი ძვირად დაუჯდა. ამ თამაშის შემდეგ „აკადემიის" მწვრთნელი **მიგელ ანხელ რუსო** აღარ არის. მას მომავალ სეზონში **დიეგო სიმეონე** შეცვლის. რუსო უმუშევარი არ რჩება, ის „ესტუდიანტესს" ჩაუდგება სათავეში.

**მარტინ პალერმომ** ითამაშა კარიერის უკანასკნელი მატჩი. „ხიმნასია"-"ბოკას" მატჩში მასპინძელთა რიგებში ფეხბურთს პალერმოს მეგობარი **გილერმო სკელოტო** ეთხოვებოდა. მას არ გაუმართლა, ისეთი დაზიანება მიიღო, რომ მოედნიდან საკაცით გაიყვანეს, ხოლო დაზიანებული კისერი სპეციალური სამაგრით დაუმაგრეს. ისე, „ხიმნასია" გადარჩენისთვის ბრძოლას აგრძელებს და რომ არ დაშავებულიყო, სკელოტოს თამაში კიდევ მოუწევდა. მარტინის კარიერასთან ერთად კი მთელი ეპოქა დასრულდა არგენტინულ ფეხბურთში.

### ტურის ციფრები

გუნდებმა ბოლო ტურში 24 გოლი გაიტანეს. მასპინძლებმა 15-ჯერ გამოიჩინეს თავი, სტუმრებმა - 9-ჯერ. „ინდეპენდიენტეს" ახალმა ლიდერმა **პატრისიო როდრიგესმა** დუბლი შეასრულა, ტურის მეორე დუბლი კი ბოკელ **კრისტიან სელაის** ეკუთვნის.

როგორც აპერტურაში, აქაც ბომბარდირთა დავა ორმა ფეხბურთელმა 11-11 გოლით მოიგო. ერთ-ერთი ბოლოადგილოსანი „ურაკანის" ფორვარდი **ხავიერ კამპორაა** (31 წლის), რომელმაც გუნდის 18 გოლიდან 11 გაიტანა! მეორე კი ძალიან მაღალი დონის კოლუმბიელი შემტევი **ტეოფილო გუტიერესია** (26 წლის), რომელიც კლაუსურას წინ „ტრაბზონიდან" შეუერთდა „რასინგს". ევროპაში კამპორასაც უასპარეზია - ბერძნულ „არისში".

### ტურის მატჩი

**ხიმნასია VS ბოკა ხუნიორსი**

### ტურის გმირი

**მატიას იბანიესი** (ოლიმპო)

„ოლიმპოს" მოგება ჰაერივით ესაჭიროებოდა სტუმრად „კილმესთან". ასეთ შემთხვევაში გუნდი გადასასვლელ ტურნირს თავს დააღწევდა. პირველ ტაიმში სტუმართა ძირითადმა მეკარე **ტომბოლინიმ** ტრავმა მიიღო, კარში იბანიესი ჩადგა და დიდებულად ითამაშა. იბანიესმა ძალიან ბევრი სახიფათო დარტყმა მოიგერია. პრინციპში, „რივერის" ფანებმა უნდა იცოდნენ, რომ „ზონა პრომოსიონში" მატიას იბანიესის გამო მოხვდა მათი საყვარელი გუნდი.

### ტურის დრამა

„ურაკანმა" რაღაც კლინიკური სიკვდილის მსგავსი გადაიტანა - „გლობო" 1:5 განადგურდა „ინდეპენდიენტესთან". ეს თამაში ყველაზე ადრე იყო. შემდეგ „ხიმნასია" „ბოკას" 2:1-ს უგებდა და ყველამ გამოიტირა „ურაკანი". და აი, ბოლო წუთებზე **რიკელმე** აწვდის, პალერმო კარიერაში უკანასკნელად ეხება ბურთს და თან დიდებულად, იქვე სელაის უგდებს და 2:2. მოკლედ, ახლა „ურაკანმა" „ხიმნასიასთან" მატჩში უნდა გაარკვიოს უიღბლოს ვინაობა.

### ტურის გოლები

**გუსტავო ტოლედო** (ბანფილდი): „სან ლორენსოს" კარში.

**ლეონელ ნუნიესი** (ინდეპენდიენტე): მე-5 გოლი „ურაკანის" კარში.

**მაურისიო სპერდუტი** (ნიუელს ოლდ ბოისი): „კოლონის" კარში.

### კლაუსურა - 2011-ის ჩემპიონი ველეს სარსფილდი

**მეკარეები:** მარსელო ბაროვერო (19 თ), მარსელო მონტოია.

**მცველები:** ფერნანდო ორტისი (16, 1 გ), სებასტიან დომინგესი (16), გასტონ დიასი (9), ფერნანდო ტობიო (7), მარიანო ბიტოლო (1), ხუან სილისი (1).

**ნახევარმცველები:** აუგუსტო ფერნანდესი (17, 4), ემილიანო პაპა (16, 1), მაქსიმილიანო მორალესი (15, 4), დავიდ რამირესი (13, 8), რიკარდო ალვარესი (13, 3), ვიქტორ საპატა (13, 2), ექტორ კანტეროსი (13, 1), ივან ბელა (13), ფრანკო რასოტი (11), ფაბიან კუბერო (10, 1), ლეანდრო დესაბატო (2).

**თავდამსხმელები:** ხუან მარტინესი (17, 3), სანტიაგო სილვა (13, 7), აგუსტინ ვულეტიჩი (8, 1), გილერმო ფრანკო (5), მაქსიმილიანო ჯიუსტი (4), ესეკიელ რესკალდანი (2).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 19 | 12 | 3 | 4 | 36-17 | 39 |
| 2. ლანუსი | 19 | 10 | 5 | 4 | 29-16 | 35 |
| 3. გოდოი კრუსი | 19 | 10 | 4 | 5 | 33-28 | 34 |
| 4. ოლიმპო | 19 | 8 | 6 | 5 | 28-23 | 30 |
| 5. არხენტინოსი | 19 | 7 | 9 | 3 | 16-11 | 30 |
| 6. ინდეპენდიენტე | 19 | 7 | 8 | 4 | 30-20 | 29 |
| 7. ბოკა | 19 | 7 | 7 | 5 | 24-22 | 28 |
| 8. ბანფილდი | 19 | 7 | 6 | 6 | 24-24 | 27 |
| 9. რივერი | 19 | 6 | 8 | 5 | 15-15 | 26 |
| 10. არსენალი | 19 | 6 | 7 | 6 | 25-22 | 25 |
| 11. ტიგრე | 19 | 6 | 7 | 6 | 25-26 | 25 |
| 12. ოლ ბოისი | 19 | 7 | 4 | 8 | 14-19 | 25 |
| 13. ესტუდიანტესი | 19 | 6 | 6 | 7 | 18-19 | 24 |
| 14. სან ლორენსო | 19 | 5 | 8 | 6 | 19-17 | 23 |
| 15. რასინგი | 19 | 7 | 2 | 10 | 25-26 | 23 |
| 16. კოლონი | 19 | 6 | 3 | 10 | 20-27 | 21 |
| 17. კილმესი | 19 | 5 | 5 | 9 | 24-27 | 20 |
| 18. ხიმნასია | 19 | 3 | 9 | 7 | 19-25 | 18 |
| 19. ნიუელსი | 19 | 4 | 4 | 11 | 16-32 | 16 |
| 20. ურაკანი | 19 | 3 | 5 | 11 | 18-42 | 14 |

**ბომბარდირები:** 11 - ხავიერ კამპორა (ურაკანი), ტეო გუტიერესი (რასინგი); 10 - დენის სტრაკვალურსი (ტიგრე); 9 - ესტებან ფუერტესი (კოლონი), ობოლო (არსენალი); 8 - დავიდ რამირესი (ველესი), სილვიო რომერო (ლანუსი), დიეგო ვალერი (ლანუსი).

● ევროპის ჩემპიონატი. U-21. სტატისტიკა

# დანიური ციფრები

## მომავლის ვარსკვლავები: მატა, შაჩირი, ერიქსენი და სხვები

დღეს დანიაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გადამწყვეტი ფაზა იწყება - ნახევარფინალები. ესპანელები ბელარუსებს შეხვდებიან, ხოლო შვეიცარიელები - ჩეხებს. გამარჯვებულები ფინალთან ერთად ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურსაც მიიღებენ, რომელიც მესამეადგილოსან გუნდსაც შეხვდება. კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ჯგუფურ ეტაპს, ახლა სტატისტიკური კუთხით...



ევროპის პირველობის სტატისტიკური ლიდერი ხუან მატა

დანიაში მსოფლიოს ორი ჩემპიონი თამაშობს - ესპანელთა რიგებში არიან **ხავი მარტინესი** და **ხუან მატა**. ბუნებრივია, ისინი რჩეულთა შორის არიან. განსაკუთრებით კი ხუან მატა გამოირჩევა, რომელიც გოლი + პასი სისტემით ყველას სჯობს (2 გოლი, 2 პასი). თავგამოჩენილ ფეხბურთელებს სტატისტიკურ ლიდერებში იოლად მოძებნით. ვგულისხმობთ, შვეიცარიელ **ჯერდან შაჩირის**, დანიელ **კრისტიან ერიქსენს**, ესპანელ **ადრიან ლოპესს** და სხვებს.

ისლანდია-დანიის მატჩი ყოველმხრივ გამორჩეული გამოდგა. ჯერ ერთი, ამ თამაშში წაგებით დანიელებმა (1:3) ტურნირზე ასპარეზობა დაასრულეს, რასაც მასპინძელთაგან არ ელოდნენ. ამ შეხვედრაში ტურნირზე ყველაზე მეტი გოლი გავიდა (4), ყველაზე მეტჯერ დაარტყეს კარებში ზუსტად (15), ყველაზე მეტჯერ ააცილეს (20), დაინიშნა ყველაზე მეტი კუთხური (13) და დაფიქსირდა ყველაზე მეტი ოფსაიდი (8). ყველაზე უხეში კი ისლანდიისა და შვეიცარიის მატჩი იყო (47 ფოლი), თუმცა მეტი ყვითელი ბარათი უკრაინა-ინგლისის მატჩში დაარიგა მსაჯმა (8).

**ინდივიდუალური სტატისტიკა**

| გოლები | | |
|---|---|---|
| 3 | ადრიან ლოპესი | ესპანეთი |
| 2 | ადმირ მეჰმედი | შვეიცარია |
| 2 | ხუან მატა | ესპანეთი |
| 2 | ბორჟეკ დოჩკალი | ჩეხეთი |
| 2 | დენი უელბეკი | ინგლისი |

*კიდევ 16 ფეხბურთელი 1-1 გოლით.*

| საგოლე პასები | | |
|---|---|---|
| 2 | ხუან მატა | ესპანეთი |

*კიდევ 20 ფეხბურთელი 1-1 საგოლე პასით.*

| კარში დარტყმა (ზუსტი) | | |
|---|---|---|
| 8 | დანიელ სტარიჯი | ინგლისი |
| 7 | კრისტიან ერიქსენი | დანია |
| 4 | ნიკოლაი იორგენსენი | დანია |
| 4 | მაიკ იენსენი | დანია |
| 4 | ხუან მატა | ესპანეთი |
| 4 | ჯერდან შაჩირი | შვეიცარია |
| 4 | დენი უელბეკი | ინგლისი |

| კარისკენ დარტყმა (არაზუსტი) | | |
|---|---|---|
| 7 | ჯერდან შაჩირი | შვეიცარია |
| 6 | კოლბეინ სიგტორსონი | ისლანდია |
| 5 | ნიკი ნილსენი | დანია |

| თამაშგარე მდგომარეობა | | |
|---|---|---|
| 6 | ადრიან ლოპესი | ესპანეთი |
| 6 | კოლბეინ სიგტორსონი | ისლანდია |
| 4 | დანიელ სტარიჯი | ინგლისი |

| გაძევება | | |
|---|---|---|
| 1 | სერგეი მატვეიჩიკი | ბელარუსი |
| 1 | დენის გარმაში | უკრაინა |
| 1 | არონ გუნარსონი | ისლანდია |

| ჯარიმა | | |
|---|---|---|
| 14 | დენის გარმაში | უკრაინა |
| 9 | მაიკ იენსენი | დანია |
| 8 | ადამ ჰუშეკი | ჩეხეთი |
| 8 | იან მორავეკი | ჩეხეთი |
| 8 | ჯერდან შაჩირი | შვეიცარია |

| ჯარიმა (მასზე) | | |
|---|---|---|
| 13 | ხავი მარტინესი | ესპანეთი |
| 12 | ჯერდან შაჩირი | შვეიცარია |
| 10 | რურიკ გისლასონი | ისლანდია |
| 10 | იევჰენ კონოპლიანკა | უკრაინა |
| 10 | ანდერ ერერა | ესპანეთი |

**გუნდური სტატისტიკა**

| გოლები | |
|---|---|
| 6 | ესპანეთი |
| 6 | შვეიცარია |
| 4 | ჩეხეთი |

| გაშვებული გოლები | |
|---|---|
| 0 | შვეიცარია |
| 1 | ესპანეთი |
| 3 | ინგლისი |

| კარში დარტყმა (ზუსტი) | |
|---|---|
| 26 | ესპანეთი |
| 15 | შვეიცარია |
| 13 | ინგლისი |

| კარისკენ დარტყმა (არაზუსტი) | |
|---|---|
| 19 | დანია |
| 18 | ინგლისი |
| 18 | ისლანდია |

| კუთხური | |
|---|---|
| 18 | შვეიცარია |
| 14 | დანია |
| 12 | ინგლისი |

| ჯარიმა | |
|---|---|
| 64 | ჩეხეთი |
| 60 | შვეიცარია |
| 58 | უკრაინა |

| ჯარიმა (მათზე) | |
|---|---|
| 57 | ესპანეთი |
| 54 | შვეიცარია |
| 51 | ისლანდია |

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ისლანდია-დანია, ჯერჯერობით ყველაზე საინტერესო მატჩი ევროპის ჩემპიონატზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● ბარსელონა

### დოსიე
### ალექსის ალეხანდრო სანჩესი



**დაიბადა:** 1988 წლის 19 დეკემბერს ჩრდილოეთ ჩილეს ოკეანისპირა ქალაქ ტოკოპილაში.
თამაში შეუძლია შეტევისა და ნახევარდაცვის ფლანგებზე.
ის ჩილეს „ოქროს თაობის" წევრია, ჩილეს 20-წლამდელთა გუნდმა 2007 წელს კანადაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-3 ადგილი დაიკავა.
მისი მეტსახელია - „ელ ნინიო მარვილია".

**კარიერა**

2003-2006 - „კობრელოა" (ჩილე)
2006-დღემდე - „უდინეზე" (იტალია)
იჯარით ითამაშა: 2006-07 - „კოლო კოლო" (ჩილე), 2007-2008 - „რივერ პლეიტი" (არგენტინა).
**ჩილეს ნაკრებში:** 37 თამაში, 13 გოლი
**პირადი საიტი:**
http://www.alexissanchez.com

# ალექსის სანჩესი: ახალი მესი თუ კეირისონი?
## წლის ტრანსფერის წინ

ვისი სავარაუდო ტრანსფერია, რომ არ ჩამოდის ევროპული გაზეთების პირველი გვერდებიდან? გგონიათ **სესკ ფაბრეგასის** მოსალოდნელი დაბრუნება „ბარსელონაში". ყველას გვარიანად მოყირჭდა ერთი და იმავეს კითხვა, თუ როგორ სურს „არსენალის" ესპანელ კაპიტანს მშობლიურ გუნდში დაბრუნება და ამას ვერ ახერხებს, თანაც სცენარი რომ არ შეცვლილა, ახლა ისევ „ბარსასთვის" მიუღებელი სატრანსფერო ფასის თემა ამოტივტივდა... რა თქმა უნდა, საინტერესოა, სად გააგრძელებს კარიერას **სერხიო აგუერო**, „რეალში" თუ სხვაგან, მაგრამ **ალექსის სანჩესის** სავარაუდო ტრანსფერს ეს ამბავიც გვარიანად ჩამორჩება ფეხბურთის მოყვარულთა დაინტერესების თვალსაზრისით.

„უდინეზედან" „ბარსაში", გზა, თითქოს გაკვალულია, მაგრამ გუნდები ფასზე ჯერ ვერ შეთანხმებულან - იტალიური გუნდის მფლობელი **ჯამპაოლო პოცო** 22 წლის ჩილელის ხარჯზე აპირებს სუპერგუნდის შექმნას - ალექსის სანჩესს 50 მილიონ ევროდ აფასებს. სანჩესი ფეხბურთის მოყვარულთა უდიდესმა ნაწილმა პირველად შარშანდელ მუნდიალზე ნახა და მოიხიბლა. უზადო ტექნიკისა და სისწრაფის პატრონის თამაშის ყურება სამხრეთ აფრიკაში ერთი სიამოვნება იყო. სხვათა შორის, სანჩესი „უდინეზეს" 2006 წლიდან ეკუთვნის, მაშინ წინდახედულმა იტალიელებმა ტალანტში 3 მილიონ ევროზე ნაკლები გადაუხადეს „კობრელოას".

დიდებულ მუნდიალს ბრწყინვალე სეზონი მოჰყვა სერია A-ში, სადაც „უდინეზემ" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, ჩილელმა კი 27 თამაშში 12 გოლი გაიტანა.

„ბარსას" უყვარს სამხრეთამერიკელი ტალანტების ხელში ჩაგდება და მათზე აქცენტის გაკეთება. მაგრამ ყოველ **რონალდინიოსა** და **ლიონელ მესიზე** თითო **კეირისონი** და **ჯოვანიც** მოდის. ესეც უნდა გაითვალისწინონ „ბარსას" ხელმძღვანელებმა, თუმცა წინასწარ ყველაფერი ისე ჩანს, რომ სანჩესს ურიგო კარიერა არ უნდა ელოდეს კატალონიაში.

მოკლედ, გადავხედოთ „ბარსელონას" სამხრეთამერიკულ ტრანსფერებს და ვნახოთ, როდის ცდებოდნენ კატალონიაში და როდის მოარტყეს ათიანში...



ალექსის სანჩესი ნაკრების მაისურით

## ვარსკვლავები



### რომარიო (ბრაზილია)
**ბარსა: 1993-1995**
**63 თამაში, 39 გოლი, 12 მილიონი ევრო**

პსვ-ში ხუთი სეზონის გატარების შემდეგ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფორვარდი კატალონიაში ორი წელი გაჩერდა. მას განსაკუთრებით ეფექტური სადებიუტო სეზონი ჰქონდა - ლა ლიგის 33 მატჩში 30 გოლი გაიტანა.



### რონალდო (ბრაზილია)
**ბარსა: 1996-1997**
**49 თამაში, 47 გოლი, 15 მილიონი ევრო**

როგორც რომარიო, ისიც პსვ-დან მივიდა, ფორვარდი სულ ერთი სეზონი გაჩერდა „ბარსაში", მაგრამ როგორ ითამაშა! მესიმდე 49 თამაშში 47 გოლი საკლუბო რეკორდი იყო.



### რივალდო (ბრაზილია)
**ბარსა: 1997-2002**
**235 თამაში, 130 გოლი, 23,5 მილიონი ევრო**

რონალდო რივალდომ შეცვალა. მართალია, ისინი ერთი ყაიდის ფეხბურთელები არ არიან, მაგრამ რივალდომ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა „ბარსას" წარმატებებში. „დეპორტივოსგან" ნაყიდმა ბრაზილიელმა 5 დაუვიწყარი სეზონი გაატარა კატალონიურ გრანდში. ყველას ახსოვს მისი ეფექტური მაკრატელა-დარტყმები.



### რონალდინიო (ბრაზილია)
**ბარსა: 2003-2008**
**254 თამაში, 107 გოლი, 12 მილიონი ევრო**

რივალდოს შემდეგ „ბარსელონას" საამაყოდ რონალდინიო ჰყავდა, ის პსჟ-დან გადმოიყვანეს. 2004 და 2005 წლებში ის ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.



### ლიონელ მესი (არგენტინა)
**ბარსა: 2004-დღემდე**
**269 თამაში, 180 გოლი, უფულოდ**

მესის დამსახურებების მოკლე ჩამოთვლას ვაპირებდით, მაგრამ გადავიფიქრეთ - უკომენტაროდ...

## იმედგაცრუებები



### ჯოვანი სილვა ოლივეირა (ბრაზილია)
**ბარსა: 1996-1999**
**93 თამაში, 26 გოლი, 5,5 ევრო**

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ჯოვანის ურიგო შედეგი არა აქვს. შეგვიძლია გავიხსენოთ მისი მნიშვნელოვანი გოლები „რეალთან", „მანჩესტერ იუნაიტედთან", „ბაიერნთან"... მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ის „ბარსაში" „ახალი პელეს" სტატუსით მივიდა, შემდეგ კი... „ოლიმპიაკოსში" გადავიდა.



### ჯოვანი (ბრაზილია)
**ბარსა: 2001-2003**
**41 თამაში, 2 გოლი, 21 მილიონი ევრო**

„ბარსელონაში" ეგონათ, რომ ეს ჯოვანი (თუმცა მათი სახელები ლათინურად სხვადასხვანაირად იწერება) უფრო გაამართლებდა, მაგრამ გაცილებით უარესი შედეგი მიიღეს. 21 მილიონად ნაყიდმა კაცმა „კამპ ნოუზე" ერთადერთი გოლი გაიტანა და „ბარსადან" უტიტულოდ წავიდა.



### მაქსი ლოპესი (არგენტინა)
**ბარსა: 2004-2009**
**18 თამაში, 2 გოლი, 6,5 მილიონი ევრო**

2004 წელს **ჰენრიკ ლარსონმა** ტრავმა მიიღო და „ბარსამ" მის შესაცვლელად „რივერ პლეიტიდან" მაქსი ლოპესი იყიდა. მაქსი თავს კი იწონებს „ბარსელონაში" მოპოვებული ტიტულებით, მაგრამ მისი წვლილი ამაში ნულოვანია.



### კეირისონი (ბრაზილია)
**ბარსა: 2009-დღემდე**
**არ უთამაშია, 14 მილიონი ევრო**

14 მილიონად იყიდეს და კეი-9 უწოდეს, მისგან ძალიან ბევრს ელოდნენ და ერთი მატჩიც ვერ ითამაშა ბრაზილიელმა „ბარსაში". სულ იჯარის წესით თამაშობს და არც იმ გუნდებში ბრწყინავს. მოკლედ, ვილას ახსოვს კეირისონი? „ბარსას" ხელმძღვანელებმა უნდა გაიხსენონ, სანამ ალექსის სანჩესის კონტრაქტს ბეჭედს დაასვამენ...

● ტრანსფერი

## მანჩესტერიდან გლადბახში...
### გლადბახიდან ასტონ ვილაში

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ბუნდესლიგაში სასწაულებრივ დარჩენილი კლუბი ერთი სეზონით „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელ **ჯოშუა კინგს** ითხოვებს. 19 წლის კინგი ნორვეგიელია გამბიური ფესვებით, ის „ვალერენგადან" 2008 წელს იყიდეს ინგლისელებმა. გასულ სეზონში სკანდინაველი „პრესტონში" იყო განათხოვრებული.

ამასთან, „ბორუსია" საბოლოოდ შეელია ამერიკის ნაკრების ნახევარმცველ **მაიკლ ბრედლის**, რომელიც „ასტონ ვილაში" იჯარით თამაშობდა. ბრედლი „ასტონ ვილამ" გამოისყიდა, თუმცა თანხა არ დასახელებულა, მაგრამ გერმანული კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მასში იმაზე გაცილებით მეტი გადაიხადეს ინგლისელებმა, ვიდრე „ბორუსიამ" ჰოლანდიურ „ჰერენვეენს" გადაუხადა. მაიკლი ამერიკულ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელია, მან ნაკრებში უკვე 57 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 8 გოლიც გაიტანა. შეგახსენებთ, რომ აშშ-ის ნაკრებს მაიკლის მამა, **ბობ ბრედლი** თავკაცობს.

## მამალი საბოლოოდ გამგელდა

გუშინ „ვულვერჰემპტონის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა 24 წლის **ჯემი ოჰარას** ტრანსფერი. ეს ნახევარმცველი „მგლებში" იჯარის წესით თამაშობდა, ახლა კი უკვე სრულყოფილი ვულვერჰემპტონელია 5 მილიონი ფუნტი სტერლინგის სანაცვლოდ. ირლანდიური ფესვების მიუხედავად ოჰარამ ინგლისის ნაკრებში თამაში არჩია და ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში 7 მატჩი ჩაატარა, დიდებში კი ის ჯერ არ მიუწვევიათ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მილანი

# გალიანიმ ტიფოზები გააოგნა



ადრიანო გალიანი

იტალიურ სპორტულ პრესასთან საუბარში **ადრიანო გალიანიმ** ისეთი რამ თქვა, რომ „მილანის" გულშემატკივრები სახტად დატოვა. მაშინ, როდესაც ქომაგთა მრავალათასიანი არმია ხმაურიანი ტრანსფერების მოლოდინშია, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა სატრანსფერო კამპანია პრაქტიკულად დასრულებულად გამოაცხადა – და ეს მაშინ, როდესაც ფანჯარა ოფიციალურად პირველ ივლისს გაიხსნება. მოვუსმინოთ გალიანის:

„რას ვაპირებთ სატრანსფერო პერიოდში? – განსაკუთრებულს არაფერს, რადგან ვისი დამატებაც გვსურდა, უკვე დავიმატეთ. გამომდინარე იქიდან, რომ ალესანდრო ნესტას ქრონიკული ტრავმა აწუხებს, დაცვის ცენტრის გაძლიერება გვსურდა, რაც ფილიპ მექსეს გადაბირებით მოვახერხეთ კიდეც. სხვა რგოლებში გუნდი ძალიან კარგად არის დაკომპლექტებული და ჩემი აზრით, გაძლიერებას არ საჭიროებს. ბევრი იწერება იმის შესახებ, რომ რომელიმე ექსტრაკლასის ფორვარდი უნდა დავიმატოთ – ამ შემთხვევაში, სრულიად ვიზიარებ რობინიოს პოზიციას და მეც მიჩნდება ერთი შეკითხვა: რატომ? – ჩვენ გვყავს ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რომელსაც მარტოს შეუძლია თამაშის მოგება; გვყავს ალეშანდრე პატო, რომელიც თანაბრად ძლიერია ფეხით და თავით თამაშისას; გვყავს რობინიო, რომელიც არანორმალურად სწრაფი და მობილურია; გვყავს კრეატიული ანტონიო კასანო და თვით გოლი ფილიპო ინძაგი; ნუთუ კიდევ ვინმეა საჭირო იმისთვის, რომ ყველა ფრონტზე უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლო?"

ამ რიტორიკული კითხვით დაასრულა სატრანსფერო თემაზე საუბარი გალიანიმ და **ლეონარდოს** „ინტერიდან" წასვლის შესახებ გააკეთა კომენტარი: „ნამდვილად არ მეგონა თუ ლეონარდო ასე მოულოდნელად დატოვებდა „ნერაძურის", მაგრამ ის კი ყოველთვის ვიცოდი, რომ მონწოდებით დირექტორია და არა მწვრთნელი. ნებისმიერ შემთხვევაში, მინდა მას დიდი წარმატებები ვუსურვო და დავპირდე, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში აუცილებლად პსჟ-ს ვუგულშემატკივრებ. ვარ თუ არა მასზე ნაწყენი? – ჩემი სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ არანაირი წყენა ჩემს გულში არ არის და პირიქით, მსურს წარმატებით გაგრძელდეს მისი კარიერა. ლეოს დღემდე მილანელად ვთვლი, მას ბევრი რამ გაუკეთებია ჩვენი გუნდისთვის და სიმართლე გითხრათ, მირჩევნია პსჟ-ს სამსახურში იყოს, ვიდრე „ინტერის". უახლოეს დღეებში აუცილებლად დავურეკავ და პირადად ვუსურვებ წარმატებებს".

**ლაშა ნიკლაური**

● ინტერი

# ძოლას ინტერის განვრთნა სურს



ჯანფრანკო ძოლა

"ინტერისთვის" მთავარი მწვრთნელის ძიების პროცესი კვლავაც წარუმატებლად გრძელდება – **მასიმო მორატიმ** რამდენიმე მიმართულებით მოსინჯა ძალები და ჯერჯერობით, ყველგან ხელი მოეცარა. **მარსელო ბიელსას** ამბავი ძველია და ყველას კარგად მოგეხსენებათ, შემდეგ **სინიშა მიხაილოვიჩმაც** შორს დაიჭირა თავი, ბოლოს კი მილანში გადაბარგებაზე **ანდრე ვილაშ ბოაშმა** განაცხადა უარი. მოვლენათა ასეთი განვითარებით გაკვირვებულმა მასიმო მორატიმ სხვა ვერაფერი მოიფიქრა და განაცხადა, რომ მწვრთნელის შერჩევის პროცესში არსად ეჩქარება და გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებს. რთული სათქმელია, რას გულისხმობს მორატი მოგვიანებითში, მაგრამ ფაქტია, რომ ვისაც თვალი დაადგა, ყველასგან უარი მიიღო.

სამაგიეროდ, არიან ისეთი მწვრთნელებიც, რომლებიც თავად გამოთქვამენ "ინტერის" განვრთნის სურვილს და ცდილობენ მორატის ყურადღება მიიქციონ. პირველად ასეთი ნაბიჯი **დელიო როსიმ** გადადგა და განაცხადა, ვიცი "ინტერის" მესვეურები ჩემს კანდიდატურას განიხილავენ და მზად ვარ, მათი შეთავაზება მივიღოო – როსი დღემდე შეთავაზების მოლოდინშია და შესაძლოა, ჯერაც არ დაუკარგავს იმედი. მომლოდინეთა რიცხვს კი **ჯანფრანკო ძოლაც** შეუერთდა, რომელმაც პრესას შემდეგი განუცხადა:

"სანდო წყაროსგან შევიტყვე, რომ "ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჩემი კანდიდატურაც განიხილება, რამაც მეტად გამახარა. როდესაც შენით ასეთი დონის გუნდია დაინტერესებული, ბუნებრივია, რომ ძალიან გსიამოვნებს. თუ მოლაპარაკებამდე მივიდა საქმე, არა მგონია, რომ რაიმე პრობლემა შეიქმნას, რადგან გამოგიტყდებით და "ნერაძურის" განვრთნა ჩემთვის ახალი, მეტად საინტერესო გამოწვევა იქნებოდა. ვნახოთ, გამორიცხული არაფერია".

**ლაშა ნიკლაური**

● ავიაკატასტროფა

# ტრაგედია პეტროზავოდსკთან

გუშინ დილას რუსეთში ტუ 134-ის კატასტროფას პრემიერლიგის ერთ-ერთი გამორჩეული არბიტრი **ვლადიმირ პეტაიც** ემსხვერპლა. პირველად ინფორმაცია ამის შესახებ რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამსახურის პრესცენტრის მიერ გავრცელდა. ავიაკომპანია "რუსეარის" თვითმფრინავი მოსკოვის დროით 22:30 საათზე გაფრინდა. ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზების გამო პილოტებმა ლაინერის პეტროზავოდსკის აეროპორტიდან 1 კმ-ში დასმა სცადეს. 52 მგზავრიდან 44 ადგილზე დაიღუპა. პრემიერლიგის საიტი კი გვამცნობს, რომ 38 წლის მსაჯს მე-16 ტურში "სპარტაკი"-"როსტოვის" მატჩი უნდა განესაჯა.

ბუნებრივია, ამ ტრაგედიას გულგრილი არავის დაუტოვებია. შუადღისთვის "კრილია სოვეტოვის", "ზენიტის", "სპარტაკის", "რუბინის", ცსკა-ს, "როსტოვის", "ვოლგასა" და "ლოკომოტივის" საიტებზე უკვე გავრცელებული იყო სპეციალური განცხადებები, სადაც ისინი დაღუპულის ახლობლებს სამძიმარს უცხადებდნენ.

უკვე გადაწყდა, რომ პრემიერლიგის დღევანდელი მატჩები წუთიერი დუმილით დაიწყება. მითითება უკვე ყველა კლუბს გაგზავნილი აქვს. "ვლადიმირი ჩვენი კარგი მეგობარი იყო, ვისთან ერთადაც დიდხანს ვმუშაობდით. მის ხსოვნას აუცილებლად მიეგება სათანადო პატივი. სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულის ნათესავებსა და ახლობლებს, ყველას, ვინც მას იცნობდა," - განაცხადა პრემიერლიგის გენერალურმა დირექტორმა **სერგეი ჩებანმა**.

**ლევან ბიბილაშვილი**

● იუვენტუსი

# აგუერო იუვეს სამიზნეში

"იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** სატრანსფერო გეგმებთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცლად ისაუბრა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ტურინული გრანდი ამ ზაფხულს სერიოზულ გაძლიერებას აპირებს. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა ნაბიჯები, თუმცა ეს საკმარისი არაა და სწორედ აქეთ მიჰყავს საუბარი მაროტასაც:

"ანდრეა პირლო, რეტო ციგლერი და მიკელე პაციენცა შესანიშნავი ფეხბურთელები არიან, მაგრამ გუნდს კიდევ სჭირდება გაძლიერება. უახლოესი მიზანი შტეფან ლიხტშტაინერის გადაბირებაა და თუ რაიმე გაუგებრობა არ მოხდა, ეს საკითხი ძალიან მალე მოგვარდება. "ლაციოს" მესვეურებთან მიმდინარე მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაშია შესული და შეთანხმების მიღწევამდე ბევრი აღარაფერი დარჩა. პირველ ეტაპზე უკანა და შუა ხაზის გაძლიერებას მივყავით ხელი, შემდეგ კი შეტევასაც მივხედავთ. ვაპირებთ თუ არა მირკო ვუჩინიჩის გადაბირებას? – ჩერნოგორიელი მაღალი კლასის ფორვარდია და შესაბამისად, დიდი სიამოვნებით ვიხილავდი შავ-თეთრი მაისურით – თუმცა, "რომას" მესვეურები მის გაყიდვას არ აპირებენ და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ტრანსფერი შედგეს".

მაროტას საოცნებო ტრანსფერზე ჰკითხეს და საინტერესო პასუხიც მიიღეს: "ღრუბლებში ფრენა და ოცნება არ მიყვარს, ამიტომ, იმ ფეხბურთელს დავასახელებ, რომლის გადაბირებაც ფანტასტიკის სფეროს არ მიეკუთვნება. ლაპარაკი სერხიო აგუეროზეა, რომლის გადაბირებასაც აუცილებლად შევეცდებით და იმედია, საწადელს მივაღწევთ კიდეც. სერხიო ძალიან ტექნიკურია, საოცარი ფინტების არსენალით და რაც ასევე მნიშვნელოვანია, მხოლოდ 23 წლის არის. მოკლედ, ჩვენი სამიზნე აგუეროა და ამაში დასამალი არაფერია".

**ლაშა ნიკლაური**



სერხიო აგუერო

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ

განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს სასტუმრო კომფორტული ნომრებით-ყველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი



# შაფათავა რომში და ახალი სახელები ქართულ ჩოგბურთში

ბუნებრივია, ქართველი გულშემატკივრები გულისყურით ადევნებენ თვალყურს ლონდონში მიმდინარე უიმბლდონის პირველობას, სადაც **ანა ტატიშვილი** (118) თამაშობს, თუმცა არც სხვა ჩვენებურები დავივიწყოთ. **სოფიო შაფათავამ** (292) ხარკოვის საერთაშორისო ტურნირში ფინალში ასპარეზობის შემდეგ გეზი რომისკენ აიღო. ორივე ტურნირი ერთნაირი საპრიზო ფონდისაა (25 ათასი დოლარი), მაგრამ იმდენად უფრო ძლიერია შემადგენლობით იტალიური შეჯიბრება, რომ უკრაინაში პირველ ნომრად განთესილი შაფათავა რომში გაუნთესავი დარჩა. პირველ წრეში ჩვენმა თანამემამულემ „უაილდ ქარდით" მიწვეული მასპინძელი **კაროლინა ორსი** (1000) დაამარცხა - 7:5, 6:4. მერვედფინალში ქართველის მეტოქე მე-7 ნომრად განთესილი არგენტინელი **პაულა ორმაეჩეაა** (236). წყვილებში სოფიო ტრადიციულ მეწყვილესთან, რუს **მარინა შამაიკოსთან** (408) ერთად ითამაშებს.

შვეიცარიულ ლანცერჰაიდეში 25-ათასიანი ტურნირი იწყება. ძირითად ბადეშია **ეკა გორგოძე** (552), ვინც პირველ წრეში მასპინძელ **ამრა სადიკოვიჩს** (542) ხვდება. შვეიცარიაში გორგოძის მეწყვილე იაპონელი **ჩიჰირო ტაკაიამაა** (1071).

იზმირში 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო. შეჯიბრების ძირითად ბადეში, მოულოდნელად ორი ქართველი აღმოვაჩინეთ, ორივემ საკვალიფიკაციო ბადის მოგებით მოიპოვა ძირითადში თამაშის უფლება. მივყვეთ თანამიმდევრულად, საკვალიფიკაციო ბადეში სამმა ურეიტინგო ქართველმა შეიტანა განაცხადი. ამათგან მეტ-ნაკლებად ცნობილი მხოლოდ 22 წლის **ნათია გეგიაა**, რომელიც 7 წლის წინათ რეიტინგ-ლისტშიც იყო. ნათიას თითქმის 4 წელია ჩოგბურთი არ უთამაშია. მარტში ის ასტანაში გამოჩნდა, სადაც 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადე დაძლია, ძირითადის პირველ წრეში კი დამარცხდა. იზმირში მან ძალიან იოლად მოუგო რუს **ამინა ბერდიევას** - 6:1, 6:0. 16 წლის **ვიქტორია ჟორჟოლიანმა** კი უბრძოლველად მოიპოვა ძირითადის საგზური. მისი თანატოლი **თამარ ცხაკაია** ბერძენ **ელენი კონსტანტინიდუსთან** დამარცხდა - 1:6, 2:6. ჟორჟოლიანის მეტოქე ბადეში ხორვატი **ტეა ფაბერია** (1128), გეგიას კი მე-8 ნომრად განთესილი რუსი **ტატიანა კოტელნიკოვა** (781) გამოცდის.

ყურადღებას გავამახვილებთ ბიშკეკში (ყირგიზეთი) გამართულ მე-5 კატეგორიის ახალგაზრდულ ტურნირზეც, სადაც ჯამში 9 ჩვენებურმა იასპარეზა. ბიჭებში ძირითადი ბადის საგზური ვერ მოიპოვა **გიორგი შუხოშვილმა** (1 წრე დასძლია), ძირითადში კი ორმა დაიწყო, **დავით ხუბუა** საწყის ეტაპზე დამარცხდა, **შოთა მეფარიძემ** კი ერთი ეტაპი დასძლია. **მარიამ ქურასბედიანმა** და **თათია ნოზაძემ** საკვალიფიკაციო ბადის ფინალამდე მიაღწიეს, თუმცა ძირითადში ვერ გავიდნენ. გოგონათა ძირითად ბადეში 4 ჩვენებური იყო: **ბაბილინა მაჩაიძე** მე-3 ნომრად განთესეს, **თამარ ჭალაგანიძე** - მე-5 ნომრად, **ნინო სუჯაშვილი** - მე-7-დ. გაუნთესავი იყო **მარიამ სხირტლაძე**. სხირტლაძის გარდა პირველი ეტაპი ყველამ დასძლია, მეორე კი მხოლოდ სუჯაშვილმა. საბოლოოდ 17 წლის სუჯაშვილმა ფინალში გააღწია (პირველ ნომრად განთესილ ჩოგბურთელსაც მოუგო), სადაც რუს **ანასტასია კომარდინასთან** წააგო - 2:6, 3:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

კრივი

# არის 3 მედალი!

## სინჯი ხვალ გაირკვევა

გუშინ საღამოს სასიხარულო ცნობა მივიღეთ ანკარიდან - მოკრივეთა ევროპის 39-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში სამი ქართველი გავიდა: **ზაალ კვაჭატაძემ, ჯაბა ხოსიტაშვილმა** და **მიხეილ ბახტიძემ,** სულ მცირე, ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს.

- ისე ვარ აღელვებული, სიხარულის გამოსახატავად სიტყვები არ მყოფნის - ევროპის ჩემპიონატებზე ქართულ კრივს ამგვარი წარმატება კარგა ხანია, არ ჰქონია, - გვითხრა კონტინენტის პირველობაზე ტექნიკური დელეგატის მოადგილედ მიწვეულმა საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა**, რომელსაც თურქეთის დედაქალაქში შევეხმიანეთ, - ჩვენებურებმა შესანიშნავად იასპარეზეს და ღირსეულად მოიპოვეს ნახევარფინალის საგზურები... ბიჭებს დახმარებას და თანადგომას არ აკლებენ მწვრთნელები - რამაზ ფალიანი და თემურ ოჩიგავა, AIBA-ს არბიტრი ზურაბ ტიბუა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ჩემპიონატზე, და თანაგუნდელები, მედლებისთვის ბრძოლას რომ ნაადრევად ჩამოშორდნენ. ერთობის ძალამ, როგორც ხედავთ, შედეგი გამოიღო...

ანკარის რინგზე 69 კილოში ზაალ კვაჭატაძემ იყოჩაღა - ირლანდიელ **უილიამ მაკლოჰლინს** შვიდქულიანი უპირატესობით (28:21) აჯობა. კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მიმავალ გზაზე მას უელსელი **ფრედ ევანსის** წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადისთვის ბრიტანელებს კადეტებში 2007 წლის ევროპის ჩემპიონის დიდად ეიმედებათ, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ანკარაში ზაალი დაასწრებს ფრედის!

75 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჯაბა ხოსიტაშვილმა, რომელსაც მერვედფინალში უნგრელი **ზოლტან ჰარსკა** არ გამოუცხადდა, გუშინ სომეხი **არტურ ხაჩატრიანი** დაამარცხა 17:14 და ნახევარფინალში გავიდა. აქ მეტოქედ ეყოლება მასპინძელთა იმედი, 2004 წლის საუნივერსიტეტო მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი, ჩიკაგოში 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, 2009 წელს პესკარაში (იტალია) ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ჩემპიონატის ფინალისტი **ადემ ქილიჩი,** რომელმაც მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ **რაჰიბ ბაილაროვს** სძლია.

მძიმე წონაში მიხეილ ბახტიძემ გვასახელა. ქართველმა მოკრივემ ჯერ პოლონელი **მარჩინ რეკოვსკი** დაჯაბნა (29:15), გუშინ კი სლოვენიელ **როკ ურბანჩის** მოუგო 22:14. ნახევარფინალში სერბი **მილიუტინ სტანკოვიჩის** მძლეველ **მაგომედ ომაროვს** (რუსეთი) დაუპირისპირდება. მართალია, ამ 21 წლის დაღესტნელ მოკრივეს საერთაშორისო სარბიელზე ჯერ თავი დიდად არ გამოუჩენია, მაგრამ შარშან და შარშანწინ რუსეთის ჩემპიონატებში ზედიზედ ორჯერ ბრინჯაოს მედლის მოპოვება უკვე საგულისხმო ფაქტია.

შეჯიბრების მონაწილენი დღეს დაისვენებენ, ხვალ კი ნახევარფინალური ორთაბრძოლები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**




ტყვიის სროლა. მიუნხენის მსოფლიოს თასი

# ქადაგიძეს მიზანი გაუცუდდა



სამწუხაროდ, **ლევან ქადაგიძე** გუშინ წარუმატებლად გამოვიდა მიუნხენში მიმდინარე მსოფლიოს თასის სეზონის დასკვნით, მეოთხე ეტაპზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. არადა, თითქოს ურიგო შედეგი არ უჩვენებია - 568 ქულა დააგროვა, რაც ცოტათი ჩამორჩება მის პირად რეკორდს (572 ქულა), მაგრამ მიუნხენში 136 მონაწილეს შორის მხოლოდ 82-ე მაჩვენებელი აღმოჩნდა. ამდენივე ქულა კიდევ შვიდმა მსროლელმა დააგროვა, მაგრამ დამატებით სერიებში ჩვენებურმა მათზე უკეთ ისროლა. ქადაგიძეს ისიც აქტივში ჩაეთვლება, რომ ცალკეულ სერიებში 90-ქულიან მიჯნაზე დაბლა არ ჩამოსულა, ანუ მეტ-ნაკლებად სტაბილურად ისროლა, თუმცა მის გამოსვლაში დაღმავალი დინამიკაც აშკარაა. ჩვენებურმა ყველაზე უკეთ პირველ სერიაში ისროლა - 97 ქულა დააგროვა, მეორეში - 96, მესამეში - 95, მომდევნოებში კი 94, 92 და კვლავ 94. როგორც ვხედავთ, პირველ ხუთ ცდაზე სერიიდან სერიამდე მოუკლო. არადა, მან და **ნინო სალუქვაძემ** ამ ტურნირის წინ შეკრება გერმანიაში გაიარეს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრება არ იყო, ასეთი სტატისტიკა კი, სავარაუდოდ, სწორედ არასაკმარისი ფიზმომზადების მაჩვენებელია. ამ კომპონენტში ჩვენებს ვარჯიში ნამდვილად აკლიათ.

ტურნირი აქამდე უტიტულო თურქმა **იუსუფ დიკეცმა** მოიგო, რომელმაც სომეხ **ნორაირ ბახტამიანთან** ერთად 586 ქულით გაიმარჯვა შესარჩევ შეჯიბრებაში. ფინალში სომეხმა ცუდად ისროლა, თურქი კი მესამე იყო და საბოლოოდ 687,3-ით ჩემპიონიც გახდა. სროლასთან ერთად ცეკვის მოყვარული 37 წლის მსროლელი სამხედროთა შორის მსოფლიოს ჩემპიონია, მაგრამ მსოფლიოს თასებსა თუ უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებში ხუთეულშიც კი ათასში ერთხელ თუ მოხვდებოდა, თორემ მედალზე ლაპარაკიც ზედმეტია. სამაგიეროდ, ახლა ეს დანაკლისი რამდენადმე შეივსო.

როგორც სპორტული პისტოლეტიდან სროლაში, ვერცხლის მედალი ამჯერადაც სერბ ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს ორგზის ვერცხლის მედალოსან **ანდრია ზლატიჩს** ერგო - 686,9, მესამეზე კი 22 წლის კორეელი, აზიის თამაშების გამარჯვებული, მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **დაემუნ ლეე** გავიდა 684,3-ით. როგორც ხედავთ, ასაკის მიუხედავად, მას უკვე მოეპოვება წარმატებები და პეკინის ოლიმპიადაზეც მოუსწრია გამოსვლა.

დღეს ასევე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ჩვენი ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი სალუქვაძე გამოვა. ამით მიუნხენის ტურნირიც დასრულდება, ხოლო მსოფლიოს თასის წლევანდელ გათამაშებაში ერთადერთი, თუმცა უმთავრესი შეჯიბრება დარჩება - სუპერფინალი, რომელიც 18-24 სექტემბერს პოლონურ ვროცლავში გაიმართება. შეგახსენებთ, რომ სალუქვაძეს იქ გამოსვლა განაღდებული აქვს, როგორც - ლონდონის ოლიმპიადაზე, რადგან მოიგო მსოფლიოს თასის სულ პირველი - სიდნეიში გამართული ტურნირი.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

# პირველი ტურნირი იაშვილის ქუჩაზე

ბოლო წლებში ჭიათურაში აქტიურად დაიწყო ბერძნულ-რომაული ჭიდაობის აღორძინება. ქალაქის მუნიციპალიტეტმა, 27-ე კომპლექსურმა სპორტსკოლამ და ჭიდაობის მწვრთნელმა **ბესიკ კიკნაძემ** ახლახან დააწესეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის **რაიდი აბრამიშვილის** სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

საასპარეზოდ ჩავიდნენ: თბილისის, ქუთაისის, სენაკის, თერჯოლის, ბორჯომის, ზესტაფონის, ხაშურის, სამტრედიის, წყალტუბოს, სართიჭალის და ჩხოროწყუს ჭაბუკი ფალავნები.

პირადი პირველობა 1997-1999 და 1994-1996 წლებში დაბადებულთა შორის გაიმართა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტურნირი სანიმუშოდ იყო ორგანიზებული.

ტურნირზე საგანგებოდ ჩამოვიდნენ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი **თემო ყაზარაშვილი,** მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი **თეიმურაზ აფხაზავა,** ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორი **იოსებ ბერიშვილი** და სხვა ცნობილი მოჭიდავეები.

რაიდი აბრამიშვილმა მშობლიურ ჭიათურაში მწვრთნელ **შოველ ხვედელიძესთან** დაიწყო ვარჯიში. თბილისში კი მას **ვლადიმერ მაისურაძე** და **ვლადიმერ კანკავა** წვრთნიდნენ. ის 21 წლის ასაკში გახდა სსრკ ჩემპიონი (1977), იყო ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის და მსოფლიოს პირველობის ვერცხლისმედალოსანი.

I ტურნირი ჭიათურაში ჩატარდა იაშვილის ქუჩაზე მდებარე დახურულ საზაფხულო დარბაზში, რომელიც უნიკალურია და რეგიონში სადმე სპორტული დარბაზის აშენებას თუ დააპირებენ, სასურველია მაგალითი ჭიათურლებისგან აიღონ.

ჭიათურის ხალიჩაზე დიდი წარმატებით იჭიდავეს სართიჭალელებმა (გარდაბანი). აქაურებს თავის დროზე კარგი მაგალითი მისცეს სართიჭალაში აღზრდილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ალექსანდრე დოხტურიშვილმა** და მსოფლიოს ჩემპიონმა **გურამ გედეხაურმა...**

სხვათა შორის, ჭიათურის გარდა, აქაურ სოფელ ბერეთისაშიც ვარჯიშობენ მოსწავლეები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (მწვრთნელი **გელა ტაბატაძე**).



რაიდი აბრამიშვილმა ტურნირზე საკუთარი თასი დააწესა და უმცროს ასაკში ერთ-ერთ გამარჯვებულს — **ოთარ შეყილაძეს** (66) გადასცა.

უფროს ასაკში კი სპეციალური თასით დაჯილდოვდა **ლაშა ჭარბაძე** (69).

ორგანიზატორებმა, მსაჯებმა, მწვრთნელებმა და თვით რაიდი აბრამიშვილმა მოილაპარაკეს, რომ ტურნირი ჭიათურაში ყოველ წელიწადს ჩატარდება და მომავლისთვის შესაძლოა აზერბაიჯანის, თურქეთის და სომხეთის ჭაბუკებიც მოიწვიონ საასპარეზოდ...

**გამარჯვებულები**

**1997-1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის: საბა კიკაძე** (20 კგ. თბილისი), **დიმიტრი ხაჩიძე** (23, ბორჯომი), **გიორგი ჩხიკვაძე** (26, სენაკი), **ავთანდილ ბიძინაშვილი** (29, სართიჭალა), **თემურ გოგია** (32), **საბა ბაბილუა** (35), **გივი სიმონია** (38, სამივე-სენაკი), **აივენგო რიკაძე** (42,), **გიორგი კურტანიძე** (47, ორივე-სართიჭალა), **რამაზ კვეტენაძე** (53), **ჯუმბერ ჩეჩელაშვილი** (59, ორივე-ქუთაისი), **ოთარ შეყილაძე** (66, ჭიათურა), **ელდარ ვაჩეიშვილი** (73, სამტრედია), **დავით ხრდაევი** (85, თბილისი).

**1994-1995-1996 წლებში დაბადებულთა შორის: ლაშა ციცქიშვილი** (46, ჭიათურა), **ბაკურ გოგოლი** (50, სენაკი), **დავით სანიკიანი** (54, ქუთაისი), **ირაკლი თარხნიშვილი** (58), **გიორგი ფოცხვერაშვილი** (63, ორივე-სართიჭალა), **ლაშა ჭარბაძე** (69, თბილისი), **იონა ფირცხალავა** (74, წყალტუბო) და **თენგო ძებნიაური** (85, თბილისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**
ჭიათურა
ავტორის ფოტო

● ტანვარჯიში

# სახეობის ახალი გეოგრაფია

თბილისის მერიის **გიორგი ეგნატაშვილის** სახელობის სპორტის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი **როზა ბერიკაშვილი**) დარბაზში ახალგაზრდა სპორტსმენებმა იასპარეზეს სპორტულ ტანვარჯიშსა და ბატუტზე ხტომაში, რომელიც ერთგვარად 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის ნორჩ სპორტსმენთა დათვალიერებასაც წარმოადგენდა. სასიამოვნო ის არის, რომ შეჯიბრებაში პირველად იასპარეზეს მარტვილელმა გოგონებმა. დედაქალაქელ ვაჟებს კი გორელმა ყმაწვილებმა გაუწიეს მეტოქეობა. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ტურნირზე ქუთაისელები და ბათუმელები ვერ ჩამოვიდნენ.

- საკუთარი ძალებით წელიწადში ორჯერ ვაწყობთ ჩვენი ცენტრის ღია პირველობას, რათა მოზარდებმა საშეჯიბრო გამოცდილება შეიძინონ და გზა გაიკაფონ დიდი სარბიელისკენ. - გვითხრა როზა ბერიკაშვილმა. - აი, მაგალითად, ჩვენი ასპარეზობა ბატუტზე მხტომელებისთვის ერთგვარი რეპეტიცია იქნება საერთაშორისო ტურნირის წინ, რომელსაც 10-11 ივლისს ბათუმი უმასპინძლებს. რაც შეეხება სპორტულ ტანვარჯიშს, მისი გეოგრაფია ნელ-ნელა იზრდება: პერიფერიის წარმომადგენლებს ჩვენს დარბაზში ვარჯიშის სურვილიც აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაირსიმაღლის ორძელი და თავისუფალი ვარჯიშის ფიცარნაგი არ გვაქვს. სპორტის სამინისტრო და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შეგვპირდნენ ამ პრობლემის მოგვარებას. იმედია, მალე ამ დანაკლისს შევივსებთ, რათა თბილისის ოლიმპიურ ფესტივალს სათანადოდ მომზადებულები შევხვდეთ.

ახლა კი ოლიმპიური მზადების ცენტრის ღია პირველობების გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაუწყებთ:

**ბატუტზე ხტომა. სპორტის ოსტატის პროგრამით. გოგონები.** 1. ნანა გოგაშვილი, 2. თინათინ ჩადუნელი, 3. მარიამ მწითური. **ვაჟები.** 1. ზურაბ ნოზაძე, 2. ლაშა გაბაშვილი, 3. ირაკლი ბეიტრიშვილი. **ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. გოგონები.** 1. ნათია მწითური, 2. ნატა ჩადუნელი, 3. ქრისტინე სორდია. **ვაჟები.** 1. გიორგი ავლოხაშვილი, 2 ნიკა ჯალაბაძე, 3. გიორგი ნაცვლიშვილი.

**სპორტული ტანვარჯიში. ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. ვაჟები.** 1. გიორგი ძიძიკაშვილი, 2. საბა აბესაძე; **I თანრიგის პროგრამით. გოგონები.** 1. თამარ გელდიაშვილი, 2. ნანა ჩანკვეტაძე, **ვაჟები.** 1. ბიძინა სიჭინავა, 2. ივანე ჯიმშელეიშვილი, 3. თემურ გორგაძე.

**ვაჟა დანელია**

● რეგიონი

# ნანატრი რემონტი და თავისუფალთა ახალი თავსატეხი

გორის ცენტრალური სასპორტო სკოლა სამ ათეულ წელზე მეტია ფუნქციონირებს. აქ აღზრდილი სპორტსმენების მიერ ოლიმპიადაზე, თუ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული გამარჯვებები საყოველთაოდაა ცნობილი. სამწუხაროდ, დიდი ხანი ვერ ხერხდებოდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა დარბაზის კეთილმოწყობა. ყველაზე ცუდ დღეში კი ტანვარჯიშის დარბაზია. სარემონტო ხარჯების გამოყოფა დღემდე არ მოხერხდა. 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს, შენობაში რეზერვისტების ყოფნისას, როგორც მოგვიანებით გაირკვა, დაუდევრობის გამო საქვაბე აფეთქდა და რამდენიმე დარბაზი დააზიანა. გორის მუნიციპალიტეტი ყველაზე უფრო დაზიანებული ძიუდოს დარბაზის გარე ფასადის შემინვით დაკმაყოფილდა, წლევანდელ ბიუჯეტში კი ფინანსები კაპიტალური რემონტისთვისაც გაითვალისწინეს.

*„დაგეგმილია მთელი შენობის რეაბილიტაცია. სამუშაოები გეგმით ოქტომბერში უნდა დასრულდეს. სპორტული სექციების დიდ ნაწილს ისედაც ძირითადად (სექტემბრამდე მაინც) არდადეგები აქვთა და ბევრი არ გაუცდებათ.“* - გვითხრა სკოლის ხელმძღვანელმა **იაგო ჯალაბაძემ.** ძიუდოისტები ქალაქის მეორე უბანში მდებარე გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში გადავლენ და ჭიდაობის კომპლექსური სკოლასთან (დირექტორი **ანზორ თენაძე**) ერთად გააგრძელებენ მუშაობას. აი, თავისუფალი ჭიდაობის სექციისთვის კი დროებითი თავშესაფარი ჯერჯერობით ვერსად გამოინახა. ამიტომ შენობაში მხოლოდ მანამდე დარჩებიან, ვიდრე მშენებლებს ხელს არ შეუშლიან საქმიანობაში. არადა, აქაურები საქართველოს ყველა ასაკობრივ და პირველ ნაკრებში არიან წარმოდგენილნი, მეტიც, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს ზაფხულში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები ელით. დიდი ხანია, რაც გორელ თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს (მთავარი მწვრთნელი **ნუგზარ სხირელი**) ცალკე დარბაზის აშენებას ჰპირდება ცენტრალური ხელისუფლება, ადგილიცაა გამოყოფილი, მაგრამ მშენებლობა ჯერაც არ დაწყებულა. დღის წესრიგში იდგა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგარემონტებულ სპორტულ დარბაზში „თავისუფლების“ გადაყვანის საკითხი, თუმცა სასწავლებლის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა. დროებითი ფართის მოძიება კი გრძელდება...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● ქართული ჭიდაობა ფილმში

# CNN ნახერხმოყრილ არენაზე

ქარელის რაიონის სოფელ ფცაში ქართულ ჭიდაობაში ტურნირი ტრადიციულისგან განსხვავებული ფორმატით ჩატარდა, პირველობისათვის მხოლოდ აბსოლუტურ წონით კატეგორიაში იბრძოლეს ფალავნებმა. საქმე ისაა, რომ ტელეკომპანია CNN ფილმს იღებს საქართველოზე, სადაც გარკვეული ეპიზოდი ჩვენს ეროვნულ საუნჯესაც დაეთმობა, თუმცა ამერიკელებს დარბაზის პირობებში გამართული პაექრობის გადაღება არ ხიბლავდათ და ფალავანთა ნახერხმოყრილ არენაზე გამართული ასპარეზობის სანახავად ფცაში ჩავიდნენ. ქართული ჭიდაობის კეთილმოწყობილი ღია არენით და კარგი მოჭიდავეებით ცნობილი ამ სოფელში გამგებელი **გია ბერუაშვილია,** რომელმაც ორ დღეში მოახერხა პირველობის ორგანიზება და საკმაოდ რიგიანი შეჯიბრებაც იხილა მაყურებელმა. სტუმართა შორის იყვნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გია გალდავა,** ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **თემურ გიორგაძე,** შიდა ქართლის ფედერაციის ახალარჩეული თავკაცი **პაატა გიორგაძე,** ქარელის რაიონის გამგებელი **ილია ბურჯანაძე.** გამარჯვება და მთავარი პრიზი - ყოჩი თბილისელმა **თედო აბელაშვილმა** მოიპოვა, ფინალში მან ალელ **გიორგი ნოზაძეს** სძლია, მესამე ადგილი კი გორელ **ჯონი გიგაურს** ერგო. საინტერესოა, რომ CNN-ის ოპერატორებმა შეჯიბრება სრულად, თავიდან ბოლომდე გადაიღეს.

**ვასილ ბალახაძე**
ფცადან
**დავით ასპანიძის** ფოტო



● კრივი



# ვარიანში, კანდელაკის თასზე

ვარიანში, კრივის კლუბ „ჩემპიონის“ დარბაზში სტარტი აიღო გიორგი კანდელაკის სახელობის ტურნირმა საქართველოს თორმეტი კრივის სკოლის უმცროსი ასაკის მოკრივეთა მონაწილეობით. რინგზე სამი დღის განმავლობაში 100-მდე მოკრივე 14 წონით კატეგორიაში იბრძოლებს. ტურნირის ორგანიზატორია გორის მუნიციპალიტეტის კრივის სკოლა (დირექტორი **ავთანდილ შოშიაშვილი**), სამხარეო ადმინიტრაცია.

*„ეს შეჯიბრება ახლა მესამედ იმართება. ადრე 2006-07 წლებში ჩატარდა, მაგრამ შემდეგ, რაც კრივის სკოლიდან დროებით წავედი, სამწუხაროდ, აღარ ტარდებოდა. ახლა ისევ აღვადგინეთ და გვინდოდა მას საერთაშორისო სტატუსიც ჰქონოდა. მოწვეული გვყავდა გუნდი თურქეთიდანაც, მაგრამ რიკოთის უღელტეხილზე მომხდარი ამბების გამო ჩამოსვლა გადაიფიქრეს. მართალია, მაგალითად, დასავლეთ საქართველოდან გუნდებს ხელი არ შეშლიათ ჩამოსვლაზე, შემოვლითი გზით ისარგებლეს. დარწმუნებული ვარ შეჯიბრება საინტერესო გამოდგება, რადგან გუნდები პერსპექტიული მოკრივეებით არიან წარმოდგენილნი“* - გვითხრა ავთანდილ შოშიაშვილმა.

**ვასილ ბალახაძე**

● სპორტი ყველასათვის

# ვეტერანებიც თამაშობენ



მაგიდის ჩოგბურთის კლუბი „ტოპსპინი“ არც ვეტერანებს აკლებს ყურადღებას. 161-ე საჯარო სკოლის დარბაზში ამ დღეებში კლუბმა თბილისის თასის გათამაშება ჩაატარა ვეტერანთა შორის. პირველობა წილად ხვდა სპორტის ოსტატ **ნიკოლოზ გარანკინს,** მეორე იყო **ალექსანდრე ალექსიძე,** მესამე - **დავით ქავთარაძე.**

ნიკოლოზ გარანკინი საქართველოს ყრუთა ასოციაციის პრეზიდენტია. სხვადასხვა დროს იგი წარმატებით გამოსულა სხვადასხვა რანგის ასპარეზობებში. ახლა ყრუთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც იაპონიის დედაქალაქში გაიმართება.

**სურათზე მარცხნიდან: ალექსანდრე ალექსიძე, ნიკოლოზ გარანკინი, დავით ქავთარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

# პირველობს ქართულ-სომხური დუეტი

ჯერმუკში (სომხეთი) კარენ ასრიანის მე-4 საერთაშორისო მემორიალში **კონსტანტინე შანავამ** მე-6 ტურის შეხვედრა მასპინძელ **ჰრაირ სიმონიანთან** ყაიმით დაამთავრა და 5 ქულა მოაგროვა, ანუ იმდენივე, რამდენიც **აშოტ ნადანიანის** მძლეველმა **ტიგრან კოტანჯიანმა** (ორივე-სომხეთი). სწორედ ეს ქართულ-სომხური დუეტი იყოფს გათამაშების ცხრილის პირველ-მეორე საფეხურებს და დღეს ერთმანეთსაც დაუპირისპირდებიან. თეთრებით შანავა ითამაშებს.

გუშინ ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: სამველ ტერ-სააკიანი (სომხეთი)-მიხაილ ულიბინი (რუსეთი) 0,5:0,5, მაქსიმ ტუროვი (რუსეთი)-არა მინასიანი (სომხეთი) 1:0, ჰოუა იდანი (ირანი)-ევგენი გლეიზეროვი (რუსეთი) 0,5:0,5, რობერტ ჰოვანესიანი (სომხეთი)-რობერტ ალასარიანი (სომხეთი) 1:0, არამ პლუზიანი (სომხეთი)-დანიილ დუბოვი (რუსეთი) 0:1, **დავით მაღალაშვილი-შოთა აზალაძე** 0,5:0,5. ქართველთა დანარჩენი პაექრობები ასე დამთავრდა: **ბაჩანა მორჩიაშვილი**-რაფაელ ბაკუნცი (სომხეთი) 0,5:0,5, ამირ კოვსარიანია (ირანი)-**ნინო ბაციაშვილი** 0:1, **სოფიო გვეტაძე**-ჰაიკ ტამაზიანი (სომხეთი) 0:1.

ჩვენებურთა მონაგარი 6 ტურის შემდეგ: შანავა-5, აზალაძე-მაღალაშვილი-4-4, ბაციაშვილი, მორჩიაშვილი-3,5-3,5, გვეტაძე-2,5 ქულა.

დღეს მე-7 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: შანავა (5)-კოტანჯიანი (5), ულიბინი (4,5)-ტუროვი (4,5), დუბოვი (4,5)-ჰოვანესიანი (4,5), სიმონიანი (4,5)-მორადიაბადი (4)... აზალაძე-ჩიბუხჩიანი (4), ჰაირაპეტიანი (4)-მაღალაშვილი, ბაციაშვილი-ჰარუთიუნიანი (3,5), ტამაზიანი (3,5)-მორჩიაშვილი, პეტროსიანი (2,5)-გვეტაძე.

**ვაჟა დანელია**

# 8-ეზში 8-დან 8

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დამთავრდება 8 და 12 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა (ტურნირის დირექტორი **ზურაბ მიქაძე,** მთავარი მსაჯი **მარგალიტა თანდაშვილი**), რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 150-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს.

8-წლიან გოგონებში ვადამდე გაინაღდა ჩემპიონობა ქუთაისელმა **თამარ ესაძემ,** რომელმაც 8 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა. ლიდერს ორ-ორი ქულით ქუთაისელი **ნია დოლვანი** და გორელი **ნინო დარჩიაშვილი** ჩამორჩებიან. ამავე ასაკის ბიჭებში 7,5 ქულით თბილისელი **ნიკოლოზ კაჭარავა** მეწინავეობს. 7 ქულით მას კვალში თანაქალაქელი **საბა ლომსაძე** მიჰყვება. მესამე ადგილზე მყოფ **ნიკა კევლიშვილს** (საგარეჯო) 6 ქულა აქვს.

12-წლიან გოგონებში ქუთაისელი **ნინო ჯალაღონია** 7,5 ქულით უდგას სათავეში გათამაშების ცხრილს. ოქროს მედლის მოსაპოვებლად მას **თეა ჭოლაძესთან** ყაიმიც ჰყოფნის. 7 ქულით მეორეა ასევე ქუთაისელი **ნინო დახუნდარიძე,** რომელსაც ვერცხლი და ევროპის პირველობის საგზური, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს. ვინ იქნება პირველი და ვინ-მეორე, ამას დღევანდელი ბოლო ტური გადაწყვეტს. ვაჟებშიც მსგავსი სიტუაციაა, რადგან ერთპიროვნულ ლიდერ **ირაკლი ახვლედიანს** (ბათუმი) 7 ქულა აქვს, მის უახლოეს მდევარ **გიორგი ინანეიშვილს** (ქუთაისი) - 6,5 ქულა. დღეს სწორედ ისინი ხვდებიან ერთმანეთს. ახვლედიანის წარმატების შემთხვევაში 6-ქულიან ლუკა ლიჩელს (გორი) მეორე ადგილზე გასვლის შანსი უჩნდება.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონები თანატოლთა შორის მსოფლიოს, ვერცხლის მედალოსნები კი ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**

## კალათბურთი. საქართველოს ნაკრების კანდიდატები



უტევს რაშა ფარლალავა

# სოხუმიდან ნაკრებამდე

„ლელოს“ ორშაბათის ნომერში ჩამოგითვალეთ საქართველოს ნაკრებში გამოძახებულთა გვარები. ასეთი 16 კალათბურთელი იყო. გუშინ შევიტყვეთ, რომ მათ დაემატა ლაშა ფარლალავა, რომელიც გასულ სეზონში „სოხუმის“ ღირსებას იცავდა.

წინა კვირას წარმოგიდგინეთ ნაკრების კანდიდატი მიხეილ ბერიშვილი. სანაკრებო თემას ლაშა ფარლალავათი განვაგრძობთ. დოსიეში შეგიძლიათ გაეცნოთ მის საკლუბო კარიერას, აქ კი ლაშას ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

**- რა დასამალია, ნაკრებში გამოძახება ძალიან გამიხარდა.** ეროვნულ გუნდში მოხვედრა დიდი პატივია, მით უმეტეს საქართველოს ჩემპიონატიდან.

**- როგორ წარმოგიდგენია საკუთარი თავი ნაკრებში?**

- მწვრთნელმა გაფართოებულ შემადგენლობაში დამიძახა. თოთხმეტ საუკეთესოს შორის მოხვედრა იოლი ნამდვილად არ იქნება. ჩემს პოზიციაზე ხომ მაღალი კლასის კალათბურთელები თამაშობენ. მათ შორის მანუჩარ მარკოიშვილი... ვეცდები შესაძლებლობები სრულად გამოვავლინო.

**- ვარჯიშს ხომ არ შესდგომიხარ?**

- მწვრთნელ ვაჟა კვარაცხელიას ქობულეთში ბავშვთა გუნდი ჰყავს წამოყვანილი. მე და ლევან ფაცაციაც აქ ვართ, პატარებსაც ვამზადებთ და ჩვენც ვვარჯიშობთ. სანაკრებო მზადებას პირველი ივლისიდან შევუდგებით.

**- 17 ივნისს „სოხუმთან“ ხელახალი კონტრაქტი გააფორმე...**

- სეზონის დასრულების შემდეგაც გადაწყვეტილი მქონდა გუნდში დარჩენა, რადგან „სოხუმი“ ჩემი ოჯახივითაა. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ველოდი სამწვრთნელო საკითხის გარკვევას და რადგან ლატვიელმა სპეციალისტმა აინარს ბაგაცკისმა გადაწყვიტა კიდევ ერთი სეზონით დარჩენა, მეც დაუფიქრებლად გავაფორმე ორწლიანი ხელშეკრულება.

**- „სოხუმი“ ევროჩელენჯზე ითამაშებს. როგორ ფიქრობ, გეყოლებათ იმ დონის გუნდი, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის ბარიერი დასძლიოთ?**

- კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტები გააფორმა მიხეილ ბერიშვილთან და ლევან ფაცაციასთან. მიშა მართლაც გამორჩეული კალათბურთელია, ლევანთან კი ბავშვობიდან ვთამაშობ და მოხარული ვარ „სოხუმშიც“ ერთად რომ გვიწევს გამოსვლა. ასევე ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ლეგიონერებზე. როგორც ვიცი, კლუბის ხელმძღვანელობა ძლიერი უცხოელების მოწვევას აპირებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ლაშა ფარლალავა

**სოხუმი**

**დაიბადა:** 07.02.1987
**სიმაღლე:** 192 სმ
**წონა:** 83კგ
**ამპლუა:** უკანახაზელი

| კარიერა | |
|---|---|
| 2002-04 | სოხუმი |
| 2004-06 | ფლორიდის აკადემია (აშშ) |
| 2006-08 | პენსაკოლა (აშშ) |
| 2008-09 | ჰავაი (აშშ) |
| 2009-10 | მონტანა (აშშ) |

## კალათბურთი. სუპერლიგა 2010-11

# ომახიანი დასაწყისი

**საქართველოს ჩემპიონატი მაისის ბოლოს დასრულდა. მას მერე დიდი დრო არ გასულა, თუმცა ზოგიერთი კლუბი მომავალი სეზონისთვის უკვე შეიმართა. გადავწყვიტეთ, დღეიდან სუპერლიგის კლუბების სამომავლო გეგმებიც გაგაცნოთ და კიდევ ერთხელ მოკლედ გადავავლოთ თვალი მათ გამოსვლას 2010-11 წლების სეზონში, რაშიც სტატისტიკა დაგვეხმარება.**

კლუბების წარმოდგენას „არმიით“ დავიწყებთ. ძალოვნებმა საკალათბურთო კლუბი 2010 წლის სექტემბერში ჩამოაყალიბეს, მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა** საინტერესო შემადგენლობა შეკრიბა, დაიმატა საქართველოს ნაკრების ორი წევრი **ანატოლი ბოისა** და **კოტე ტულუში**, წინა სეზონის საუკეთესო კალათბურთელი **ზვიად ბაბიაშვილი** და სხვადასხვა დროს ეროვნულ გუნდში მოასპარეზეები **დავით უგრეხელიძე** და **დავით საყვარელიძე**.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „არმიას“ სუპერლიგაში საუკეთესო წინა ხაზი ჰყავდა (**ათანელიშვილი, ათუაშვილი**, უგრეხელიძე, **მინაშვილი**). პირველი წრის ბოლოს ტრავმა მიიღო დათო უგრეხელიძემ. ამიტომ, იანვარში მის შემცვლელად გუნდში ახალგაზრდა **გიორგი შარაბიძე** აიყვანეს, რომელმაც მწვრთნელის იმედები ბოლომდე გაამართლა და საქართველოს ნაკრების გაფართოებულ სიაში მოხვედრაც დაიმსახურა.

პირველ წრეში „ქუთაისის“ მაისურით გამორჩეული იყო **ბუბა ბერიშვილი,** რომელიც მეორე წრიდან „არმიას“ შეუერთდა და მწვრთნელს უკანა ხაზში კალათბურთელთა ვარირების კარგი საშუალება მიეცა. გამოცდილ მცველებს კარგად შეეწყო ახალგაზრდული ნაკრების პლეიმეიქერი **გივი ბაქრაძე**.

შემადგენლობის თანაბრად დაბალანსება „არმიის“ დიდი პლუსი იყო, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია გუნდის შეთამაშება და მომზადება, რაც სლოვენიურ და ბათუმურ შეკრებებზე არმიელებმა კარგად მოახერხეს.

ძალოვნებმა სეზონი სხვა კლუბებზე უფრო სტაბილურად ჩაატარეს, ჩემპიონობაც დაიმსახურეს, საქართველოს თასიც და სუპერთასიც. თავად განსაჯეთ: „არმიამ“ რეგულარულ ჩემპიონატში 2 მატჩი წააგო, ნახევარფინალურ და ფინალურ სერიებში - თითო.

სეზონის დასრულების შემდეგ „არმიის“ ხელმძღვანელობამ ევროჩელენჯზე მონაწილეობისთვის განაცხადი შეიტანა, პარალელურად კი გუნდი ანთალიაში შეკრებაზე გაუშვა.

თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ „არმიაში“ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა - შეიცვალა მთავარი მწვრთნელი: 18 ივნისს გაირკვა, რომ ლევან მოსეშვილი „არმიას“ აღარ გაწვრთნიდა. 20 ივნისს კი გუნდის თავკაცად კოტე ტულუში დაინიშნა.

მან გვითხრა: „არმიაში“ არაერთი სიახლე იქნება, თუმცა ყველაფერი ამ კვირის ბოლოს გაცხადდებაო. ასე რომ, ძალოვანთა შემადგენლობაში განსახორციელებელ სიახლეებს მალე შევიტყობთ. დღეს კი იმას დავამატებთ, რომ ევროჩელენჯის წილისყრა 5 ივლისს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



| I წრე | |
|---|---|
| არმია-ქუთაისი | 78:82 |
| სტუ-არმია | 87:101 |
| არმია-სოხუმი | 96:64 |
| აგრარული-არმია | 68:112 |
| არმია-თსუ | 69:65 |
| სამედიცინო-არმია | 73:92 |
| არმია-დინამო | 105:62 |
| ბათუმი-არმია | 65:98 |
| არმია-შსს | 97:86 |
| ენერჯი-არმია | 60:68 |
| **II წრე** | |
| ქუთაისი-არმია | 48:65 |
| არმია-სტუ | 82:54 |
| სოხუმი-არმია | 71:82 |
| არმია-აგრარული | 81:72 |
| თსუ-არმია | 92:74 |
| არმია-სამედიცინო | 80:53 |
| დინამო-არმია | 60:102 |
| არმია-ბათუმი | 101:67 |
| შსს-არმია | 72:81 |
| არმია-ენერჯი | 83:64 |
| **1/4 ფინალი** | |
| არმია-ენერჯი | 94:63 |
| ენერჯი-არმია | 56:83 |
| **1/2 ფინალი** | |
| არმია-სოხუმი | 66:52 |
| არმია-სოხუმი | 85:65 |
| სოხუმი-არმია | 82:77 |
| სოხუმი-არმია | 65:71 |
| **ფინალი** | |
| არმია-თსუ | 75:71 |
| არმია-თსუ | 60:64 |
| თსუ-არმია | 60:74 |
| თსუ-არმია | 61:65 |

| სტატისტიკა | თ | წთ | 2ქ/ჩაგ | 2ქ/ნას | 2ქ% | 3ქ/ჩაგ | 3ქ/ნას | 3ქ% | 1ქ/ჩაგ | 1ქ/ნას | 1ქ/% | მ/შეტ | მ/საკ | მ/სულ | პ | ფ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. გივი ბაქრაძე | 24 | 16.6 | 1.2 | 3.3 | 36.3 | 0.5 | 1.9 | 28.9 | 0.8 | 1.4 | 60.6 | 0.4 | 1.4 | 1.8 | 3.1 | 1.8 | 1.9 | 1.3 | 0 | 4.9 |
| 5. ზვიად ბაბიაშვილი | 28 | 24.3 | 5.5 | 11.3 | 49.1 | 0.5 | 1.8 | 26.5 | 2.4 | 4.8 | 49.6 | 3 | 3.8 | 6.8 | 0.8 | 1.8 | 1.3 | 0.8 | 0.3 | 14.9 |
| 6. ანატოლი ბოისა | 30 | 27.8 | 1.5 | 4.6 | 32.8 | 1.2 | 4.5 | 27.4 | 2.4 | 3.4 | 71.6 | 1.7 | 4.3 | 6 | 2.2 | 2.7 | 1.6 | 1.1 | 0.5 | 9.1 |
| 7. ვახტანგ მინაშვილი | 21 | 11.6 | 3.3 | 5.4 | 61.1 | 0 | 0.3 | 16.7 | 1.9 | 2.9 | 63.9 | 2.1 | 2 | 4.1 | 0.7 | 1 | 0.9 | 0.7 | 0.3 | 8.6 |
| 8. გიორგი ვახანია | 3 | 11.7 | 0 | 0.7 | 0 | 0.3 | 1.3 | 25 | 0.7 | 1.3 | 50 | 0.7 | 2.3 | 3 | 1.3 | 0.7 | 2 | 0.7 | 0 | 1.7 |
| 10. კოტე ტულუში | 29 | 33.3 | 2.7 | 5.6 | 47.2 | 2.1 | 6 | 34.5 | 4.7 | 6 | 79.2 | 1.5 | 6.4 | 7.9 | 5 | 2.4 | 3.1 | 1.7 | 0.1 | 16.2 |
| 11. გიორგი პირველაშვილი | 29 | 11.5 | 1 | 2.2 | 43.8 | 0.6 | 1.8 | 30.2 | 0.5 | 0.9 | 53.8 | 0.9 | 2 | 2.9 | 1 | 1.4 | 1.2 | 0.7 | 0.3 | 4.1 |
| 12. ლევან მოსეშვილი | 14 | 10.8 | 0.4 | 1 | 35.7 | 0.2 | 1.4 | 15 | 0.2 | 0.3 | 75 | 0.8 | 1.3 | 2.1 | 1 | 1.4 | 1.6 | 0.6 | 0.1 | 1.6 |
| 13. რეზო ათანელიშვილი | 27 | 13.1 | 2 | 4.4 | 46.6 | 0 | 0.2 | 20 | 0.9 | 2 | 41.8 | 2.5 | 3 | 5.4 | 0.3 | 1.6 | 1.5 | 0.4 | 0.3 | 5 |
| 14. დავით უგრეხელიძე | 9 | 22 | 4.6 | 8.1 | 56.2 | 0 | 0 | 0 | 1.3 | 1.7 | 80 | 4.1 | 4.6 | 8.7 | 0.9 | 3.6 | 1.1 | 0.7 | 0.4 | 10.4 |
| 15. სერგო ათუაშვილი | 16 | 11.1 | 2.1 | 3.4 | 60 | 0 | 0.1 | 0 | 0.7 | 1.3 | 55 | 1.6 | 2.4 | 4.1 | 0.4 | 1.2 | 0.5 | 0.1 | 0.8 | 4.8 |
| 20. ლაშა დევიძე | 3 | 4.3 | 0.7 | 1.3 | 50 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.3 | 0 | 0.3 | 0 | 0.3 | 1 | 0 | 0 | 1.3 |
| 21. დავით საყვარელიძე | 21 | 23.3 | 2 | 5.1 | 38.3 | 1 | 2.8 | 34.5 | 1.5 | 2.7 | 55.4 | 1.5 | 4 | 5.5 | 3.1 | 2.9 | 2.3 | 1 | 0.2 | 8.2 |
| 23. გიორგი შარაბიძე | 20 | 26.1 | 5.1 | 9.8 | 51.5 | 0 | 0.3 | 0 | 3.5 | 4.7 | 75.3 | 3 | 3.7 | 6.7 | 1.2 | 2.6 | 1.7 | 0.9 | 1.3 | 13.6 |
| 24. ბუბა ბერიშვილი | 17 | 22 | 1.2 | 2.7 | 45.7 | 0.6 | 2.8 | 23.4 | 1.2 | 1.9 | 62.5 | 0.6 | 3.1 | 3.6 | 3.1 | 2.2 | 1.8 | 2 | 0.4 | 5.6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდკაცა რაგბი. გრან პრის სერია

# მეშვიდე პირველ ეტაპზე

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები ევროპის გრან პრის სერიაში ჩაერთო, რომელიც წლეულს შეცვლილი ფორმატით თამაშდება. ევროპული ქვეყნების ნაკრები გუნდები რამდენიმე დივიზიონში გაანაწილეს. ელიტაში, სადაც საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობს, სულ თორმეტი გუნდია და გათამაშება რამდენიმე ეტაპად ჩატარდება.

პირველ ეტაპზე ჩვენმა გუნდმა ლიონში ითამაშა და მეშვიდე ადგილს დასჯერდა. თორმეტი გუნდი კენჭისყრით ორ ჯგუფში გაანაწილეს. საქართველოს ნაკრები A ჯგუფში ესპანეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, უკრაინისა და ჰოლანდიის ნაკრებებთან მოხვდა.

შვიდკაცა „ბორჯღალოსნებმა“ ჯგუფურ ტურნირში ხუთიდან მხოლოდ ორი თამაში მოიგეს და მესამე ადგილს დასჯერდნენ. მეხუთე ადგილისთვის ნახევარფინალში ჩვენმა ნაკრებმა რუსეთის შვიდკაცა რაგბის ეროვნულ გუნდთან წააგო 19:24. მე-7 ადგილისთვის ბრძოლაში კი ჰოლანდიის ნაკრებს სძლია - 41:7.

ტურნირი ინგლისის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც ფინალში ესპანეთის ნაკრებს მოუგო 28:14. მესამე ადგილისთვის მატჩში კი ფრანგებმა პორტუგალიის ნაკრებს სძლიეს 7:0.

გაიმართა მორიგი ეტაპის კენჭისყრა, რომელიც მოსკოვში მომავალ უქმეებზე ჩატარდება. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში ესპანეთის, საფრანგეთის, უელსის, უკრაინისა და რუმინეთის ნაკრებებთან მოხვდა.



გიორგი შკინინი (უკანა პლანზე) მერაბ კვირიკაშვილი

**საქართველოს ნაკრები**

დავით ჩიტიძე, ირაკლი ღვინჯილია, გიორგი კობერიძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი (ოთხივე-ლოკომოტივი), ირაკლი გეგენავა, სანდრო ნიჟარაძე, შალვა მახარაშვილი (სამივე-ყოჩები), გიორგი კალმახელიძე (არმია), მერაბ შარიქაძე (აკადემია), გიორგი შკინინი (ხულიგანა), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე)

**გრან პრი**

**A ჯგუფი**

საქართველო-ჰოლანდია 14:7, საქართველო-უკრაინა 14:17, საქართველო-ესპანეთი 10:26, საქართველო-პორტუგალია 21:14, საქართველო-რუმინეთი 33:0

**V ადგილისთვის**

საქართველო-რუსეთი 19:24, ჰოლანდია-უელსი 0:34

**VII ადგილისთვის**

საქართველო-ჰოლანდია 41:7

**ფინალი**

ინგლისი-ესპანეთი 28:14

**საბოლოო მდგომარეობა**

1. ინგლისი, 2. ესპანეთი, 3. საფრანგეთი, 4. პორტუგალია, 5. რუსეთი, 6. უელსი, 7. საქართველო, 8. ჰოლანდია, 9. იტალია, 10. რუმინეთი, 11. უკრაინა, 12. მოლდოვა.

მსოფლიოს ჩემპიონატი, U-20

# პომებმა ბოკე უსაქმოდ დატოვეს

იტალიაში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა. ყველაზე დიდი მოულოდნელობა C ჯგუფის გათამაშებაში მოხდა, სადაც ინგლისის ახალგაზრდულმა ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში სამხრეთაფრიკელი თანატოლები დაამარცხა 26:20 და ნახევარფინალის მიღმა დატოვა.

იქამდე ორივე გუნდი დაუმარცხებლად ასპარეზობდა და მათ შორის დაპირისპირებას უნდა გაერკვია ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა. შეხვედრის პირველი ტაიმი ფრედ 11:11 დასრულდა. „უმცროსმა პომებმა“ მეორე ნახევარში იმძლავრეს და ყველასთვის მოულოდნელ გამარჯვებას მიაღწიეს.

ამავე ჯგუფში ირლანდიელებმა შოტლანდიის ნაკრები 30:13 დაამარცხეს.

კიდევ ერთი პრინციპული შეხვედრა გაიმართა B ჯგუფში, სადაც ურთიერთობას საფრანგეთისა და ავსტრალიის ახალგაზრდული ნაკრებები არკვევდნენ. ფრანგებმა შესანიშნავად ითამაშეს და საკმაოდ მრისხანე მეტოქე 31:25 დაამარცხეს. წაგების მიუხედავად, ავსტრალიელები ნახევარფინალში, როგორც საუკეთესო მეორეადგილოსანი გავიდნენ.

„პატარა ვოლაბების“ მეტოქე აქ ახალი ზელანდიის ახალგაზრდული ნაკრები იქნება, რომელიც ტურნირის მთავარი ფავორიტია. „ოლ ბლექსმა“ ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში არგენტინელი თანატოლები დაამარცხა - 48:14. ამავე ჯგუფში უელსელებმა მასპინძლებს დიდი ანგარიშით 56:6 სძლიეს.

**A ჯგუფი**

იტალია-უელსი 6:56, არგენტინა-ახალი ზელანდია 15:48

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ახალი ზელანდია - 15 ქულა, 2. უელსი - 10, 3. არგენტინა - 4, 4. იტალია - 0

**B ჯგუფი**

ფიჯი-ტონგა 36:18, ავსტრალია-საფრანგეთი 25:31

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საფრანგეთი - 14 ქულა, 2. ავსტრალია - 11, 3. ფიჯი - 5, 4. ტონგა - 0

**C ჯგუფი**

ინგლისი-სამხრეთ აფრიკა 26:20, ირლანდია-შოტლანდია 30:13

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ინგლისი - 14 ქულა, 2. სამხრეთ აფრიკა - 11, 3. ირლანდია - 4, 4. შოტლანდია - 0

**IX ადგილისთვის**

შოტლანდია-ტონგა, არგენტინა-იტალია

**V ადგილისთვის**

უელსი-ფიჯი, სამხრეთ აფრიკა-ირლანდია

**ნახევარფინალი**

ინგლისი-საფრანგეთი, ახალი ზელანდია-ავსტრალია



ინგლისის A ნაკრები

ჩერჩილის თასი

# ჩერჩილი ინგლისში დარჩა

ინგლისში დასრულდა „ჩერჩილის თასის“ გათამაშება, რომელშიც მასპინძელთა A ნაკრებმა გაიმარჯვა. ინგლისელებმა ფინალში კანადის ეროვნული ნაკრები საკმაოდ იოლად დაამარცხეს 37:6.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი იტალიის A ნაკრებმა მოულოდნელად შეძლო ტონგას ეროვნული გუნდის ძლევა 27:18. ევროპის ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე, რუსეთის ეროვნული გუნდი ტურნირზე ბოლო ადგილს დასჯერდა. მათ მე-5 ადგილისთვის მატჩში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან წააგეს - 32:25. აღსანიშნავია, რომ რუსები და ამერიკელები ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე ჯგუფში მეტოქეები არიან.

ზე რაგბი


ბლუ ბულზი-ნატალ შარქსი

# ბლუ ბულზმა ტიტული დათმო

ზე რაგბის რეგულარული გათამაშება სენსაციურად დასრულდა. შარშანდელმა გამარჯვებულმა, პრეტორიის „ბლუ ბულზმა“ ბოლო შეხვედრა საკუთარ მოედანზე წააგო და პლეი ოფის მიღმა დარჩა.

რეგულარული გათამაშება ავსტრალიურმა ბრისბენის „რედსმა“ მოიგო, მეორე ადგილზე კი სამხრეთაფრიკული, კეიპთაუნის „სტორმერზი“ გავიდა. ორივე გუნდმა პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც შესარჩევ მატჩებში გამარჯვებულებს დაელოდება.

„რედსმა“, ცხადია, A ჯგუფშიც, ანუ ავსტრალიის კონფერენციაშიც პირველი ადგილი დაიკავა. ბრისბენელებმა ბოლო, მე-18 ტურში სტუმრად დაამარცხეს ჰემილტონის „ჩიფსი“ - 19:11. „წითლებს“ 14 ქულა მგეზავმა **ქუადე კუპერმა** მოუტანა (ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა)

ამავე ტურში მეორე ადგილზე გასული სიდნეის „ვორათაზის“ ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. სიდნეელებმა შინ კანბერას „ბრამბიზი“ მიიღეს და უმოტივაციო მეტოქე იოლად დაამარცხეს 41:7.

თუმცა, „ვორათაზის“ ბედი ამ მატჩს არ გადაუწყვეტია. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ დასრულდებოდა, C ჯგუფის ფავორიტების, „ბლუ ბულზისა“ და დურბანის „ნატალ შარქსის“ დაპირისპირება.

რაც უნდა საოცარი იყოს, ჩემპიონებმა, რომლებმაც აქამდე ზედიზედ შვიდი მატჩი მოიგეს, სტუმართა გუნდს ვერაფერი დააკლეს და 23:26 დამარცხდნენ. დურბანელების უპირატესობა განსაკუთრებით მატჩის პირველ ნახევარში იგრძნობოდა. „ზვიგენებმა“ პირველი ტაიმი ათი ქულის სხვაობით - 16:10 მოიგეს.

მეორე ნახევარში ბლუ ბულზი მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა, ერთი ხანობა ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდეც შეამცირა, მაგრამ 76-ე წუთისთვის „ნატალ შარქსი“ ისევ ათი ქულით იგებდა. „ლურჯმა ხარებმა“ ერთი კიდევ გაიბრძოლეს, თუმცა მხოლოდ ანგარიშის შემცირება შეძლეს.

შედეგად „ბლუ ბულზი“ გათამაშებას გამოეთიშა და ჩემპიონის ტიტულსაც გამოეთხოვა. „ნატალ შარქსი“ მე-6 ადგილზე გავიდა და ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს“ შეხვდება. „ვორათაზი“ კი საერთო ჩათვლაში მეხუთეა და ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში ოქლენდის „ბლუზს“ დაუპირისპირდება.

ოქლენდელები B ჯგუფში, ანუ ახალი ზელანდიის კონფერენციაში ტურნირის განმავლობაში მუდმივად ლიდერობდნენ და პოზიციები მხოლოდ ბოლო ტურებში დათმეს. მე-18 ტურში „ბლუზმა“ შინ დაამარცხა დანიდინის „ჰაილენდერზი“ - 33:16, თუმცა ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“ სატურნირო ცხრილში მაინც გაუსწრო.

„ჯვაროსნებმა“ ბოლო ტურში შინ მოუგეს ველინგთონის „ჰარიკენზს“ - 16:9, ისე რომ, დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია. „კრუსეიდერზსა“ და „ნატალ შარქსს“ შორის გამარჯვებული ნახევარფინალში „სტორმერზთან“ სტუმრად ითამაშებს. „ბლუზსა“ და „ვორათაზს“ შორის უკეთესის მეტოქე, ასევე სტუმრად „რედსი“ იქნება.

სიმბოლური ნაკრები: 15. ქართლი ბეილი (ვორათაზი), 14. დევიდ სმითი (ფორსი), 13. სტეფან ტერბლანჩი (ნატალ შარქსი), 12. ხუან დე იონგი (სტორმერზი), 11. რინო ბენჯამინი (ჩიტაზი), 10. ფედერიკ მიშალაკი, 9. ჩარლი მაკლოიდი (ორივე-ნატალ შარქსი). 1. ბენ დეილი (რედსი), 2. ენდრიუ ჰორი (ჰარიკენზი), გრეგ სომერვილი (მელბურნ რებლზი), 4. გერჰარდ მოსტერტი (ნატალ შარქსი), 5. ალი ვილიამსი (ბლუზი), 6. კიგან დენიელი (ნატალ შარქსი), 7. ლიამ გილი (რედსი), 8. პიერ სპისი (ბლუ ბლუზი)

**XVIII ტური**

**A ჯგუფი**

მელბურნ რებლზი-ფორსი 24:27, ვორათაზი-ბრამბიზი 41:7

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რედსი - 66 ქულა, 2. ვორათაზი - 57, 3. ფორსი - 37, 4. ბრამბიზი - 33, 5. მელბურნ რებლზი - 24.

**B ჯგუფი**

ბლუზი-ჰაილენდერზი 33:16, ჩიფსი-რედსი 11:19, კრუსეიდერზი-ჰარიკენზი 16:9

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კრუსეიდერზი - 61 ქულა, 2. ბლუზი - 60, 3. ჰაილენდერზი - 45, 4. ჰარიკენზი - 42, 5. ჩიფსი - 40

**C ჯგუფი**

ბლუ ბულზი-ნატალ შარქსი 23:26, ჩიტაზი-სტორმერზი 34:44

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 63 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 57, 3. ბლუ ბულზი - 54, 4. ჩიტაზი - 40, 5. ლაიონზი - 25

**საერთო მდგომარეობა**

1. რედსი - 66 ქულა, 2. სტორმერზი - 63, 3. კრუსეიდერზი - 61, 4. ბლუზი - 60, 5. ვორათაზი - 57, 6. ნატალ შარქსი - 57, 7. ბლუ ბულზი - 54, 8. ჰაილენდერზი - 45, 9. ჰარიკენზი - 42, 10. ჩიფსი - 40, 11. ჩიტაზი - 40, 12. ფორსი - 37

**ნახევარფინალის შესარჩევი**

ბლუზი-ვორათაზი, კრუსეიდერზი-ნატალ შარქსი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი



ფინიქსი კარტერს იშორებს

# ახალი ამბავი მრავლადაა

საკალათბურთო სეზონი დასრულდა, თუმცა ოკეანის გაღმიდან თუ ევროპიდან ახალი ამბები მრავლად ვრცელდება. ტრადიციულად გთავაზობთ მნიშვნელოვან სიახლეთა მოკლე დაიჯესტს.

ვებგვერდი Draft Express იტყობინება, რომ „გოლდენ სტეიტი" „ორლანდო მეჯიქს" **დუაიტ ჰოვარდის** სანაცვლოდ სამ მოთამაშეს - **მონტა ელისს, ანდრის ბიედრინშსა** და **ეკპე უდოს** სთავაზობს.

თავად დუაიტი მსოფლიოში მოგზაურობასა და „ადიდასის" რეკლამას განაგრძობს, თან კომენტარებსაც იძლევა. „სუპერმენს" ბოლო განცხადება ხმაურიანი გამოუვიდა - მან თავისი გუნდის მწვრთნელი **სტენ ვან განდი** გააკრიტიკა იმის გამო, რომ ის არასწორად იყენებდა გამთამაშებელ გილბერტ არენასს.

ზუსტად ამ განცხადების შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „მეჯიქი" მეორე გამთამაშებლის - **ჯამირ ნელსონის** გაშვებას აპირებს. ვითომ ახალ სეზონში **არენასზე** აპირებენ აქცენტის გაკეთებას? საერთოდ, „ორლანდოში" ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ჰოვარდი სხვაგან არ გაექცეთ.

■ ■ ■

„ფინიქს სანზი" აპირებს გამოისყიდოს **ვინს კარტერის** კონტრაქტის ბოლო წელი. ალბათ, ეს პროცესი კლუბს ძვირი დაუჯდება, მაგრამ „დაბერებული" ვარსკვლავისთვის სეზონში თითქმის 19 მილიონის გადახდაც ზედმეტი ფუფუნებაა. საინტერესოა, რომელიც კლუბი შეიფარებს მომავალ სეზონში ვინსს?

■ ■ ■

გაზეთი Indianapolis Star იტყობინება, რომ „პეისერსი" მომავალი სეზონისთვის, შესაძლოა, **ბრაიან შომ** ჩაიბაროს. როგორც იცით, ის „ლეიკერსში" **ფილ ჯექსონის** ასისტენტი იყო და ლეგენდარული მწვრთნელის წასვლის შემდეგ კალიფორნიული კლუბის მწვრთნელობის მთავარ კანდიდატად განიხილებოდა, თუმცა საბოლოოდ **მაიკ ბრაუნზე** შეჩერდნენ.

■ ■ ■

უცნაურ გარიგებას ამზადებს „მილუოკი ბაქსი". ESPN-ის ინფორმაციის თანახმად, „ბაქსის" ხელმძღვანელობა თავისი ერთ-ერთი ლიდერის **ენდრიუ ბოგუტის** გაცვლას აპირებს. ავსტრალიელ ცენტრს „მინესოტას" დაუთმობენ, სანაცვლოდ კი „ირმები" ამ წლის დრაფტის მეორე ნომრის არჩევის უფლებას მიიღებენ.

■ ■ ■

„სან ანტონიო სპურსის" ერთ-ერთი ლიდერი **მანუ ჯინობილი** იდაყვის ტრავმის გამო კიდევ ორ თვეს გამოტოვებს. არგენტინელი პლეი ოფში „მემფისთან" სერიას იდაყვის არეში გაბზარული ძვლით თამაშობდა. ახლა ჯინობილიმ ექიმებისგან მითითება მიიღო - იქამდე არ გავა მოედანზე, სანამ სრულად არ გამოჯანმრთელდება.

■ ■ ■

NBA-ის ახალი ჩემპიონი, „დალას მავერიქსის" ცენტრი **ტაისონ ჩენდლერი** სილამაზის კონკურსის - „მის აშშ"-ის ჟიურიში ირიცხებოდა. გაზეთ USA Today-ის აინტერესებს, უბრალო დამთხვევა იყო თუ არა ის, რომ კონკურსში კალათბურთელის მშობლიური შტატის - კალიფორნიის წარმომადგენელმა გაიმარჯვა.

■ ■ ■

წამყვანი ევროპული კლუბები აქტიურად მუშაობენ სატრანსფერო ბაზარზე. ბოლო ინფორმაციის თანახმად, დაცვითი ყაიდის მცველი **ბონიფაცი ნდონგი** „ბარსელონას" ტოვებს და თურქულ „ეფეს პილსენში" გადადის სათამაშოდ.

გარდა ამისა, „ბარსელონამ" ხელშეკრულება გაუგრძელა **პიტ მიკელს**. ახალი ხელშეკრულება ორწლიანია.

■ ■ ■

დაბოლოს, თელ-ავივის „მაკაბიმ" დიუკის უნივერსიტეტის ყოფილი გამთამაშებელი **ჯონ შაიერი** გაიფორმა. ეს სულაც არ არის რიგითი ტრანსფერი - შაიერი ძალიან ნიჭიერი პლეიმეიკერია და ლიდერის თვისებებით არის დაჯილდოებული. ეს ჯერ კიდევ უნივერსიტეტში თამაშისას შეიმჩნეოდა. ჯონი NBA-ს იმ მიზეზით ვერ შეეწყო, რომ ფიზიკური კონდიციები არ ჰყოფნიდა, ევროპისთვის კი მისი გაბარიტები და სისწრაფე სავსებით დამაკმაყოფილებელია.

# ევროლიგა დაკომპლექტდა

ეროვნული ჩემპიონატების დასრულების შემდეგ ევროლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ტურნირის მონაწილეთა პრაქტიკულად სრული სია. დღეისთვის ცნობილია ჯგუფური ეტაპის 21 მონაწილე. მათ შორის მოხვდნენ აღიარებული გრანდები, რომლებსაც დადასტურებული სამწლიანი A ლიცენზია აქვთ: „კახა ლაბორალი", „რეალი", „ბარსელონა", „უნიკახა" (ყველა - ესპანეთი), „მონტეპასკი" (იტალია), „ეფეს პილსენი", „ფენერბაჰჩე" (ორივე - თურქეთი), ცსკა (რუსეთი), „მაკაბი" (ისრაელი), „პანათინაიკოსი", „ოლიმპიაკოსი" (ორივე - საბერძნეთი) და „ჟალგირისი" (ლიტვა). კიდევ ერთი ლიცენზიის მფლობელია „რომა" (იტალია), რომელიც წარუმატებლად გამოვიდა ამ სეზონში. მისი ლიცენზია ევროლიგის გენერალურმა ასამბლეამ უნდა დაადასტუროს.

B ლიცენზიით, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატებში წარმატებულ გუნდებს ეკუთვნით, რვა გუნდი მოხვდა ჯგუფურ ეტაპზე: „ნანსი" (საფრანგეთი), „პარტიზანი" (სერბეთი), „კროაცია" (ხორვატია), „ოლიმპია" (სლოვენია), „ბამბერგი" (გერმანია), „პროკომი" (პოლონეთი), „ბილბაო" (ესპანეთი), „კანტუ" (იტალია"). დაბოლოს, C ლიცენზია ეძლევა ევროპის თასის გამარჯვებულს. ის რუსეთის უნიქსს ეკუთვნის.

კიდევ ორი მონაწილე საკვალიფიკაციო ტურნირის შემდეგ გაირკვევა. მასში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. კვალიფიკაციისა და ჯგუფური ეტაპის წილისყრა 7 ივლისს ბარსელონაში გაიმართება.

● კალათბურთი. NBA

# პლეი ოფის გაკვეთილები

**ტელეკომპანია ESPN-ის მიმომხილველებმა გააანალიზეს 2010-11 წლების სეზონის მეორე ნაწილის - პლეი ოფის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ასე თუ ისე განსაზღვრავენ თანამედროვე კალათბურთის სახეს.**

## დაცვა

დღევანდელ კალათბურთში კარგი დაცვის გარეშე წარმატების მიღწევა რთულია. „ნიუ იორკის" მსგავსი გუნდები განწირულნი არიან წასაგებად მაშინ, როცა უკანა ხაზში სერიოზული გარღვევა აქვთ. ერთი საინტერესო ფაქტი. რატომ ითამაშა „დალასმა" ფინალური სერიის ბოლო სამი მოგებული მატჩი **პეჟა სტოიაკოვიჩის** გარეშე? იმიტომ, რომ სერბმა არ იცის დაცვა - ნელი ტემპი, მოუხრელი ფეხები, სიზარმაცე... პეჟას სარგებლიანობის კოეფიციენტი მესამე მატჩში „მინუს 11"-ს უდრიდა, რის შემდეგაც **კარლაილი** ნაკლებად ტექნიკურ, მაგრამ მონდომებულ **ბრაიან კარდინალს** ენდო.

## ხასიათი და გამარჯვებისკენ სწრაფვა

წარმატების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. გასულმა პლეი ოფმა ყველა გაახარა დრამატული სცენარებითა და დაძაბული ფინალური წუთებით. ამ მხრივ გამორჩეული იყო „დალასი", რომელმაც კბილებით გამოსტაცა სერია „ოკლაჰომას" და ფინალშიც გამარჯვების ფანტასტიკური სურვილი გამოამჟღავნა. საკმარისია გავიხსენოთ მეორე მატჩი, რომელსაც ტეხასელები მეოთხე მეოთხედში 15 ქულით აგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებულებმა დატოვეს მოედანი. ეს მთელი სერიის გარდამტეხი მომენტი გახდა.

## მოთმინება და მრავალწლიანი მონდომებული მუშაობა

**მარკ ქიუბანი** NBA-ში ოდიოზური ფიგურაა და ბევრს არ უყვარს ეს ემოციური მილიარდერი. მაგრამ ფაქტია, რომ მან დაიმსახურა „დალასის" ჩემპიონობა თავისი გუნდისადმი ნდობის, სიყვარულისა და მოთმინების გამო. მრავალი წლის განმავლობაში ის თანხებს არ იშურებდა საყვარელი გუნდისთვის და ბოლოს მაინც მიირთვა შამპანური გამარჯვებულის რანგში.

იგივე ეხებათ ლიგის დამსახურებულ ვეტერანებს - **ნოვიცკის, კიდს, მერიონს, სტოიაკოვიჩს, ტერის**... მათ დასცინოდნენ და პენსიაში საჩემპიონო ბეჭდის გარეშე გასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ამ ბიჭებმა იმდენი სირთულე გადალახეს, რომ არ შეიძლებოდა მათი დიდება არ გაგვეზიარებინა. ეს გაკვეთილია იმ სულსწრაფობისთვის, რომლებსაც ყველაფერი ერთბაშად უნდათ. პირველ რიგში, ეს ეხებათ „ნიუ იორკსა" და განსაკუთრებით „მაიამის". მხოლოდ მოთმინება და საკუთარ შეცდომებზე მუშაობა აგიყვანს მწვერვალზე.

## ლებრონს საჩემპიონო ხასიათი არ აქვს

ზემოთ თქმული ასევე მნიშვნელოვანწილად ეხება **ლებრონ ჯეიმსს**. რატომ ვერ აიღო მან გადამწყვეტ მომენტში საკუთარ თავზე ლიდერობა და რატომ გადააბარა პასუხისმგებლობა პარტნიორებს, თუნდაც ეს ნიჭიერი **დუეინ უეიდი** ყოფილიყო? რატომ არ გაამართლა მან ამჯერადაც ნდობა? თუ ლებრონს სურს ნამდვილი „მეფე" გახდეს, საკუთარ თავზე უდიდესი შრომის გაწევა მოუწევს, პირველ რიგში, მენტალურად. სამწუხაროა, როცა ასეთი ნიჭის მქონე ადამიანი სრულად ვერ ახერხებს ღმერთისგან ბოძებული საჩუქრის რეალიზებას. იმისთვის, რომ ჩემპიონი გახდე - საკუთარ თავში უნდა აღზარდო ჩემპიონი. ჯეიმსმა ეს ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნოს.

## წინა ხაზის მნიშვნელობა

წინა ხაზის როლი კვლავ მნიშვნელოვანი გახდა. „მემფისმა" „სან ანტონიოს" **ზაკ რენდოლფისა** და **მარკ გასოლის** წყვილს უნარიანი მოქმედების ხარჯზე აჯობა, „ბოსტონმა" „ნიუ იორკი" სამწამიანში „დაახრჩო", **პაუ გასოლი** ძალიან სუსტად გამოიყურებოდა **ლამარ ოდომთან** და **ენდრიუ ბინუმთან** ერთად - შედეგად „ლეიკერსის" „მშრალი" ანგარიშით მარცხი „დალასთან". „მავერიქსის" წარმატება „ოკლაჰომასთან" და „მაიამისთან" შემადგენლობაში უფრო მრავალფეროვანი „მაღლების" ყოფნამ განაპირობა. **კრის ბოშმა** კვლავაც ვერ ისწავლა ნორმალურად თავის დაცვა, **ენტონი** ცენტრი არ არის, ხოლო ვეტერანი „მაღლებისგან" „ჰიტს" არანაირი სარგებლობა არ ჰქონდა. „ოკლაჰომა" კი ვერ ეღირსა **კენდრიკ პერკინსისგან** ნორმალურ თამაშს. ეს ფრაგმენტები ერთ საერთო სურათს ქმნის - ხარისხიანი თავდასხმა და ზუსტი დაცვა მაღალი კალათბურთელების მუშაობას ეფუძნება.

## გამთამაშებლის სტილის შეცვლა

წარსულს ჩაჰბარდა **ჯონ სტოქტონის** ტიპის აკადემიური პლეიმეიქერები. წლევანდელ პლეი ოფში კონფერენციის ფინალისტთა შემადგენლობაში გამორჩეული იყო ორი მცველი, რომლებიც აქცენტს ფარქვეშ შესვლასა და სროლაზე აკეთებდნენ და არა პასზე. ესენი იყვნენ **რასელ უესტბრუკი** და **დერიკ როუზი**. სამწუხაროდ, ხშირად ასეთ მოქმედებას გუნდისთვის სარგებლობა არ მოაქვს, რაშიც როუზის მაგალითზე დავრწმუნდით. თუმცა მისი შეცდომები შეიძლება ახალგაზრდა ასაკსა და გამოცდილების არქონას დავაბრალოთ.

ასეა თუ ისე, გამთამაშებელი, რომელიც თითქმის საჯარიმოს ხაზიდან ტენის ბურთს კალათში, პატივისცემასა და მეტოქის მხრიდან შიშს იწვევს. კალათბურთი იცვლება, თამაში უფრო მეტ ფიზიკურ მომზადებას, კარგ ნახტომსა და ათლეტიზმს მოითხოვს. თუმცა ბედის ირონიით, „დალასი" ტიტულამდე ძველი ფორმაციის მოთამაშემ **ჯეისონ კიდმა** მიიყვანა.

## სათადარიგოთა სკამის როლი

ისევ ბანალური ჭეშმარიტება - ხარისხიანი რეზერვის გარეშე რთულია წარმატების მიღწევა. სოლიდური სასტარტო ხუთეულის მიუხედავად, „ნიუ იორკმა" „მშრალი" ანგარიშით წააგო „ბოსტონთან" სწორედ სუსტი და არასრულფასოვანი როტაციის გამო. „მაიამიმ" 7-8 მოთამაშით სცადა ჩემპიონობის მოპოვება, მაგრამ კრახი განიცადა. ჩემპიონი კი გახდა რაოდენობის მხრივ ყველაზე ძლიერი შემადგენლობის მქონე გუნდი. **ბარეა**, ტერი, **ჰეივუდი**, სტოიაკოვიჩი, **მაინმი**, კარდინალი - გარკვეულ ეტაპებზე ამ კალათბურთელებმა საკუთარი წვლილი შეიტანეს „მავერიქსის" ტრიუმფში. სხვათა შორის, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ტეხასელები მხარში ედგნენ ერთმანეთს იმის მიუხედავად, ძირითადში თამაშობდა კალათბურთელი თუ ღრმა რეზერვში იმყოფებოდა. სწორედ ამას ჰქვია გუნდური სული. უნდა აღინიშნოს კარლაილის მუშაობა, რომელმაც შეძლო როტაციის დალაგება და უნარიანად იყენებდა სათადარიგო მოთამაშეებს. **პატ რაილის** კი ბევრი ფიქრი მოუწევს იმაზე, ვინ შეიძლება გააძლიეროს „მაიამი".

## უმაღლესი დონის ვარსკვლავების წასვლა

**შაკილ ო'ნილი** აღარ ითამაშებს კალათბურთს პროფესიულ დონეზე, **ფილ ჯექსონი** აღარ არის „ლეიკერსის" მწვრთნელი და, შესაძლოა, ის აღარასოდეს დაუბრუნდეს სამწვრთნელო საქმიანობას. ერთ დროს „სან ანტონიოს" მძლავრი საკალათბურთო დინასტია განვლილი წლების სიმძიმისგან მხრებში მოიხარა, „ბოსტონი" მოხუცთა თავშესაფარს მოგვაგონებს, სერიოზულ წმენდას საჭიროებს „ლეიკერსი"...

მოკლედ, მიდიან პიროვნებები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში NBA-სთან ასოცირდებოდნენ. **მაკგრეიდისგან** მხოლოდ საკუთარი თავის აჩრდილი დარჩა, **კარტერი** ვერ გვახარებს საფირმო ჩატენვებით, მალე პენსიაში გავლენ კიდი, **ნეში, დანკანი, გარნეტი** და სხვები.

## თაობათა ცვლა

„ჩამოწერილ" ვეტერანთა ფონზე წლევანდელ პლეი ოფში მთავარი ნიშანი იყო მრავალრიცხოვანი ახალგაზრდების პროგრესი. მართალია ჩემპიონობა ვეტერანებს ერგოთ, მაგრამ ბევრ გუნდში განმსაზღვრელ როლს თამაშობდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები. პრინციპში ეს ეხება რეგულარულ ჩემპიონატსაც. დერიკ როუზი, **კევინ დურანტი**, რასელ უესტბრუკი, **რაჟონ რონდო, სერჟ იბაკა, ჯეიმს ჰარდენი, ტადეუშ იანგი, ლუოლ დენგი, ჟოაკიმ ნოა, ჯეფ ტიგი, ტაი ლოუსონი, ლარი ფილდსი, დრიუ ჰოლიდეი, უესლი მეტიუზი, ბლეიკ გრიფინი, ერიკ გორდონი, კევინ ლავი, ჯონ უოლი, დემარკუს კაზინსი, ერიკ ბლედსოუ, ჯავალ მაკგი, ბრუკ ლოპესი, რობინ ლოპესი, ჯეი ჯეი ჰიქსონი, ტაირიკ ევანსი** და ბევრი სხვა. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, დღეს მათი დრო დგება. უახლოესი წლების განმავლობაში სწორედ ამ კალათბურთელების თამაშს დავაკვირდებით. მანამდე კი მილოცვას დამსახურებული ვეტერანები იღებენ, რომლებმაც წელს საჩემპიონო ბეჭდები მოიგეს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა









ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონის 10 დიდი მატჩი

# ყველა დროის საუკეთესო ტაიბრეიკი


ფინალის მონაწილეები

ვაგრძელებთ უიმბლდონის ისტორიის შესახებ სტატიების ციკლს. დღევანდელი მოთხრობა ტურნირის ისტორიაში საუკეთესოდ აღიარებულ მატჩზეა, სადაც ყველა დროის საუკეთესო ტაი-ბრეიკი გათამაშდა.

**ბიორნ ბორგი** 1980 წლის უიმბლდონს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშის რანგში შეხვდა. მან ზედიზედ ოთხჯერ დაიპყრო ლონდონის ბალახი და ხუთჯერ როლან გაროსი. უიმბლდონამდე ორი კვირით ადრე საფრანგეთის ღიას ფინალში შვედს ვერაფერი მოუხერხა **ვიტას გერულაიტისმა** და ახლა, ბორგი ზედიზედ მეხუთე ტიტულის მოსაპოვებლად ემზადებოდა მისი თამაშის სტილისთვის შეუფერებელ ბალახზე.

უიმბლდონის ორმა კვირამ თითქმის გადაუღებელი წვიმების ფონზე ჩაიარა, კორტები ლამის ჭაობად იქცა. ამინდის შესაფერისი იყო მამაკაცთა ტურნირის მატჩები და იმ წლის გათამაშება, წესით, ყველაზე მოსაწყენი უნდა გამოსულიყო. ერთიმეორეს მიყოლებით ეთიშებოდნენ ბრძოლას ყოფილი და მომავალი ლეგენდები - მეორე წრეში წააგო წარსულში დიადმა **იან კოდეშმა**, მესამეში - მომავალმა ვარსკვლავმა **ივან ლენდლმა** და ასაკთან მებრძოლმა **ილიე ნასტასემ**. ბორგი კი საზეიმო მარშით მიიწევდა წინ და გზად მხოლოდ ორი სეტი დაკარგა. მეორე ნომრად განთესილი **ჯონ მაკინროი** კი, ტრადიციულად, ყოველ მატჩში შოუს დგამდა, როგორც წესი, ნეგატიური ხასიათის.

თავიდან ჯონმა კინალამ წააგო მეორე წრეში მსოფლიოს 112-ე ჩოგანთან, ავსტრალიელ **ტერი როკავერტთან**, შემდეგ ნერვების დემონსტრაცია მოაწყო ნახევარფინალში. **ჯიმი კონორსთან** ოთხსეტიანი მატჩის დროს მან 14-ჯერ გაარკვია ურთიერთობა არბიტრთან და საბოლოოდ, პერსონალური გაფრთხილება მიიღო - ეს იყო პირველი შემთხვევა უიმბლდონის ისტორიაში. საბოლოოდ, მაკინროიმ მოიგო, თუმცა საზოგადოებრივი აზრი მის წინააღმდეგ იყო.

ისევე როგორც სამი წლის წინ, ცენტრალურ კორტზე შვედის მეტოქის წარდგენისას პუბლიკამ სტვენა ატეხა. მაკინროიმ პირველი სეტი გაფუჭებული მოწოდებით დაიწყო და 6:1-ით (თავის სასარგებლოდ) დაასრულა. ამერიკელმა ორი ბრეიკი გააკეთა - მეორე და მეექვსე გეიმებში და აკურატულად მოჭრა ბურთი ბადესთან სეტბოლის დროს. პირველ პარტიას ნახევარი საათიც არ დასჭირდა. არც ერთ მეტოქეს რაიმე განსაკუთრებული არ უჩვენებია. ჩვეულებრივი, უმაღლესი დონის ჩოგბურთი იყო.

მეორე სეტში შვედმა უფრო აქტიურად დაიწყო თამაში და ბადესთან გასვლასაც მოუხშირა. აღარ შეიმჩნეოდა მაკინროის უპირატესობა სისწრაფეში. თუმცა ამერიკელს რჩებოდა ერთი ერთგული იარაღი - მოწოდება. თუ პირველი მოწოდების მხრივ ყოველთვის ვერ იყო საქმე კარგად (მთელი მატჩის განმავლობაში მისი სიზუსტის მაჩვენებელი 50 პროცენტზე ოდნავ მეტი იყო), მეორე ჯონს საუკეთესო ჰქონდა მსოფლიო ჩოგბურთში. მაკინროის მოწოდებაზე პირველ ცხრა გეიმში შვედმა მხოლოდ 13 ქულის აღება შეძლო. გასაკვირი არ არის, რომ მეორე სეტში მეტოქეები ერთიმეორის მიყოლებით იღებდნენ საკუთარ გეიმებს, სანამ 6:5-ზე (ბორგის სასარგებლოდ) ამერიკელმა არ გააფუჭა თითქმის ყველა გასვლა ბადესთან. ერთხელ ბორგმა მას მოკლე დარტყმით აჯობა, ერთხელ კარგად ითამაშა მიღებაზე, ორჯერ კი თავად მაკინროიმ გაარტყა ბურთი ბადეს. ცენტრალური კორტი ახმაურდა - ბორგმა სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა.

ჩემპიონმა თავისი რიტმი იპოვა და მიუხედავად იმისა, რომ მაკინროი აგრძელებდა საკუთარ მოწოდებაზე დომინირებას, შეძლო მეორე გეიმში ბრეიკის გაკეთება. ეს საკმარისი აღმოჩნდა - პარტიის ბოლომდე ჩოგბურთელებს საკუთარი მოწოდება აღარ წაუგიათ და სეტი ბორგმა 6:3 მოიგო. თამაში ჩვეულ კალაპოტში ჩადგა, რასაც ფავორიტის დამაჯერებელი გამარჯვება უნდა მოეტანა. ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტში ყველა ასე ფიქრობდა, გარდა 21 წლის მაკინროისა.

როცა მეოთხე სეტის მეცხრე გეიმში ბორგმა მორიგი ბრეიკი გააკეთა, ყველა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქმე დამთავრებული იყო. თავის მოწოდებაზე შვედი 40:15 დაწინაურდა, ეს კი ორმაგ მატჩბოლს ნიშნავდა. შემდეგი ორი გათამაშება თითქმის ერთნაირად დასრულდა - ბიორნი ბადესთან გადიოდა, ჯონი შემოვლით დარტყმას ასრულებდა. მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მეორე მატჩბოლი მოიგერია, ტრიბუნებმა პირველად დააჯილდოეს აპლოდისმენტებით მაკინროი. შემდეგ გათამაშებაში ჯონმა ბადესთან გაიტყუა მეტოქე და მორიგი წარმატებული შემოვლითი დარტყმა შეასრულა. პირველი ბრეიკი პარტიაში და ამერიკელის პირველი (და არა უკანასკნელი) სასწაულებრივი გადარჩენა.

საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, რომელიც ამერიკელის ბრწყინვალე „სმეშით" გაიხსნა. მეტოქეები სტაბილურად იღებდნენ ქულებს საკუთარ მოწოდებაზე, სანამ 4:4-ზე შვედმა პირველი მინი-ბრეიკი არ გააკეთა. შემდეგი ქულა მაკინროიმ მოიგო და ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ბორგი ისევ წინ გავიდა და მორიგი მატჩბოლი მიიღო. აქედან დაიწყო შოუ, რომლის გამოც ეს ტაი-ბრეიკი საუკეთესოდ არის აღიარებული ჩოგბურთის ისტორიაში. ცნობისთვის, ამ მატჩში პირველი სეტი 28 წუთი გრძელდებოდა, მეოთხე სეტის ტაი-ბრეიკმა კი ექვსი წუთით ნაკლები წაიღო. შვედს ხუთი მატჩბოლი ჰქონდა, ამერიკელს - შვიდი სეტბოლი. მაყურებელი მიხვდა, რომ ახალი ლეგენდის მოწმე ხდებოდა და ხმას არ იღებდა, მხოლოდ რომელიმე მეტოქის მორიგი გმირობის შემდეგ უკრავდა ტაშს. როცა ჩოგბურთელები 15:15-ის შემდეგ მოედანს ცვლიდნენ, ტრიბუნები ისე ესალმებოდნენ მათ, თითქოს სულ ახლახან ჩემპიონატი მოიგესო. მაკინროიმ მე-16 ქულა ბორგის მოწოდებაზე აილო - „მკვდარი" ბურთი გადაარჩინა, მაგრამ მომდევნო გათამაშებაში სეტბოლზე სულელური შეცდომა დაუშვა - ბადესთან გასულმა აუტში გაუშვა ბურთი. იქვე ბორგმაც გაუკეთა საჩუქარი მოწინააღმდეგეს და ჯონმა მორიგი სეტბოლი მიიღო. ბორგი აწვდის, მაკინროი კორტის ცენტრში გზავნის ბურთს, სადაც შვედმა მიირბინა, მაგრამ მაქსიმალურად რთული დარტყმა განიზრახა და ბადეს გაარტყა ბურთი! 18:16 - მაკინროის გამარჯვება ტაი-ბრეიკზე და სეტში.

მეოთხე პარტიაში რკინის ნერვების მქონე შვედმა შვიდი მატჩბოლი ვერ გამოიყენა. მის მდგომარეობას პანიკური ეთქმოდა. მოგვიანებით ბიორნმა განაცხადა: *„მაშინ ერთი წამით გავიფიქრე - ასე ხომ შეიძლება წავაგო?!"* ბოლო ჩოგბურთელი, ვისაც ფინალის მსვლელობისას მატჩბოლი ჰქონდა და მაინც წააგო უიმბლდონი, ავსტრალიელი **ჯონ ბრომვიჩი** იყო. ეს შორეულ 1948 წელს მოხდა. 32 წლის შემდეგ ბორგს არ სურდა ამ სიის შევსება.

გადამწყვეტ სეტში ჩემპიონს რამდენიმე უპირატესობა ჰქონდა. ჯერ ერთი, შვედი პირველი აწვდიდა და რადგან ორივე ჩოგბურთელი საკუთარ გეიმებში თითქმის იდეალურად თამაშობდა, მაკინროი ყოველი თავისი მოწოდების წინ მდევრის როლში იქნებოდა. რა თქმა უნდა, იმ ადამიანისთვის, რომელმაც ერთ სეტში შვიდი მატჩბოლი მოიგერია, ეს უმნიშვნელო დისკომფორტი იყო. ბორგის მეორე უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ჯონის ნახევარფინალი კონორსთან წვიმის გამო ორი დღე გაგრძელდა, ასე რომ, შვედს ერთით მეტი დასვენების დღე ჰქონდა. დაბოლოს, ერთეულთა ფინალამდე მაკინროიმ წყვილთა თანრიგის ფინალშიც ითამაშა, სადაც **პიტერ ფლემინგთან** დუეტში წააგო ავსტრალიელებთან - **მაკნამარასთან** და **მაკნამისთან**. დაღლილობა თანდათან გავლენას ახდენდა მაკინროის თამაშზე - მეხუთე სეტში მეტოქეს შვიდი ბრეიკ-პოინტი მისცა, თუმცა ბორგმა ეს უპირატესობა ვერ გამოიყენა. მაყურებელი შოკირებული იყო - ბიორნმა მატჩის განმავლობაში 14 ბრეიკ-პოინტი გაანიავა!

7:6-ზე ბორგის სასარგებლოდ მაკინროი მოსაწოდებლად გავიდა. პირველი გათამაშებისას ბურთი ბადეს მოხვდა, იგივე იყო მეორეში, ოღონდ ამჯერად ბორგმა მიიღო ცუდად ბურთი. შემდეგი ქულა სკანდინავიელმა მიღებიდან იდეალური კროსით მოიგო. როცა ამერიკელმა მოჭრილი დარტყმის შესრულებისას ბადეს გაარტყა ბურთი, ბორგმა მერვე მატჩბოლი მიიღო. ამჯერად ყველაფერი იდეალურად გამოვიდა - მიღება, მაკინროის ბადესთან გასვლა და ბრწყინვალე კროსი მარცხნიდან. შვედი ექსტაზში მუხლებზე დაეცა. უიმბლდონის 103-წლიან ისტორიაში უდიადესი ფინალი დასრულებული იყო.

მატჩის შემდეგ ბორგი უჩვეულო სანახავი იყო. ის სახეს ხელებით იფარავდა, არადამაჯერებლად იღიმებოდა - თითქოს მომხდარის არ სჯეროდა. ის მხოლოდ 24 წლის იყო, მაგრამ იმ დღეს თითქოს მის გონებაში რაღაც შეიცვალა. „დიდი სლემის" ტურნირების მორიგი სამი ფინალი მაკინროისთან წააგო (ორჯერ აშშ-ის ღია და 1981 წლის უიმბლდონი) და მხოლოდ **ივან ლენდლი** დაამარცხა პარიზში. კიდევ ერთი წლის შემდეგ სეზონში მხოლოდ ერთი ტურნირი ითამაშა - მონტე კარლოში მეოთხედფინალში წააგო **იანიკ ნოასთან**. ნახევარი წლის შემდეგ, 1983 წლის იანვარში, 26 წლის ასაკში კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. ყველაზე შოკისმომგვრელი ეს განცხადება ჯონ მაკინროისთვის აღმოჩნდა, რომელმაც სცადა შვედის გადარწმუნება, მაგრამ არ გამოუვიდა.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| მს. ჩემპიონატი | |
| UNDER 17 | |
| ჩრ. კორეა-ჰოლანდია | 1:1 |
| იაპონია-საფრანგეთი | 1:1 |
| ამხანაგური მატჩები | |
| ტრენჩინი-პეტრჟალკა | 2:1 |
| დინამო (კ)-შენიცა | 2:1 |
| ზალცბურგი-ალემანია | 2:0 |
| ციურიხი-არაუ | 3:3 |
| შვედეთი | |
| ჰაკენი-ჰალმსტადი | 3:1 |
| ირლანდია | |
| დერი-სლიგო | 0:0 |
| დროგედა-უნივერსიტი | 3:1 |
| გალვეი-სტ. პატსი | 0:2 |
| შემროკი-დანდალკი | 2:2 |
| ისლანდიის თასი | |
| ვალური-ვესტმანაიეარი | 2:3 |
| ტროტური-ფრამი | 3:1 |
| გრინდავიკი-ჰკ | 2:1 |
| ესტონეთი | |
| კურესაარე-ნარვა | 0:2 |
| კალევი-აიაქსი | 7:0 |

TV პროგრამა

**22 ივნისი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** სუპერმატჩი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
**12:00** სეზონის შეჯამება. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო.
**13:30** ტელეჟურნალი - მსოფლიო ფეხბურთი.
**14:00** ჩემპიონის გზა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ვალანსიენი.
**16:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**23:30** სპორტის ვარსკვლავები.
**00:00** არგენტინა. ტურის მიმოხილვა.
**01:00** ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ლანუსი.
**12:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**13:00** ტელეჟურნალი - მსოფლიო ფეხბურთი.
**13:30** ყოველკვირეული ჟურნალი - ემოციები.
**14:00** ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
**15:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. III დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**19:45** რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-ლოკომოტივი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**18:25** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. რუბინი-ვოლგა (LIVE).
**20:45** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-ყუბანი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**14:55** ჩოგბურთი. უიმბლდონი. III დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**04:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. სანტოსი-პენიაროლი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**15:10** რუსეთის ჩემპიონატი. ტომი-როსტოვი (LIVE).
**17:30** რუსეთის ჩემპიონატი. ამკარი-ნალჩიკი (LIVE).
**19:45** რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-ლოკომოტივი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:55** უიმბლდონი. III დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**19:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. პოლონეთი-ლატვია. პოლონეთი (LIVE).
**22:25** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ესპანეთი. პოლონეთი (LIVE).

**SPORT+**

**18:25** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-დინამო (LIVE).
**20:45** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კრასნოდარი-ტერეკი (LIVE).
**04:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ფინალი. სანტოსი-პენიაროლი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. აშშ-უზბეკეთი. მექსიკა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**14:00** ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ურავაფუკუოკა (LIVE).
**14:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სინგაპურის თასი. სინგაპური-ევერტონი (LIVE).
**22:00** მინი-ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფინალი. V მატჩი (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ურუგვაი-რუანდა. მექსიკა (LIVE).

ჩოგბურთი

# ვოზნიაცკი აკადემიას ხსნის

ქალთა შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანის **კაროლინ ვოზნიაცკის** მამა - **პეტრ ვოზნიაცკი** ჩოგბურთის მობილური აკადემიის გახსნას გეგმავს და ამ მიზნით ერთ-ერთ ინვესტორად რუსი მილიარდერის **რომან აბრამოვიჩის** მიწვევას აპირებს.

*„იდეა იმაში მდგომარეობს, რომ 2012 წლისთვის გვინდა გავხსნათ ჩოგბურთის საერთაშორისო მობილური აკადემია. მოვიწვევთ სხვადასხვა ქვეყნის 24 ყველაზე ნიჭიერ სპორტსმენს, რომლებიც რიო დე ჟანეიროში 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლაზე ოცნებობენ"*, - განაცხადა პეტრ ვოზნიაცკიმ.

დანიელი მწვრთნელი უკვე დაუკავშირდა პოტენციურ ინვესტორებს, რომელთა შორის არის ლონდონის „ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი. *„აბრამოვიჩს იდეა მოეწონა და თანამშრომლობის დიდი ინტერესიც გამოთქვა"*, - ამტკიცებს უფროსი ვოზნიაცკი.

მისი კონცეფციის თანახმად, ჩოგბურთის მობილური აკადემია ყოველ ოთხ თვეში ახალ კონტინენტზე განთავსდება. *„სხვადასხვა ეროვნების, კულტურისა და რელიგიის ახალგაზრდა ადამიანებს შევკრებთ, თუნდაც პოლიტიკური პრობლემების მქონე ქვეყნებიდან*, - ამბობს დანიელი. - *ვაჩვენებთ ყველას, რომ ბავშვებს შეუძლიათ ერთ მაგიდასთან ჯდომა, ერთად თამაში და ერთი ოცნების გაზიარება. შევქმნით გუნდს კარგი მწვრთნელებისგან, პედაგოგებისგან და ექიმებისგან და ყველა ხარჯს საკუთარ თავზე ავიღებთ"*.

■ ■ ■

ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა, „დიდი სლემის" ტურნირების რვაგზის ჩემპიონმა **ჯიმი კონორსმა** კონტრაქტი გააფორმა გამომცემლობა HarperCollins-თან მემუარების გამოშვებაზე. Tennis.com-ის ინფორმაციით, კონორსი თავის წიგნში დაწვრილებით აღწერს გასული საუკუნის 70-იან წლებში ცხოვრების პერიოდს - **კრის ევერტთან** რომანით დაწყებული და **ჯონ მაკინროისთან** ლეგენდარული დაპირისპირებით დამთავრებული.

წიგნის გამოსვლა (2012 წლის ივნისი) დაემთხვევა კონორსის 60 წლისთავსა და უიმბლდონზე მისი ბოლო გამარჯვების 30 წლისთავს.

■ ■ ■

ამერიკული ჩოგბურთის კიდევ ერთ ლეგენდას **ანდრე აგასის** 9 ივლისს, ამერიკის ქალაქ ნიუპორტში საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანენ. მომდევნო დღეს კი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და ასევე „დიდი სლემის" ტურნირების რვაგზის ჩემპიონი საჩვენებელ მატჩს გამართავს თავის თანამემამულე **ტოდ მარტინთან**.

■ ■ ■

უიმბლდონზე პირველ წრეში წაგების შემდეგ (**მონიკა ნიკულესკუსთან** - 1:6, 1:6) ავსტრიელმა ჩოგბურთელმა **სიბილ ბამერმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

31 წლის სპორტსმენმა 14-წლიანი კარიერის განმავლობაში WTA-ის ორი ტიტული მოიპოვა. მსოფლიო რეიტინგში მისი უმაღლესი მიღწევა იყო - მე-19 ადგილი (2007 წლის 17 დეკემბერი), „დიდი სლემის" ტურნირებზე საუკეთესო შედეგი - 2008 წლის აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალი.

კარიერის განმავლობაში ბამერმა 2 087 375 დოლარი გამოიმუშავა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარათონი აღარ შედგა

გუშინ, უიმბლდონზე ძალიან დატვირთული დღე იყო. გარდა მეორე დღეს დაგეგმილი 64 მატჩისა, ასევე ჩასატარებელი იყო პირველი დღიდან გადადებული 31 შეხვედრა.

იოლი გამარჯვებით დაიწყო ტურნირი ექვსგზის ჩემპიონმა **როჯერ ფედერერმა**. ალბათ გახსოვთ, შარშანდელი უიმბლდონის პირველ წრეში შვეიცარიელს ხუთი სეტის თამაში მოუწია კოლუმბიელი **ალეხანდრო ფალას** წინააღმდეგ, მაგრამ ამჯერად ყაზახ **მიხაილ კუკუშკინთან** მატჩში ყველაფერი საათსა და 42 წუთში დასრულდა. ფედერერი სამ სეტში ჩაეტია, თუმცა პირველი ბრეიკი მხოლოდ მეორე პარტიაში გაიფორმა. პირველში ტაი-ბრეიკის ჩატარება გახდა საჭირო და იქ როჯერმა 7:2 მოიგო, რის შემდეგაც თამაში მთლიანად მისი კარნახით წარიმართა და ასეთი ანგარიშით დასრულდა - 7:6, 6:4, 6:2.

ფედერერმა სამი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, პირველ სეტში საკუთარ მოწოდებაზე 31 გათამაშებიდან 29 მოიგო, სულ 53 „ვინერსი" შეასრულა, რაც 37-ით მეტი იყო კუკუშკინის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

*„უიმბლდონზე პირველი მატჩი არასოდეს არ არის იოლი. პირველ სეტში დრო დამჭირდა გონს მოსასვლელად, თანაც მეტოქეც კარგად თამაშობდა"*, - განაცხადა ფედერერმა მატჩის შემდეგ.

იოლი და მოსახერხებელი მეტოქე ჰყავდა პირველ წრეში კიდევ ერთ ფავორიტს **ნოვაკ ჯოკოვიჩს**. სერბს აქამდე ხუთიდან ხუთი მატჩი ჰქონდა მოგებული ფრანგი **ჟერემი შარდისთვის**, თანაც ისე, რომ სეტი არ დაუთმია მეტოქისთვის. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა.

ჯოკოვიჩს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა. სერბმა პირველ სეტში მხოლოდ ორი ქულა დათმო საკუთარ მოწოდებაზე, სულ კი მატჩში თავის გეიმებში 11 გათამაშება წააგო. საათისა და 20 წუთის განმავლობაში ჟერემი შარდის ერთადერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და ისიც ვერ გამოიყენა.

ეისების წვიმა დაატეხა თავს უიმბლდონის სამგზის ფინალისტმა **ენდი როდიკმა** გერმანელ **ანდრეას ბეკს**. ეს უკანასკნელი არ აღმოჩნდა ამერიკელისთვის სერიოზული მეტოქე, მით უმეტეს, რომ ბეკს არასოდეს გაუღწევია „დიდი სლემის" ტურნირების მეორე წრეში. მან ეს ვერც ამჯერად გააკეთა, რისი მიზეზიც როდიკის თითქმის უშეცდომო თამაში იყო. ენდიმ ერთი ორმაგი და მხოლოდ ათი უნებლიე შეცდომა დაუშვა, თანაც არცერთხელ არ წაუგია საკუთარი მოწოდება.

ამიტომაც ამ მატჩის მიხედვით რთულია როდიკის სათამაშო ფორმაზე მსჯელობა. ამერიკელმა ტრავმის გამო როლან გაროსი გამოტოვა, ორი კვირის წინ ლონდონში „ქუინზ კლაბის" ტურნირზე ნახევარფინალში გააღწია, მაგრამ იქ **ენდი მიურეისთან** მხოლოდ ოთხი გეიმის აღება შეძლო. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ უიმბლდონზე როდიკი მოულოდნელად მეოთხე წრეში დამარცხდა ტაივანელ **იენ-ჰსუნ ლუსთან**. საინტერესოა, ამჯერად სანამდე გააღწევს ამერიკელი.

ასევე ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა საკუთარი მოწოდებისას **ხუან მარტინ დელ პოტრო**. მისი შეხვედრა იტალიელ **ფლავიო ჩიპოლასთან** ორშაბათს იმ დროს შეწყდა, როცა არგენტინელს პირველი სეტი მოგებული ჰქონდა, მაგრამ მეორეს ბრეიკით აგებდა - 1:3. მაგრამ გუშინ თამაშის განახლების შემდეგ მხოლოდ 15 გეიმი გათამაშდა და აქედან დელ პოტრომ 11 მოიგო.

ხუან მარტინმა ცხრა ბრეიკ-პოინტიდან ექვსი გამოიყენა და მხოლოდ ერთხელ წააგო საკუთარი მოწოდება. ასევე აღსანიშნავია სამხრეთამერიკელის 14 ეისი და ერთი უნებლიე შეცდომა.

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ უიმბლდონი არ არის რუსი **ნიკოლაი დავიდენკოს** საქმე. ერთ დროს რეიტინგის ტოპ-ხუთეულის წევრმა პირწმინდად წააგო პირველი წრის შეხვედრა 18 წლის ავსტრალიელ **ბერნარდ ტომიჩთან**.

მატჩის ბედი სამ სეტში გაირკვა. დავიდენკომ მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტის რეალიზება შეძლო, თავად ოთხჯერ წააგო საკუთარი მოწოდება. ამასთან, რუსს მეტოქეზე ორჯერ მეტი უნებლიე შეცდომა ჰქონდა - 33 15-ის წინააღმდეგ. მატჩი საათსა და 41 წუთს გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ დავიდენკომ მეათედ აილო სტარტი უიმბლდონზე და მეექვსედ გამოეთიშა ბრძოლას პირველი წრიდან.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ იტალიელი **ანდრეას სეპის** წარმატებული სერია. 27 წლის აპენინელმა წინა კვირას ისტბურნის ტურნირი მოიგო, უიმბლდონი კი ესპანელი **ალბერტ მონტანიესის** დამარცხებით გახსნა. ასე რომ, სეპის ახლა ბალახის კორტებზე ექვსმატჩიანი მოგებათა სერია აქვს.



ნოვაკ ჯოკოვიჩი

მონტანიესის დამარცხებას იტალიელმა საათი და 47 წუთი მოანდომა - 6:4, 6:4, 7:5. მან ხუთი ბრეიკი მიითვალა და ორჯერ დათმო საკუთარი მოწოდება. მეორე წრეში ანდრეასის სერიის შეწყვეტას კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** შეეცდება.

რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღება იყო მიპყრობილი **ჯონ ისნერისა** და **ნიკოლა მაჲუს** შეხვედრისკენ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს ის ჩოგბურთელები არიან, რომლებმაც შარშან ასევე პირველ წრეში 11 საათი დაჰყვეს კორტზე და მეხუთე სეტში დაფიქსირდა ასეთი ანგარიში - 70:68. ამჯერად ამერიკელმა მხოლოდ ორი საათი და სამი წუთი იკმარა ფრანგის დასამარცხებლად - 7:6(4), 6:2, 7:6(6).

## კაცები

### I წრე

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 24)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:1, 6:4, 6:3; **ოლივიე როხუსი (ბელ)**-კენი დე შეპერი (საფ) 6:7, 3:6, 6:3, 6:1, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ, 15)**-ედუარდ როჟე ვასელენი (საფ) 4:6, 6:4, 6:3, 7:6; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-პეპე რიბა (ესპ) 6:4, 6:4, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 21)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 2:6, 4:6, 6:3, 7:6, 9:7; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 25)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 6:4, 6:4, 6:7, 6:2; **ტობიას კამკე (გერ)**-ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ) 6:3, 7:6, 5:7, 6:1; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-დანიელ კოქსი (ბრიტ) 6:2, 6:4, 6:4; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 27) 7:6, 3:6, 6:3, 6:4; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-არნო კლემანი (საფ) 6:4, 6:2, 3:6, 5:7, 6:4; **ივო კარლოვიჩი (ხორ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 23) 7:5, 3:1 ტიპსარევიჩის უარი; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-იაროსლავ პოსპიშილი (ჩეხ) 6:4, 6:3, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 8)**-ანდრეას ბეკი (გერ) 6:4, 7:6, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-ბენუა პერი (საფ) 6:4, 6:4, 6:4; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-ივან დოდიგი (ხორ) 7:6, 6:0, 7:5; **კაროლ ბეკი (სლოვაკ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 4:6, 7:6, 4:6, 6:2, 6:4; **გილერმო გარსია ლოპესი (ესპ, 26)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:3, 6:3 გოლუბევის უარი; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22) 6:3, 6:7, 7:6, 6:4; **რიკ დე ვოესტი (ს. აფრ)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:2, 6:3, 6:2; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 12)**-გო სოედა (იაპ) 6:3, 7:6, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 16)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:7, 6:3, 6:4, 6:4; **ჯონ ისნერი (აშშ)**-ნიკოლა მაჲუ (საფ) 7:6, 6:2, 7:6; **სომდევ დევარმანი (ინდ)**-დენის გრემელმაირი (გერ) 6:4, 4:2 გრემელმაირის უარი; **მიხაილ იუჟნი (რუს, 18)**-ხუან მონაკო (არგ) 4:6, 6:2, 6:2, 4:6, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 28)**-ჯულიან რასტერი (გერ) 7:5, 6:2, 6:3; **ანდრეას ჰაიდერ-მაურერი (ავსტრია)**-ფლორან სერა (საფ) 7:6, 6:3, 6:3; **ადრიან მანარინო (საფ)**-კონორ ნილანდი (ირლ) 4:6, 6:4, 7:6, 4:6, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 7:6, 6:4, 6:2; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 6:4, 6:4, 2:6, 7:6; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:1, 6:7, 7:6, 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:4, 7:6, 6:7, 4:6, 6:3; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 29) 7:5, 6:3, 7:5; **ფლორიან მაიერი (გერ, 20)**-დანიელ ევანსი (ბრიტ) 7:6, 7:6, 3:6, 6:4; **ქსავიე მალისე (ბელ)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:2, 6:3, 6:2; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 11)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 3:6, 7:6, 6:2, 6:2; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 13)**-მაქსიმო გონსალესი (არგ) 3:6, 6:0, 7:6, 6:3; **იუნ-ჰსუნ ლუ (ტაივ)**-ტომი რობრედო (ესპ) 6:4, 6:4, 6:1; **რიკარდო მელო (ბრა)**-ფრენკ დანჩევიჩი (კან) 3:6, 3:6, 6:4, 7:6, 6:2; **მიკაელ ლოდრა (საფ, 19)**-ჯეიმს უორდი (ბრიტ) 6:3, 7:6, 6:3; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 32)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 6:2, 6:7, 4:6, 6:4; **ანდრეას სეპი (იტა)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:4, 6:4, 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:4, 6:1, 6:1.

# ორი სენსაცია და ატირებული სერენა

ქალთა ტურნირზე გაცილებით მეტი სენსაცია და მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. განსაკუთრებით გამორჩეული ორი მატჩის ანგარიში იყო.

ვერაფრით გამოდის კრიზისიდან სერბი **ელენა იანკოვიჩი**. გუშინ ის იქამდე მივიდა, რომ 2005 წლის შემდეგ პირველად წააგო „დიდი სლემის" ტურნირის პირველ წრეში. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი სამ სეტში დამარცხდა 28 წლის ესპანელ **მარია ხოსე მარტინეს სანჩესთან** - 7:5, 4:6, 3:6.

იანკოვიჩი ამ მატჩში ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა - რვა ორმაგი და 34 უნებლიე, რასაც აქტიური თამაშით მოპოვებული 30 ქულა ახლდა თან. ესპანელის მაჩვენებლები იყო - 9 ეისი, 38 „ვინერსი" და 22 უნებლიე შეცდომა.

ორი საათისა და 23 წუთის განმავლობაში იანკოვიჩმა მხოლოდ ორი ბრეიკის გაკეთება მოახერხა და ოთხჯერ დათმო საკუთარი გეიმი. სხვათა შორის, პირად შეხვედრებში ესპანელი 3:1-ს უგებს სერბს.

**დავიდენკოსი** არ იყოს, უიმბლდონზე თამაში არც მსოფლიოს მეათე ჩოგანს **სამანტა სტოსურს** გამოსდის. ცნობილი ავსტრალიელი ზედიზედ მეორედ და კარიერაში მეხუთედ გამოეთიშა ლონდონური ტურნირის პირველ წრეს.

რაც ყველაზე გასაკვირია, როლან გაროსის ყოფილი ფინალისტი დამარცხდა მსოფლიო კლასიფიკაციის 262-ე (!) ნომერთან, 28 წლის **მელინდა ჩინკთან**. თანაც უნგრელის გამარჯვება ძალიან დამაჯერებელი იყო - მან საათსა და 7 წუთში მოამთავრა საქმე - 6:3, 6:4. ჩინკს კიდევ უფრო ნაკლებ დროში შეეძლო გამარჯვების მოპოვება, მაგრამ მესამე სეტში სტოსურს 0:4-დან ოთხი გეიმის აღების საშუალება მისცა, თუმცა ბოლოს მაინც მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

წარმატებით დაიწყო ტიტულის დაცვა **სერენა უილიასმა**, თუმცა ამერიკელს ძალიან რთული ბრძოლის გადატანა მოუწია ირანული წარმოშობის ფრანგ **არავან რეზაისთან**.

სერენასთვის პირველი სეტი ცუდად დაიწყო. რეზაი ბრეიკით დაწინაურდა - 2:0, მაგრამ შემდეგ ამერიკელმა ზედიზედ ხუთი გეიმი აილო და პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე სეტში ყველაფერი ერთადერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც რეზაიმ მეექვსე გეიმში აილო და სეტებში ანგარიში გათანაბრდა. მესამე სეტში ჩოგბურთელებმა საწყისი გეიმები გაცვალეს, რის შემდეგაც სერენამ მიჯრით კვლავ ხუთი გეიმი აილო და მეორე წრის საგზური მოიპოვა. მატჩბოლი უილიამსმა რიგით მე-13 ეისის წყალობით გამოიყენა.

მატჩის შემდეგ უმცროსმა უილიამსმა თავი ვერ შეიკავა და პირდაპირ კორტზე ატირდა. *„როგორც წესი, არ ვტირი ხოლმე... მაგრამ ეს ძალიან რთული მატჩი გამოდგა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასე გამიჭირდებოდა აქ დაბრუნება - ეს ძალიან ემოციური მომენტი იყო. როცა აქ მოვდიოდი, თუნდაც ერთი მატჩის მოგებაზე ვოცნებობდი. საშინელი ერთი წელი მქონდა, მაგრამ ბოლომდე მჯეროდა წარმატების. მიყვარს ჩოგბურთი და ძალიან მინდოდა უიმბლდონზე გამოსვლა.*

*რეზაი - ძლიერი მოთამაშეა. მოგებული აქვს მსხვილი ტურნირები, ერთხელ ჩემი დაც დაამარცხა. ამიტომაც კარგად მესმოდა, რომ გამიჭირდებოდა მის წინააღმდეგ"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ სერენამ.

გაცილებით იოლად მოიგო პირველი წრის შეხვედრა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ**. ის პრაქტიკულად არ ცდებოდა ესპანელი **არანჩა პარა-სანტონხას** წინააღმდეგ. 6:2, 6:1 - ასეთია ამ მატჩის ანგარიში, რომელშიც დანიელმა მხოლოდ ხუთი უნებლიე შეცდომა დაუშვა, ხუთი ბრეიკი გააკეთა და საკუთარი არც ერთი გეიმი არ წაუგია.

საინტერესო იყო რუსული დერბი **მარია შარაპოვასა** და **ანა ჩაკვეტაძეს** შორის, თუმცა ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ ახლახანს გამოჯანმრთელებული და უთამაშებელი ჩაკვეტაძე შეძლებდა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან თანაბარ ბრძოლას. პროგნოზი გამართლდა - მარიამ მხოლოდ სამი გეიმი გაიმეტა თანამემამულისთვის და მეორე წრეში გასასვლელად საათი და 8 წუთი იკმარა. ახლა შარაპოვას შვიდიდან შვიდი მოგება აქვს ჩაკვეტაძის წინააღმდეგ, თანაც ამ მატჩებში ანას ერთადერთი სეტი აქვს მოგებული.


სერენამ ცრემლები ვერ შეიკავა

## ქალები

### I წრე

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-არანჩა პარა სანტონხა (ესპ) 6:2, 6:1; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-სანია მირზა (ინდ) 7:6, 2:6, 6:3; **მელინდა ჩინკი (უნგ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 10) 6:3, 6:4; **ანასტასია იაკიმოვა (ბლრ)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 4:6, 6:2, 6:1; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-მონა ბარტელი (გერ) 6:2, 6:4; **შუაი პენგი (ჩინ, 20)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 6:0, 6:4; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 31)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 2:6, 6:3, 6:3; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-ემილი უებლი-სმიტი (ბრიტ) 6:3, 5:7, 8:6; **მარია შარაპოვა (რუს, 5)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს) 6:2, 6:1; **ნა ლი (ჩინ, 3)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:3, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 18)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:0, 6:1; **ელენი დანილიდუ (საბ)**-კოკო ვანდევეგე (აშშ) 6:4, 6:4; **მარიონ ბარტოლი (საფ, 9)**-კრისტინა პლიშკოვა (ჩეხ) 6:0, 6:2; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-რომინ ოპრანდი (იტა) 6:0, 6:1; **მარია კირილენკო (რუს, 26)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:2, 6:1; **ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ) 6:2, 6:3; **სიმონა ჰალეპი (რუმ)**-ბოიანა იოვანოვსკი (სერ) 6:1, 6:2; **სერენა უილიამსი (აშშ, 7)**-არავან რეზაი (საფ) 6:3, 3:6, 6:1; **ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 7:6, 6:4; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-აიუმი მორიტა (იაპ) 5:7, 6:3, 6:0; **სტეფანი დუბუა (კან)**-ირინა ფალკონი (აშშ) 6:2, 6:2; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 11)**-გრეტა არნი (უნგ) 6:3, 6:4; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 14)**-ლესია ცურენკო (უკრ) 6:4, 7:6; **ნადია პეტროვა (რუს)**-ვესნა დოლონცი (რუს) 6:3, 6:4; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-ალიზ კორნე (საფ) 7:5, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 25)**-ვიტალია დიატჩენკო (რუს) 4:6, 7:6, 6:3; **მარინა ერაკოვიჩი (ზელ)**-კაი-ჩენ ჩანგი (ტაივ) 6:4, 6:2; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-სანდრა ზახვალოვა (ჩეხ) 3:6, 6:3, 8:6; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:4, 3:2 რიბარიკოვას უარი; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)**-ალექსა გლეტჩი (აშშ) 6:2, 6:2; **ენ კეოტავონგი (ბრიტ)**-ნაომი ბროუდი (ბრიტ) 6:2, 6:4; **რებეკა მარინო (კან)**-პატრისია მეირ-ახლაიტნერი (ავსტრია) 6:3, 7:6; **რობერტა ვინჩი (იტა, 29)**-ვერა დუშევინა (რუს) 7:5, 6:2; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 15) 5:7, 6:4, 6:3; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ, 32)**-კამილა ჯორჯი (იტა) 6:2, 6:1; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-ვანია კინგი (აშშ) 5:7, 6:2, 6:2.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა